პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

ბიბლიოთეკა

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები:)რედაქტორის 14—76
)მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24
მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კაპ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მან., ქალაქს გარეშე—1 მ. და 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ., განცხადებების მიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელ. 13—80.

დღევანდელი ნომერი შეიცავს 6 გვერდს

ბიბლიოთეკა

დღიური

- ჩინეთის ნავთსადგური სვატოუ აიღო გომინდანის ჯარმა.
- მაროკოში რიფიბი განაგრძობენ ბრძოლას ესპანელების წინააღმდეგ.
- უმუშევართა რიცხვი გერმანიაში უდრის 800 ათას კაცს.
- საფრანგეთის კომუნისტები მოითხოვენ სირიის დაცლას საფრანგეთის ჯარებისაგან.
- საბჭოთა კავშირმა იცნო სპარსეთის ახალი მთავრობა.

სამშაბათი, 10 ნოემბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 258 (1413)

საბჭოების გადარჩევის წინ

თუმცა საბჭოების გადარჩევა ჩვენში დაიწყება იანვრის თვეში, მაგრამ საამისო მოსამზადებელ მუშაობას ამ თავითვე უნდა შეუდგეთ. ნურავინ იფიქრებს, რომ იანვრამდე ჯერ კიდევ ბევრი დრო გვაქვს და წინასწარი საარჩევნო კამპანიის ჩატარება მერეც მოესწრებაო. ასეთი თვალსაზრისი აშკარათ შემცდარი და საქმისათვის მეტად საზიანო იქნებოდა. ჩვენი პარტიის ცეკას უკანასკნელ ცირკულიარულ წერილში ვკითხულობთ: „საარჩევნო კამპანია უნდა ტარდებოდეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში; მას არას შემთხვევაში დაკვრითი ხასიათი არ უნდა მიეცეს. კამპანიის მოსამზადებელი მუშაობა ჩატარებულ უნდა იქნას ნოემბრის და დეკემბრის თვეებში". არჩევნებამდე სრული ორი თვეც არ არის დარჩენილი და, თუ ჩვენ სავსებით გავითვალისწინებთ ამ არჩევნებთან დაკავშირებით პარტიის წინაშე მდგარ ამოცანებს, ცხადი გახდება, რომ მათი წარმატებით გადაჭრისათვის საჭიროა დაუყოვნებლივ შევუდგეთ ყოველმხრივ მზადებას მომავალი საბჭოების გადარჩევისათვის.

რა ამოცანები დგანან ჩვენს წინაშე? პირველ ყოვლისა აქ ისევ საბჭოთა დემოკრატიის განხორციელებაზე უნდა ვილაპარაკოთ. ამ მხრივ წარსულ საბჭოთა არჩევნებში და მთელ მერმინდელ მუშაობაში გვაქვს უდავო მიღწევები. უპარტიო მოწინავე გლეხობა აქტიურად ებმება მართვა-გამგეობის და აღმშენებლობის საქმეში; გლეხთა ფართე მასსა უფრო დაუახლოვდა ხელისუფლებას და პარტიას.

მაგრამ წინანდელ საარჩევნო კამპანიაში მაინც ჰქონდა ადგილი მთელ რიგ ნაკლულოვანებებს, რომელთა განმეორება არ უნდა იქნეს დაშვებული. მიუხედავათ პარტიის მიერ საბჭოთა დემოკრატიაზე აღებულ გადაჭრილ გეზისა, რაც პირველ რიგში საბჭოების არჩევნების თავისუფლებაში უნდა გამოხატულიყო, აქა-იქ მაინც ჰქონდა ადგილი ერთგვარ ადმინისტრატიულ ზეგავლენას, ვინაიდან ზოგიერთი ადგილობრივად მომუშავე ამხანაგი მაშინ კიდევ სავსებით ვერ შეეთვისა პარტიის ახალ კურსს და საბოლოოდ ვერ განთავისუფლდა „სამხედრო კომუნიზმის" ნაშთებისაგან.

ალაგი ჰქონდა სხვანაირ გადახრასაც, „ჯოხის გადაღუნვა"-ს მეორე მხარისკენ. საბჭოთა დემოკრატია ზოგან ჩვენმა ამხანაგებმა გაიგეს, როგორც პარტიული ხელმძღვანელობის უარყოფა და სოფლის საზოგადოებრივობის განვითარების, გლეხობის აქტივობის მიშვება თავის სტიქიაზე; კერძოთ საბჭოთა არჩევნების დროს ისე იქცეოდენ ჩვენი ზოგიერთი ადგილობრივი ორგანიზაციები, თითქო ამ არჩევნების მსვლელობა და შედეგები სრულებით არ ეხებოდა მათ, ისინი ამ შემთხვევაში განზე მაყურებელი რჩებოდენ.

ესაა პარტიის ხაზის გაუგონარი დამახინჯება. საბჭოთა დემოკრატია ოდნავათაც არ გულისხმობს პარტიულ ხელმძღვანელობაზე ხელის აღებას, პირიქით—მის გაძლიერებას მოითხოვს. ზედმეტია იმის განმეორება, რომ ერთხელ და სამუდამოთ უნდა იქნას აღმოფხვრილი უხეში ადმინისტრატიული ზედშემოქმედების, დამონების მეთოდები, სამაგიეროთ ბრძოლა იდეურ გავლენის გასაფართოვებლად—ეს ჩვენი უმთავრესი ამოცანაა. ასეთი ბრძოლა უაღრესათ საჭიროა. უეჭველია, რომ გლეხობის თვითმოქმედების სტიქიური გაშლა თავისთავად ხელს ვერ შეუწყობს მისი კეთილდღეობის აწევას: პირიქით, შესაძლებელია ამან არევ-დარევა შეიტანოს სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სამეურნეო აღმშენებლობაში.

მაგრამ ცხადია, რომ თუ პარტუჯრედი სათანადო შეგნებას და უნარს არ გამოიჩენს, სხვა ვინმე გამოვა გლეხობის ორგანიზატორის როლში. ეს ვინმე იქნება კულაკური ელემენტი, საერთოდ ანტისაბჭოთა ელემენტი, რომელიც შეეცდება მოაჩვენოს თავი სოფლის მოსახლეობას მის ინტერესების დამცველად და გადაჰცდინოს ის რევოლიუციის გზიდან. ასეთი რამ მოსალოდნელია მომავალ არჩევნებში. მართალია, არჩევნებში უშუალო მონაწილეობას ვერ მიიღებენ აშკარათ ექსპლოატატორული ელემენტები, მაგრამ არჩევნების უფლების მქონეთა შორის მაინც რჩებიან ისეთი პირები, რომელნიც გულში კვლავ ატარებენ კონტრ-რევოლიუციონურ ზრახვებს და შემთხვევას არ გაუშვებენ მათი ამა თუ იმ სახით განაღდებისათვის. გარდა ამისა, ანტისაბჭოთა ელემენტები იმოქმედებენ არჩევნების გარედ, ისინი მოიწადინებენ თავისი თითო-ოროლა აგენტების საშუალებით, რომელნიც ყოველთვის მოიპოვებიან, გავლენა მოახდინონ საარჩევნო კრებებზე, ან კიდევ ათასგვარ ხრიკებს მიმართავენ, რათა მიიმხრონ სოფლის შეუგნებელი ნაწილი.

ჩვენი ორგანიზაციების და თვითეული ამხანაგის მოვალეობას შეადგენს შეუბრალებლად ამხილონ კულაკები და მათი „ძმა-ბიჭები", გამოაშკარავონ მათი ბნელი ზრახვები, „კრავის ტყავში გამოხვეულ მგლების" იდუმალი მისწრაფებანი.

ბრძოლა უმთავრესად იწარმოებს გავლენის მოსაპოვებლად საშუალო გლეხობაზე. გლეხობის სხვადასხვა ფენებისადმი სწორ დამოკიდებულობის დამყარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენ უნდა მოვახერხოთ კულაკების წინააღმდეგ ერთიანი ბლოკის შექმნა სოფლის პროლეტარიატისა, ნახევრად პროლეტარიატსა და ისეთ გლეხობის მხრით, რომელსაც საკუთარი გარჯით თავისი მეურნეობა ასე თუ ისე ფეხზე დაუყენებია და სხვის შრომის ექსპლოატაციას არ მიმართავს. არამც და არამც არ უნდა ექნეს ადგილი ღატაკ გლეხობის დაპირდაპირებას საშუალო გლეხობისადმი. აქ საჭიროა ყოველ გლეხისადმი ინდივიდუალური მიდგომა, რათა კულაკი არ მოვაქციოთ საშუალო გლეხობის ბანაკში და მით უმეტეს—უკანასკნელი პირველს არ მივაკუთვნოთ.

საარჩევნო კამპანიის დროს უდიდესი ყურადღება უნდა დაეთმოს ძველი საბჭოებისა და აღმასკომების მხრით ანგარიშების წარდგენას საერთო კრებებზე. ამ ანგარიშებში უნდა იყოს აღნუსხული არა მარტო შესრულებული მუშაობა, არამედ ნაკლულოვანებანიც და მათი მიზეზები. აქ ფართე ადგილი უნდა დაეთმოს აზრთა გაცვლა-გამოცვლას, საქმიან კრიტიკას. უნდა იქნეს აღმოფხვრილი ჩვენი პრაქტიკიდან ის მავნე ჩვეულება, როცა ყოველგვარ კრიტიკას ზოგიერთები, როცა მის გასაბათილებლად სხვა საშუალება არ გააჩნიათ, კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლად ასაღებენ.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მომავალი მუშაობის გეგმის წარდგენას საარჩევნო კრებებისათვის. ამ გეგმაში უნდა იყოს გათვალისწინებული კონკრეტიული და რეალური ღონისძიებანი სოფლის, თემის აღმშენებლობის საქმეში. კარგად შედგენილი, სინამდვილესთან, სოფლის საჭიროებებთან შეფარდებული „ნაკაზი" ცხოველ ინტერესს გამოიწვევს გლეხობაში.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ საბჭოების წევრებად სათანადო კანდიდატების შერჩევას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. უნდა იქნან წამოყენებული ისეთი კომუნისტები და უპარტიონი, რომელნიც ხალხის სრული ნდობით და პატივისცემით სარგებლობენ და რომელთაც შესწევთ აღმშენებლობის უნარი. ზევიდან თუ გარედან მოხვევას ადგილი არ უნდა ექნეს. თვითეული კანდიდატი უნდა იქნეს აწონილ დაწონილი კრების მიერ სრულებით თავისუფლად და მოურიდებლად. საბჭოებში უნდა იქნან გაყვანილი რაც შეიძლება მეტი რიცხვი უპარტიო მოწინავე გლეხობა, აგრეთვე სოფლის პატიოსანი ინტელიგენცია. კერძოთ აუცილებელია გლეხ-ქალების ჩაბმა საარჩევნო კამპანიაში და მათი წამოყენება კანდიდატებათ.

მთელი ეს მუშაობა მოითხოვს პარტიულ ორგანიზაციების ამოძრავებას, მათ მიერ პარტიის ეხლანდელი კურსის შესისხლხორცებას, ამიტომაც ცეკას ხსენებული ცირკულიარი საჭიროთ აღიარებს „პარტორგანიზაციების მომზადებას არჩევნებისათვის"..., შინა პარტიული კამპანიის ჩატარებას იმ მიზნით, რომ სოფლის პარტორგანიზაციებისათვის ახსნილ და განმარტებულ იქნას პარტიის მიერ აღებული კურსი საბჭოთა დემოკრატიის განვითარების საქმეში—კერძოთ კი მომავალ საბჭოების არჩევნების დროს".

როგორც პარტიულ ორგანიზაციების მომზადება არჩევნებისათვის, ისე თვით საარჩევნო კამპანიის წარმოება, „საარჩევნო კამპანიის ირგვლივ მშრომელთა საზოგადოებრივი აზრის ორგანიზაცია", ხანგრძლივ და გაძლიერებულ მუშაობას ჰგულისხმობს. ამიტომ, ვიმეორებთ, ამ მუშაობას უნდა შეუდგეთ ეხლავე და ისეთი ენერგიით, როგორიც შეეფერება ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანებს.

საბინაო აღმშენებლობისათვის

საბჭოთა კავშირი სწრაფი აღორძინების გზით მიდის წინ. მეურნეობის მთელ რიგ დარგებში ჩვენ ომამდი არსებულ მდგომარეობას მივაღწიეთ და ზოგიერთ შემთხვევაში ის უკანაც კი მოვიტოვეთ. მაგრამ აღმშენებლობის ერთ დარგში ჩვენ დღეს, მეტი რომ არა ვსთქვათ, საგრძნობლად მოვიკოჭლებთ. ესაა კომუნალური მეურნეობა და კერძოდ საბინაო აღმშენებლობის საკითხი.

იმ კრიზისებს შორის, რომელიც განიცადეს მშრომელმა მასებმა გამანადგურებელ იმპერიალისტურ ომების მეოხებით, ბინის ნაკლულევანებას ერთი მნიშვნელოვანი ადგილთაგანი ეჭირა და თითქმის ასეთად რჩება დღესაც. და ეს მაშინ, როცა მუშათა კლასის მდგომარეობა ქვეყნის საერთო ეკონომიურ ზრდასთან ერთად ადრინდელთან შედარებით გაუმჯობესდა ნივთიერ უზრუნველყოფის მხრივ.

გარდა იმისა, რომ ომმა და რევოლიუციამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საბინაო ინვენტარს, გარდა საერთო ნგრევის უარყოფითი შედეგებისა, არის მთელი რიგი განსაკუთრებული ხასიათის მიზეზები, რომელნიც ჩვენს პირობებში კიდევ უფრო ართულებენ ბინის სივიწროვით შექმნილ მდგომარეობას.

როგორც ვიცით ბინის კრიზისი დამახასიათებელ მოვლენად გადაიქცა არა მარტო მნიშვნელოვან სამრეწველო ან ადმინისტრატიულ ცენტრებში, არამედ პროვინციაშიაც კი, ე. ი. სამაზრო ქალაქებში და დაბებში. რევოლიუციამ და მისგან შექმნილ საბჭოთა მართვა-გამგეობის სისტემამ, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო მშენებლობის საქმეში ფართე მასების უშუალო მონაწილეობას, საგრძნობლად გაზარდა მოსახლეობის თვითმოქმედება. სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აპარატის მშრომელ მასებთან დაახლოებამ და ეროვნულ თვითგამორკვევის საკითხის გადაჭრამ ერთი ათად გაადიდა წინად უყურადღებოთ მიტოვებულ დაბა-ქალაქების პოლიტიკურ-ადმინისტრატიული მნიშვნელობა, რასაც ბუნებრივათ მოჰყვა ამ ქალაქების მცხოვრებთა რიცხვის სწრაფი ზრდა.

გარდა ამისა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების და უფლებრივად სრულ განთავისუფლების შემდეგ მშრომელ მასებს, და განსაკუთრებით მუშათა კლასს, კულტურულ წინმსვლელობის მეტი მოთხოვნილება გაეღვიძა, რაც სხვათაშორის, გულისხმობს სასწავლებელთა, სახალხო სახლების, კლუბების, სამკითხველოების და ბიბლიოთეკების დაარსება-ორგანიზაციას. დღემდი ეს დაწესებულებები მხოლოდ უკვე არსებულ საბინაო ფონდის ხარჯზე ეწყობიან. ესეც რომ არ იყვეს, მუშათა კლასში, იმ პოლიტიკურ მდგომარეობასთან ერთად, რომელიც მას მიანიჭა რევოლიუციამ, სრულიად სამართლიანად იბადება ლტოლვა კულტურულ ცხოვრების პირობების შესაქმნელათ. ამ შემთხვევაში ბინის საკითხს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ამას თან ერთვის ის გარემოება, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო, თითქმის სავსებით შეჩერებულია ახალი საბინაო აღმშენებლობა და ცუდათაა დაყენებული მიმდინარე რემონტის საქმე. აი, მოკლეთ, ყველა ის მიზეზები, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენს წინაშე დღემდი კიდევ მწვავეთ მდგომ საბინაო კრიზისს.

ის ღონისძიებანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქამდე საბინაო აღმშენებლობის დარგში, ვერ იძლეოდენ საგრძნობ შედეგებს. პარტიის და ხელისუფლების ყურადღება უმთავრესად და პირველყოვლისა მიმართული იყო მრეწველობის და სოფლის მეურნეობის აღდგენისაკენ.

მაგრამ თუ დღემდი რამდენადმე მაინც მოსათმენი იყო ასეთი მდგომარეობა, დღეის შემდეგ საკითხის ამ პირობებში დატოვება შეუძლებელია.

ამას გვიკარნახებს ჩვენ არა მარტო ის მოსაზრებები, რომელზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი, არამედ აღორძინების გზაზე მდგომ მრეწველობის ინტერესებიც. შრომის ნაყოფიერების აწევის საკითხი, რომელიც დღემდისაც მწვავეთ სდგას ჩვენს წინაშე, მჭიდროთაა დაკავშირებული მუშათა კლასის ბინით უზრუნველყოფის საკითხთან.

ასევე ითქმის მუშათა ჯანმრთელობის, მის ფიზიკურ უზრუნველყოფის შესახებაც. ჩვენ ვიცით რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშრალ და ნათელ ბინას მუშის ჯანმრთელობისათვის. არა ნაკლები სარგებლობა შეუძლია მოუტანოს ბინის საკითხის მოგვარებამ წარმოების პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ამას, როგორც ვიცით, დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

ამნაირათ საბინაო აღმშენებლობის საკითხს ჩვენს სამეურნეო და კომუნალურ ორგანოების მხრივ უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ხუთი მილიონი მანეთი,—რომელიც გაღებულია ამიერ-კავკასიის ფარგლებით მუშათა საბინაო აღმშენებლობისათვის შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ კომიტეტის მიერ, რა თქმა უნდა, მთავრობის მხრივ დიდ დახმარებათ უნდა ჩაითვალოს. მაგრამ მარტო მთავრობის დახმარებით შეუძლებელია ბინის კრიზისის შენელება. აქ პირველყოვლისა ხელი უნდა გამოიღონ სამეურნეო ორგანიზაციებმა და ქალაქის საბჭოებმა ჩვენში უკვე საკმაოთ ცნობილ საბინაო საამშენებლო ამხანაგობებმა უსახსრობის გამო ვერ შესძლეს აღმშენებლობის გაფართოება. თითქმის სამი წლის განმავლობაში ამ ამხანაგობების მიერ გაშენებულია მხოლოდ 56 ბინა და დაწყებულია რვა სახლი, რომელიც 112 ოთახს შეცავს. რა თქმა უნდა, ეს წვეთია ზღვაში იმ მოთხოვნილებასთან შედარებით, რომელსაც ადგილი აქვს ეხლა ჩვენს დაბა-ქალაქებში.

მიუხედავათ ამისა საბინაო-საამშენებლო ამხანაგობათა რიცხვი შეუჩერებლივ იზრდება. საქართველოში მათი რაოდენობა ოცამდე აღწევს. ეს ნათლათ მოწმობს, რა დიდია მოსახლეობის ლტოლვა საბინაო აღმშენებლობის საკითხისადმი.

საჭიროა საზოგადოებრივ ინიციატივის ფართეთ ამოძრავება, საჭიროა ძირითადი თანხის, საამშენებლო ფონდების შექმნა, საჭიროა დაბოლოს, ისეთი პირობების გამომუშავება, რომ კერძო კაპიტალიც იქნას ჩაბმული საამშენებლო მუშაობაში. ასეთი ნაბიჯები უკვე გადაიდგა საბჭოთა რესპუბლიკების სხვა ქალაქებში, რამაც ერთგვარი ნაყოფი გამოიღო.

ს. ზ—ლი.

არიან სპეცები და არიან „სპეცებიც"

სპეციალისტებს დიდ ყურადღებას ვაქცევთ. ვცდილობთ სათანადოთ დავაფასოთ მათი შრომა, გავაუმჯობესოთ მათი მდგომარეობა. ისინი ძვირფასი არიან ჩვენთვის, განსაკუთრებით ამ ჟამად, როცა ფართოთ იშლება საბჭოთა მრეწველობა. სპეციალისტების ეხლანდელი მატერიალური მდგომარეობა გაცილებით უფრო უკეთესია, ვიდრე მუშა-მოსამსახურეების. დასახულია კიდევ შეღავათების მთელი რიგი სპეციალისტების მიმართ. ყველაფერი ეს სპეციალისტებს პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებს.

პრივილეგიები საერთოდ კარგია. ბევრი არ იტყვის მათზე უარს. სპეციალისტების პრივილეგიებიც ბევრს აწუხებს და არ ასვენებს; ცდილობენ ხელთ იგდონ ეს პრივილეგიები. ეს არის სწორედ იმის მიზეზი, რომ ამ ბოლო დროს ძლიერ გახშირდა „სპეციალისტების" რიცხვი. ვინ არ გინდა სპეციალისტი არ იყოს,—მოანგარიშე, ბუხჰალტერის თანაშემწე, მდივანი, კანცელარიის გამგე, საბჭოთა დაწესებულებების სამეურნეო ნაწილების გამგეები და სხვა.

რომ სპეცათ გახდე, ამისათვის ეხლა არ არის საჭირო არც სპეციალური ცოდნის მიღება, არც მაღალი კვალიფიკაცია და არც სხვა რამე. საკმარისია მხოლოდ დაირქვა: სპეცი და სხვებიც ასეთად ჩაგთვლიან. ხშირად იტყვიან ხოლმე, რომ ყველა თავის საქმის სპეცი არის, დარაჯი თავის საქმის სპეცია, რეგისტრატორი თავის, საქმის მწარმოებელი თავის, მოანგარიშე თავის და ასე ამ რიგათ. სწორეთ ამ პრინციპს,—რომ ყველა თავის საქმის სპეცაა,—უდებენ ამ ჟამად საფუძვლად სპეცობის მინიჭებას. გასაკვირიც არ არის, რომ სპეციალისტების რიცხვიც საბჭოთა წარმოება-დაწესებულებებში ძლიერ გამრავლდა. სპეციალისტების სიმრავლე უნდა გვიხაროდეს, საქმე უფრო უკეთესად წავა, მაგრამ ასეთ „სპეციალისტები"-ს ყოლა არაფერში გამოგვადგება. გამოგვადგება მხოლოდ ხარჯების გადიდებაში, ვინაიდან სპეცობა მარტო საპატიო სახელწოდება კი არ არის, არამედ მას თან ყვება სპეციალური განაკვეთის ხელფასი. ამ სპეც-განაკვეთის დამახასიათებელი თვისება არის ის, რომ მისი რაოდენობა საგრძნობლად მეტია, ვიდრე უბრალო მუშა-მოსამსახურეების განაკვეთი, ორჯერ-სამჯერ მეტი, ხანდახან ოთხჯერ-ხუთჯერ მეტიც.

იკითხავთ, ვინ უნიშნავს ამგვარ „სპეცებს" ასეთ განაკვეთებს? რატომ არ არსებობს რაიმე დადგენილება, სადაც გათვალისწინებული იყოს, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს სპეცათ და რა კვალიფიკაციის სპეცებს რამდენი ჯამაგირი უნდა დაენიშნოს?

მიზანშეუწონელია ამ გვარი დადგენილების გამოცემა. არც შეიძლება დადგენილებაში ყველა დარგების სპეცების ჩამოთვლა. ამის გარდა, დადგენილებით წინდაწინ გათვალისწინება, თუ რომელ დარგში მომუშავე სპეცს რამდენი უნდ დაენიშნოს ხელფასი, არ იქნებოდა სწორი, ვინაიდან თითეულ სპეცის შრომის შეფასება უნდა ხდებოდეს პერსონალურად. ამიტომ არსებული დებულება აძლევს უფლებას სამეურნეო ორგანიზაციისა და დაწესებულებების მეთაურთ თვით აწესრიგონ მათ ქვემდებარე სპეცების შრომის ხელფასი. ეს სწორი პოლიტიკა არის. მხედველობაში არის მიღებული, რომ ამა თუ იმ ორგანოს ხელმძღვანელს შეუძლია გაერკვეს, თუ რომელი სპეცის შრომა, როგორ უნდა დაფასდეს. ისიც არის მხედველობაში მიღებული, რომ დაწესებულების და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები სპეცებათ ჩათვლიან მხოლოდ სპეციალურ ცოდნით აღჭურვილ და უმაღლეს კვალიფიკაციის მქონე პირებს.

სამწუხაროთ, ყველგან ასე არ ხდება და ამიტომ მოსამსახურეთა საგრძნობი ნაწილი სპეცებათ ითვლებიან და სპეც-განაკვეთებს იღებენ. არის ისეთი ორგანიზაციები, სადაც მოსამსახურეების 60—70 პროც. სპეციალისტებათ არიან მონათლული.

რაც არ უნდა იყოს, ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ საქართველომ კულტურულად ისე გაასწრო მოწინავე ქვეყნებს, რომ ყოველ ას მოსამსახურეში საშუალოდ სამოცი „სპეციალური ცოდნით არის აღჭურვილი"!

ტომელი.

ოქტომბერი, ლენინი და ჩვენი განვითარების პერსპექტივები

მოსკოვი, 7 ნოემბ. მე ვფიქრობ, რომ იმ პერიოდს შორის, როცა ამ რვა წლის წინათ მზადდებოდა ოქტომბრის რევოლიუცია, და დღევანდელ პერიოდს შორის, ოქტომბრის რევოლიუციის 8 წლის შემდეგ, მიუხედავათ უდიდესი განსხვავებისა, არის ერთი მსგავსება. ეს მსგავსება მდგომარეობს იმაში, რომ ორივე ეს პერიოდი გამოხატავს გარდატეხის მომენტს ჩვენი რევოლიუციის განვითარებაში. მაშინ, 1917 წელს, საქმე შეეხებოდა ბურჟუაზიის ძალა-უფლებიდან პროლეტარიატის ძალა-უფლებაზე გადასვლას. ეხლა, 1925 წელს, საქმე ეხება იმას, რათა გადავიდეთ დღევანდელ ეკონომიკიდან, რომელიც არ შეიძლება მთლიანად ჩაითვალოს სოციალისტურად, სოციალისტურ ეკონომიკაზე, იმ ეკონომიკაზე, რომელიც იქნება მატერიალური საფუძველი სოციალისტური საზოგადოებისათვის.

როგორი იყო მდგომარეობა ოქტომბრის პერიოდში, როდესაც ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1917 წლ. 10 ოქტომბერს ლენინის ხელმძღვანელობით მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებულ აჯანყების შესახებ. ჯერ ერთი: ომი ევროპის ორ კოალიციას შორის, მთელ ევროპაში სოციალისტური რევოლიუციის ელემენტების ზრდა, სეპარატიული ზავის საფრთხე რუსეთის მხრივ და იმპერიალისტების შემოტევა რუსეთში რევოლიუციის ჩაქრობის მიზნით. ასეთი იყო საგარეო მდგომარეობა. მეორე: ჩვენი პარტიის მიერ საბჭოებში უმრავლესობის დაპყრობა, გლეხთა აჯანყებები მთელ ქვეყანაში, რევოლიუციონურ მოძრაობის გაძლიერება ფრონტებზე, კერენსკის ბურჟუაზიულ მთავრობის იზოლიაცია და მეორე „კორნილოვშჩინის" საფრთხე. ასეთი იყო შინაური მდგომარეობა.

ეს იყო უმთავრესად პოლიტიკური ბრძოლის ფრონტი.

გარდამავალი მომენტი დასრულდა მაშინ მუშების და გლეხების ძლევამოსილი აჯანყებით და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებით.

როგორი მდგომარეობაა დღეს 8 წლის შემდეგ ბურჟუაზიულ ხელისუფლების დამხობის დღიდან. ჯერ-ერთი, ორი ბანაკის არსებობა: კაპიტალიზმის ბანაკის, რომელიც დროებით მტკიცდება კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნებში (ჩინეთი, მაროკო, სირია) რევოლიუციონური მოძრაობის აშკარა გაძლიერების პირობებში, და სოციალიზმის ბანაკის—საბჭოთა კავშირის, რომელიც ვითარდება ეკონომიურად და თავის გარშემო რაზმავს, როგორც მოწინავე ქვეყნების მუშებს, ისე კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნების ჩაგრულ ხალხებს. ასეთ პირობებში შესაძლებელი ხდება ხანმოკლე „შესვენება" გადავაქციოთ „შესვენების" ხანგრძლივ პერიოდათ. ასეთია საგარეო მდგომარეობა. მეორე მხრივ, ჩვენი ქვეყნის სამრეწველო და კოოპერატიული განვითარების ზრდა, მუშათა და გლეხთა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესება, პროლეტარიატსა და გლეხობას შორის ურთიერთ-დამოკიდებულების გაუმჯობესება, პარტიის ავტორიტეტის განმტკიცება მუშათა და გლეხთა შორის,—ყველაფერი ეს ისეთი პირობებია, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ წინ წავსწიოთ სოციალისტური მშენებლობა გლეხობასთან ერთად პროლეტარიატის და მისი პარტიის ხელმძღვანელობით. ასეთია შინაური მდგომარეობა.

ეს არის უმთავრესად სამეურნეო მშენებლობის ფრონტი.

გათავდება თუ არა დღევანდელი გარდამავალი პერიოდი პროლეტარიატის გამარჯვებით,—დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა, ჩვენი მშენებლობის წარმატებებზე, აღმოსავლეთის და დასავლეთის რევოლიუციონურ მოძრაობის წარმატებებზე, იმ წინააღმდეგობათა განვითარებაზე, რომლებიც ღრღნიან კაპიტალისტურ მსოფლიოს.

8 წლის წინად ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ შეგვკავშირებია პროლეტარიატი და ღარიბი გლეხობა, ნეიტრალური გაგვეხადა საშუალო გლეხობა, გამოგვეყენებია ორი იმპერიალისტური კოალიციის სამკვდრო სასიცოცხლო ომი და ჩამოგვეგდო რუსეთის ბურჟუაზიული მთავრობა იმ მიზნით, რათა შეგვექმნა პროლეტარიატის დიქტატურა, თავი დაგვეხწია იმპერიალისტური ომისაგან, განგვემტკიცებია ყველა ქვეყნის პროლეტარების კავშირი და გაგვეღრმავებია პროლეტარული რევოლიუციის საქმე ყველა ქვეყნებში.

დღეს ამოცანა მდგომარეობს იმაში, რათა ერთის მხრივ მჭიდროდ დაუკავშიროთ პროლეტარიატი და ღარიბი გლეხობა საშუალო გლეხობას, უზრუნველვყოთ ამ კავშირის შიგნით პროლეტარიატის ხელმძღვანელობა, გავაძლიეროთ ჩვენი მრეწველობის განვითარება და ახალ ტეხნიკურ საფუძვლებზე მოწყობა, ჩავაბათ გლეხობის მრავალმილიონიანი მასები კოოპერაციაში და ამით უზრუნველვყოთ ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ელემენტების გამარჯვება კაპიტალიზმის ელემენტებზე; მეორეს მხრივ—დავამყაროთ კავშირი, როგორც ყველა ქვეყნების პროლეტარებთან, ისე კოლონიალურ ქვეყნების ჩაგრულ ხალხებთან იმ მიზნით, რათა დახმარება გაუწიოთ რევოლიუციონურ პროლეტარიატს კაპიტალიზმზე გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

საშუალო შეძლების გლეხობის ნეიტრალიზაცია დღეს უკვე საკმარისი აღარ არის.

ეხლა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რათა დამყარებული იქნას მტკიცე კავშირი საშუალო გლეხობასთან, რათა დამყარდეს სწორი ურთი-ერთ დამოკიდებულება პროლეტარიატსა და გლეხობის შორის.

ვინაიდან, თუ სწორია ლენინის დებულება, რომ „გლეხობასთან სწორი დამოკიდებულების 10—20 წლიწადი და გამარჯვება უზრუნველყოფილია მსოფლიო მაშტაბით",—ასევე სწორია ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ „წინ გავსწიოთ უფრო ფართო ძლიერი მასით და აუცილებლად გლეხობასთან ერთად".

სახელმწიფო მრეწველობის უბრალო განვითარება დღეს უკვე საკმარისი აღარ არის. მით უმეტეს საკმარისი არ არის ომის წინა დროის დონე. ეხლა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ წინ წავსწიოთ ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის ახალ საფუძვლებზე მოწყობის საქმე და მისი შემდგომი განვითარება ახალ ტეხნიკურ ბაზაზე. ვინაიდან ჩვენი სახელმწიფო მრეწველობა არის სოციალისტური ტიპის მრეწველობა. ვინაიდან იგი არის ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატის დიქტატურის მთავარი ბაზა. ვინაიდან ასეთი ბაზის გარეშე ზედმეტია ლაპარაკი ჩვენი ქვეყნის გარდაქმნაზე ინდუსტრიალურ ქვეყანად, ახალი ეკონომიურ პოლიტიკის რუსეთის გარდაქმნაზე სოციალისტურად რუსეთად.

სოფლად კოოპერაციის უბრალო განვითარება დღეს უკვე საკმარისი აღარ არის. ეხლი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გლეხობის მილიონიანი მასები ჩავაბათ კოოპერაციაში, შევქმნათ კოოპერატიული საზოგადოებრიობა სოფლად. ვინაიდან კოოპერაცია პროლეტარიატის დიქტატურის და სოციალისტური მრეწველობის არსებობის პირობებში არის სოციალისტურ მშენებლობის სისტემაში გლეხობის ჩაბმის მთავარი პირობა.

ასეთია საერთოდ ის პირობები, რომლებიც საჭიროა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გასამარჯვებლად.

8 წლის წინად პარტიამ მიაღწია გამარჯვებას ბურჟუაზიის ძალა-უფლებაზე, იმიტომ, რომ მან გამოიჩინა ლენინური სიმტკიცე პროლეტარიატის ამოცანების გაბატონების საქმეში, მიუხედავად მრავალ სიძნელეთა, მიუხედავად მერყეობისა მის სხვადასხვა რიგებში.

დღეს, 8 წლის შემდეგ პარტიას აქვს სრული შესაძლებლობა უზრუნველჰყოს გამარჯვება ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტურ ელემენტებზე, თუ იგი გამოიჩენს ძველ ლენინურ სიმტკიცეს თავის ამოცანების შესრულების საქმეში, მიუხედავათ მრავალ სიძნელეთა, მიუხედავათ შესაძლებელ მერყეობათა მის სხვა და სხვა რიგებში.

ლენინური სიმტკიცე პროლეტარიატის მორიგ ამოცანების განხორციელების საქმეში—ეს აგრეთვე არის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის.

ი. სტალინი.

დასავლეთის მუშების დელეგაცია საბჭოთა კავშირში

გერმანიის მუშები გზავნიან ახალ დელეგაციებს

მოსკოვში ჩავიდა დანიის მუშების დელეგაცია

საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა მშრომელთა ახალგაზრდობის საერთაშორისო დელეგაცია.

საბჭოთა ჩერვონეცი ავსტრიის ბირჟაზე

გერმანიის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია საბჭოთა კავშირში.

ბერლინი, 8 ნოემბ. შტუტგარდტში შესდგა მუშათა ახალგაზრდობის კრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ორგანიზაციის გარეშე მყოფ ახალგაზრდა მუშებმაც. კრებაზე არჩეულ იქნა დელეგატი—საბჭოთა კავშირში გასაგზავნათ. ჰალეშიც მუშა-ახალგაზრდობის მრავალრიცხოვან კრებაზე არჩეულ იქნა დელეგაცია საბჭოთა კავშირში გასაგზავნად.

დანიის მუშათა დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 9 ნოემბერი. 6 ნოემბერს მოსკოვში ჩამოვიდა დანიის მუშათა დელეგაცია, რომელსაც თავმჯდომარეობს ადამსენი. დელეგაციას სადგურში შეხვდენ საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს, პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტის და ფაბრიკა-ქარხნების მუშათა წარმომადგენლები.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარის დროს დელეგაციის თავმჯდომარემ ადამსენმა (სოციალ-დემოკრატი) განაცხადა:

„ჩვენი დელეგაცია არჩეულია დანიის სხვადასხვა საფაბრიკო-საქარხნო წარმოებებში. დანიის პროფკავშირთა ცენტრალური გაერთიანება სხვადასხვა მოსაზრებით გაურბოდა დელეგაციის გამოგზავნას საბჭოთა კავშირში, მაგრამ პირველი საფეხურის პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა და მუშათა მასამ, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს საბჭოთა კავშირისადმი, თვითვე შექმნეს კომიტეტი, რომელმაც ხელმძღვანელობა გაუწია მუშების წარმომადგენელთა გამოგზავნას საბჭოთა კავშირში. დელეგაციის არჩევნებში მონაწილეობას იღებდენ მუშათა ფართო მასები. დელეგაციას დავალებული აქვს გულდასმით შეისწავლოს მუშების ყოფა-ცხოვრება და აგრეთვე საბჭოთა კავშირის მეურნეობის მდგომარეობა".

მშრომელი ახალგაზრდობის საერთაშორისო დელეგაცია

მოსკოვი, 9 ნოემბერი. 6 ნოემბერს მოსკოვში ჩამოვიდა მშრომელი ახალგაზრდობის საერთაშორისო დელეგაცია. დელეგაციაში შედიან გერმანიის და ბელგიის წარმომადგენლები.

დელეგაციის თავმჯდომარე გაუნშტეინი შეეხო დელეგაციის ჩამოსვლის მიზანს და განაცხადა:

„ჩვენი ჩამოსვლის მიზანია შევისწავლოთ თქვენი მდგომარეობა და ობიექტიურად შევაფასოთ ის. ჩვენ შევპირდით ჩვენს ამხანაგებს, რომლებიც დარჩენ საზღვარ-გარეთ, კეთილსინდისიერად გავეცნობოდით რუსეთის ახალგაზრდობის ცხოვრებას. ჩვენ მათ უამბობთ სრულ სიმართლეს იმის შესახებ, რასაც ჩვენ ვნახავთ რუსეთში".

ჩერვონეცი ვენის ბირჟაზე

ვენა. 8 ნოემბ. ავსტრიის სახელმწიფო ბანკმა განკარგულება გასცა, რომ ვენის ბირჟაზე ამიერიდან დაშვებულ იყვეს ჩერვონეცების გადახურდავებაც.

საბჭოთა თამასუქები ვენაში.

ვენა. 8 ნოემბ. ავსტრიულ გაზეთების ცნობით—ხელმძღვანელ წრეებს განზრახვა აქვთ, ხელი შეუწყონ საბჭოთა თამასულების ტრიალს ავსტრიის ბაზარზე. ამის მიზეზი ის არის, რომ ავსტრიის ბევრი ფირმის არსებობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირი მისცემს მათ დაკვეთებს.

ამხ. სემაშკოს პატივსაცემად.

ბერლინი. 8 ნოემბ. სქესობრივ ავადმყოფობასთან მებრძოლ გერმანიის საზოგადოებამ ამხ. სემაშკო დიდის პატივისცემით მიიღო. მას შეეგებენ სახელმწიფო და სამკურნალო დაწესებულებათა წარმომადგენელნი. ამხ. სემაშკომ დიდი მადლობა გადაუხადა ასეთი გულწრფელი მიღებისათვის და განსაკუთრებით აღნიშნა გერმანელ და რუს მეცნიერთა საერთო ამხანაგური თანამშრომლობა.

დიდი ხურულდანის ყრილობა.

ულან-ბატორი. 8 ნოემბ. გაიხსნა დიდი ხურულდანის მე-2 ყრილობა. (ხურულდანი არის მონღოლეთის ერთგვარი პარლამენტი, რომელიც უახლოვდება საბჭოთა კლასიურ სისტემას).

ყრილობაზე მონღოლეთის ველის ყოველი კუთხიდან ჩამოვიდა 90-მდე წევრი, მათ შორის 5 ქალი. პრეზიდიუმის საპატიო წევრებად არჩეული იქნენ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ნიკიფოროვი და კომინტერნის წარმომადგენლები აგამაევი და ნაცოვი.

ხურულდანმა გაუგზავნა საბჭოთა კავშირის მთავრობას მისალმება, რომელშიაც ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სულ უფრო და უფრო მტკიცდება კავშირი მონღოლეთის და საბჭოთა კავშირის მშრომელებს შორის, და აღნიშნავს, რომ მონღოლეთის მშრომელები საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად იბრძოლებენ მჩაგვრელთა წინააღმდეგ აღმოსავლეთში.

ბრძოლა მაროკოში

აჟდირი არ უჭირავთ ესპანელებს

ბერლინი, 8 ნოემბ. შვეიცარიის გაზეთების სპეციალური კორესპონდენტები უარყოფენ ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში გამოქვეყნებულ ცნობას ესპანეთის ჯარების მიერ აჟდირის დაკავების შესახებ. შვეიცარიელი კორესპონდენტები ამტკიცებენ, რომ ესპანელების მხოლოდ ცალკე რაზმები შეიჭრენ აჟდირში და დასწვეს იქ აბდ-ელ-ქერიმის სახლი, შემდეგ კი ისინი განდევნეს რიფებმა. ესპანელების ფრონტის ხაზი გადის მთეჩით ქალაქის დასავლეთით რამოდენიმე კილომეტრის მანძილზე. მთები ნავთსადგურის აღმოსავლეთით რიფების ხელშია. რაც შეეხება აჟდირს, ის არც ესპანელების ხელშია, არც აბდ-ელ-ქერიმის, ის გადაქცეულია ბრძოლის ასპარეზად ორივე მხარეს შორის.

რიფების იერიშები

პარიზი, 8 ნოემბ. გაზეთ „ნიუ-იორკ-ჰერალდ"-ის მადრიდული კორესპონდენტის ცნობით, რიფებმა კვლავ იერიშები მიიტანეს ესპანელებზე აჟდირსთან, მაგრამ უკუქცეული იქნენ და დიდათ დაზარალდენ.

აბდ-ელ-ქერიმის ხერხი

ბერლინი, 8 ნოემბ. გაზეთების ცნობით, აბდ-ელ-ქერიმმა მოახერხა ხელში ჩაეგდო მნიშვნელოვანი თანხა, რომელიც ინახებოდა ტეტუანის ნაციონალურ ბანკში.

პენლევეს ფინანსიური „რეფორმები"

პარიზი, 8 ნოემ. მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა პენლევეს მიერ წარდგენილი ფინანსიური კანონ-პროექტები, რომელთა მიხედულობითაც არსდება განსაკუთრებული საამორტიზაციო ფონდი, რომელიც სრულიად დამოუკიდებელი იქნება სახელმწიფო ხაზინიდან. ამ ფონდის დანიშნულებას შეადგენს ხაზინის მოკლე ვადიან სესხების და ეროვნულ თავდაცვისათვის გამოშვებულ სესხების გასტუმრება მხოლოდ იმ ანგარიშით, რომ 65 მილიარდი გასტუმრებული უნდა იქნეს 14 წლის განმავლობაში.

საამორტიზაციო ფონდი უნდა შესდგეს 20 ფრანკიანი პირადი გადასახადიდან, რომლითაც დაბეგრილ უნდა იყვენ როგორც ყველა ფრანგები, ისე საფრანგეთში მცხოვრები უცხოელებიც 21 წლის ზევით. შემდეგ შემოღებულ უნდა იქნეს საგანგებო გადასახადი ყველა უძრავ და მოძრავ ქონებაზე. სავალდებულო გადასახადებისათვის გაღებული კრედიტი 2,9 მილიარდი გადაეცემა საამორტიზაციო ფონდში, რომლიდანაც გამოაკლებენ თანხას აუკრეფავ გადასახადების დასაფარავად. სხვადასხვა ფინანსიური ზომებით განზრახულია საამორტიზაციო ფონდის უზრუნველყოფა 8 მილიარდი ფრანკის შემოსავლით წლიურად. აქედან 3 მილიარდი მოხმარდება სახელმწიფო ვალების გასტუმრებას.

უკანასკნელი ცნობები

ოქტომბრის რევოლუციის 8 წლისთავი

მოსკოვი, 9 ნოემბერი. 6 ნოემბერს, საღამოს, დიდ თეატრში შესდგა მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა ოქტომბრის რევოლუციის აღსანიშნავათ.

მოხსენებით ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობაზე გამოვიდა ამხ. კამენევი, რომელიც შეეხო მუშათა კლასის ბრძოლას ოქტომბრის რევოლუციამდი და აღნიშნა, რომ ოქტომბრის გადატრიალების ძირითადი ამოცანა იყო ახალი ტიპის სახელმწიფოს შექმნა, რომელსაც გზა უნდა ეჩვენებინა მთელი ქვეყნის პროლეტარიატისათვის, სოციალისტურ წარმოების მოწესრიგება და აღმშენებლობაში მშრომელთა მასების ჩაბმა. ეს ამოცანები ოქტომბრის რევოლუციამ განახორციელა.

კამენევის სიტყვის შემდეგ მისალმებით გამოვიდენ მოსკოვის მაზრის გლეხები.

შემდეგ მოსკოვის პროლეტარიატს ოქტომბრის რევოლუციის 8 წლისთავის გამო მიესალმა გომინდანის პარტიის და კანტონის მთავრობის წევრი ხუნ-გიჩი.

დიდი ხურულდანის დეპეშა

მოსკოვი, 9 ნოემბერი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა მიიღო დეპეშა მონღოლეთის მე-2 დიდი ხურულდანის პრეზიდიუმისაგან, რომელშიაც ხურულდანი ძმურ სალამს უძღვნის საბჭოთა კავშირის მშრომელთა მასებს და აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირსა და მონღოლეთს შორის მეგობრული განწყობილება კიდევ უფრო გაძლიერდება და განმტკიცდება ოქტომბრის რევოლუციის მთელს ქვეყანაზე გამარჯვებამდე.

დეპუტატთა პალატის ფინანსიური კომისიის რეზოლუცია

პარიზი, 8 ნოემბერი. დეპუტატთა პალატის ფინანსიურმა კომისიამ 17 ხმის უმრავლესობით 14 წინააღმდეგ მიიღო სოციალისტ ორიოლის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია, რომელშიც წინადადებას აძლევს მთავრობას არ მიმართოს ინფლიაციას რა სახითაც არ უნდა იყვეს და ხაზს უსვამს იმას, რომ საგანგებო გადასახადი არ უნდა ემყარებოდეს ჩვეულებრივ გადასახადების გადიდებას.

„ფრანკის გაჯანსაღება, ნათქვამია რეზოლუციაში, უნდა უზრუნველყოფილი იქნეს რეალური გარანტიით, რომელიც უნდა ემყარებოდეს ქვეყნის ყველა საწარმოო ძალთა გამოყენებას“.

პენლევეს პირობები

პარიზი, 8 ნოემბ. პარლამენტის ფინანსიური კომისიის მიერ დადგენილების მიღებამდი პენლევე ესაუბრა კომისიის მემარცხენე ჯგუფის წევრებს და განაცხადა, რომ ის მიიღებს კომისიის შესწორებებს, მაგრამ არ დასთანხმდება თავისი პროექტის საფუძვლიანათ შეცვლაზე.

ცეცხლი დილიჟანის ტყეებში

დილიჟანი, 9 ნოემბერი. დილიჟანის ტყეებში გაჩნდა დიდი ცეცხლი. ჩამოვიდა მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ერზიკიანი. მიღებულია ყოველგვარი ზომები ცეცხლის ჩასაქრობად.

ოქტომბრის დღეები სომხეთში

ერევანი, 9 ნოემბერი. სომხეთის ყველა მაზრებიდან იტყობინებიან, რომ ოქტომბრის დღესასწაული ყველგან დიდი ზეიმით და აღფრთოვანებით ჩატარდა.

საბჭოთა ნავთი საზღვარგარეთ

ბაქო, 9 ნოემბერი. ნავთის სინდიკატმა მიჰყიდა „პეტროლ ბლოკის“ ფირმას 10,000 ტონა ნავთი, რომლის გატანაც განზრახულია ეგვიპტეში. გაგზავნილია საზღვარ-გარეთ 6,200 ტონა ბალახანის მაზუთი, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა საზღვარ-გარეთ.

სპარსეთის მთავრობის ცნობა

თეირანი, 8 ნოემბ. ოფიციალურად იტყობინებიან, რომ საბჭოთა კავშირის, ინგლისის, გერმანიის, იტალიის, ბელგიის და პოლონეთის მთავრობებმა იცნეს სპარსეთის ახალი მთავრობა.

პრესა არაფერს არ ლაპარაკობს იმაზე თუ რა მიზანი აქვს საფრანგეთს, რომელსაც ჯერ კიდევ არ უცვნია სპარსეთის მთავრობა.

ლონდონი, 8 ნოემბ. ინგლისის მთავრობამ იცნო დროებით სპარსეთის ახალი მთავრობა იმ პირობით, თუ უკანასკნელი იკისრებს თავის თავზე ინგლისთან არსებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ ვალდებულებებს და განამტკიცებს წესრიგს ქვეყანაში.

ლოკარნოს ხელშეკრულება საფრთხეში

ლონდონი, 8 ნოემბ. ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაზეთი „დეილ ტელეგრაფი“ თავის მოწინავეში სასტიკი კილოთი ჰკიცხავს შტრეზემანს, რადგან ის ლოკარნოს ხელშეკრულების შესახებ წარმოთქმულ სიტყვებში სერიოზულ მნიშვნელობას აძლევს ჩემბერლენისა და ბრიანის დაპირებებს კელნის ზონის ევაკუაციის შესახებ. გაზეთი იმაზეც მიუთითებს რომ დიდი სახელმწიფოები სრულიადაც არ ცდილობენ შტრეზემანის გამოყვანას—გაჭირვებიდან.

იმავე გაზეთის დიპლომატიურ კორესპონდენტის ცნობით—გერმანიის ელჩებმა შეატყობინეს ანტანტის სახელმწიფოებს, რომ ლოკარნოს ხელშეკრულება დიდი საფრთხის წინაშე იმყოფება, თუ გერმანიისთვის სიტყვიერათ მიცემული დაპირებანი ხულ მოკლე დროში არ იქნება შესრულებული.

ამის შესახებ დიპლომატიური კორესპონდენტი შენიშნავს: იმ დროს, როცა გერმანია ლოკარნოს ხელშეკრულების დამტკიცებისთვის აუცილებლათ სცნობს წინასწარ ყველა იმ დაპირებათა შესრულებას, რაც კი ინგლისსა და საფრანგეთს მიუციათ სიტყვიერათ—გერმანიისთვის, ინგლისი და საფრანგეთი ფიქრობენ, რომ ამ დაპირებების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ ხელშეკრულების დამტკიცების შემდეგ.

„დეილ ტელეგრაფის“ ამ ცნობებს ადასტურებენ კიდევ „ტაიმსის“ მიერ პარიზიდან და ბრიუსელიდან მიღებული ცნობები და „დეილ ნიუზის“ დიპლომატიურ კორესპონდენტისაგან მიღებული დეპეშები.

„დეილ ტელეგრაფის“ დიპ. კორესპონდენტი შემდეგ აღნიშნავს, რომ შტრეზემანი სცდება, როცა ის აცხადებს, თითქოს ელზას-ლორენის და გერმანიის საკითხი შეიძლება ახლად დაისვას, ან გერმანია-პოლონეთის საზღვარი შეიძლება შეცვლილ იქნეს.

კორესპონდენტის სიტყვით—ეს საკითხები საბოლოოთ არიან გადაწყვეტილი და იმათი ახლად განხილვა შეუძლებელია.

აჯანყება სირიაში

კომუნისტები მოითხოვენ სირიის ევაკუაციას.

პარიზი, 8 ნოემბ. დეპუტატთა პალატის სხდომაზე სიტყვებით გამოვიდენ კომუნისტი დეპუტატები—ბერტონი, კაშენი და დორიო, რომელთაც მოითხოვეს სამხედრო მოქმედების შეწყვეტა სირიაში და მისი დაუყოვნებლივ განთავისუფლება.

პენლევემ განაცხადა, რომ საფრანგეთის ჯარები დარჩებიან ამ მხარეში, სანამ იქაური ხალხი არ გამოიჩენს ნიჭსა და უნარს თვითმართველობისას.

უმაღლესი კომისარი

პარიზი, 8 ნოემბ. უმაღლეს კომისრათ სირიაში დაინიშნა დე-ჟუვენილი.

ჩინეთის ამბები

უნ-ჩუან-ფანის მფარველობის ქვეშ.

პეკინი, 8 ნოემბ. შანხაის 117 პროფკავშირმა გაუგზავნა სუნ-ჩუან-ფანს დეპეშა, რომელშიაც მოითხოვენ კანონიერ მფარველობას და აღნიშნავენ, რომ ხალხი ზიზღით უცქერის მუკდენის მილიტარისტებს, რომლებიც სდევნიან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ნაციონალურ მოძრაობას. მუკდენელების შანხაიდან გასვლის შემდეგ, ხელისუფლება პროფკავშირებს და ნაციონალურ რევოლუციონურ ორგანიზაციებს კიდევ არ აძლევს ლეგალურად არსებობის საშუალებას.

პროფკავშირთა დელეგატების კრებამაც პროტესტით მიმართა სავაჭრო პალატას პოლიციის უკანასკნელი განკარგულების გამო.

ომი ჩრდილოეთში აუცილებელია.

პეკინი. 8 ნოემბერი. „შუნ-ტიან-შიბაო“-ს კორესპონდენტის ცნობით, ჩჟან-ცზო-ლინის მუკდენის ყველა გამოჩენილ ლიდერებს აუცილებლად მიაჩნიათ ომი ჩრდილოეთში, რის გამო მთელი ძალღონით ცდილობენ განამტკიცონ მანჯურიის შინაური მდგომარეობა, რათა მუკდენის ჯარების დამარცხების შემთხვევაში, მანჯურია დაცული იქნეს მტრისაგან.

კორესპონდენტის სიტყვით, ჩჟან-ცზო-ლინის ბინაზე ყოველდღე იმართება სამხედრო თათბირები.

ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაული

მერვე წლისთავი

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი, 7 ნოემბერი. „პრავდა“ მოწინავე წერილში ამ სათაურით სწერს:

„უკვე რვა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთის პროლეტარიატმა, რომელსაც მხარს უჭერდა მშრომელი გლეხობა და ჯარისკაცების მრავალმილიონიანი არმია, ნამსხვრევებად აქცია ძველი წესწყობილების ერთ დროს ძლიერი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია და მტრის ტყვიების ცეცხლით გარშემორტყმულმა დაიწყო თავისი დიქტატურის შენობის აგება. მიდიოდენ წლები: წლები ძველის ნაშთების მოსპობისა, წლები შეუპოვარი, უაღრესად მძიმე, საშინლად გამწვავებული და სისხლის მღვრელი სამოქალაქო ომის, წლები სიმშილობის, შავი ჭირისა და სახადის, როცა პროლეტარიატი იცავდა თავისი დამოუკიდებელი არსებობის უფლებას, იბრძოდა მიწისათვის, მშვიდობიანობისათვის, ფაბრიკისა და დიქტატურისათვის.

დიდი და მართლაც გმირული დრო განვვლეთ და აი, ეხლა ფრთა გაშლილი მივფრინავთ მერვე წლისთავიდან მომავლისაკენ. რას გვიქადის ის? რა გვინდა ჩვენ? ჩვენ მივდივართ წინ და ღრმად გვწამს ჩვენი საქმის სიმართლე და გამარჯვება.

ჩვენ დავსძლევთ ყველა დაბრკოლებებს, თუ ჩვენვე ვიქნებით აქტიურნი, თუ სოციალისტურ აღმშენებლობაში სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით ჩაბმული იქნებიან მასები. ჩვენ ვალდებული ვართ თვალისჩინივით გაუფრთხილდეთ ჩვენი რევოლუციის მონაპოვართ. მეტი თვითმოქმედება, მეტი გასაქანი მუშებს და გლეხებს. პროლეტარული ავანგარდის მეტი შემოქმედებითი აქტივობა.

რევოლუციის წლების განმავლობაში სიკვდილმა საფლავი გაუთხარა ათი ათასობით საუკეთესო მებრძოლთ.

სიკვდილმა მოგვტაცა გენიალური ილიჩი. სულ ამ რამოდენიმე დღის წინ მან გამოაკლო ჩვენს რიგებს ფრუნზე. ის ზედი-ზედ გვაცლის ძველ ბოლშევიკებს და აქედან ჩვენ გვიახლოვდება კიდევ ერთი საფრთხე. მაგრამ ჩვენ აქაც ყველაფერს გადავლახავთ, თუ ნათლად გავითვალისწინებთ ამოცანას და მთელი ჩვენი ენერგიით გადავესვრით მას. დაუშრეტელია პროლეტარიატის რევოლუციონურ ძალების მარაგი. ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯის მიხედვით ჩვენს ეკონომიკაში იზრდება რიცხვობრივად და თვისობრივად მუშათა კლასი, ჩვენი საზოგადოების წინამძღოლი და ხელმძღვანელი. ის ამტკიცებს თავის ძალებს, იზრდება სულიერად, სულ უფრო და უფრო ფხიზელი ხდება მისი თვალი, უფრო და უფრო მაგრდება მისი ხელი და უფრო საიმედო ხდება მისი ძალა და მისი შეფასება. თავისი ხელისუფლების მეცხრე წლის მიჯნაზე მას შეუძლია მხნეთ გახედოს მომავალს. ჩვენ მივდივართ სოციალიზმისაკენ“.

მთელს საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 8 ნოემბ. საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან მოდის ცნობები ოქტომბრის 8 წლის თავის დღესასწაულის შესახებ, რომელიც აღფრთოვანებით იყო ჩატარებული ყველგან. მრავალ ქალაქებში წლისთავი აღნიშნული იყო ახალი კულტურული საქმისათვის საძირკვლის ჩაყრით.

მაგალითად, ყაზანში სახალხო კვების მუშაკთა კავშირმა გახსნა სასადილო მუშებისათვის.

სტავროპოლში ამუშავებულ იქნა გადამცემი რადიო-სადგური, რომელიც მოქმედობს 300 ვერსის მანძილზე.

ლენინგრადში ქარხანამ „წითელი არსენალი“ გამოუშვა ნარტროპის სისტემის ავტომატიური საქსოვი მანქანა.

მინსკში მრავალ წარმოებებში ამუშავებულია ახალი მანქანები, გახსნილია კლუბები და ბავშვთა ბაგები.

ბელორუსიის სოფლებში გაიხსნა მრავალი ახალი ქოხ-სამკითხველოები, სახალხო სახლები, სასოფლო სამეურნეო წრეები და საბავშო ბაგები.

პოლონეთის საზღვრის ახლო მდებარე სოფლებში შესდგა გლეხების მიტინგები სანაპირო რაზმების წითელარმიელთა მონაწილეობით. მინსკიდან სოფლებში გაემგზავრენ საშეფო უჯრედები დღესასწაულის ჩასატარებლად.

ოდესაში ამუშავებული იქნა ლინოლეუმის ჩამოსასხმელი, საარმატურო და სხვა ქარხნები.

ზეიმი მოსკოვში

მოსკოვი, 9 ნოემბ. 7 ნოემბერს დილის 10 საათზე წითელ მოედანზე დემონსტრაციის დაწყებამდე შეიკრიბენ მოსკოვის რაიონების დელეგატები, რომელთაც მიესალმა საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს თავმჯდომარე ტომსკი.

„გერმანიის ყოფ. ჯარისკაცთა წითელი კავშირის დელეგაციამ,—ამბობს ტომსკი,—რომელიც ამ ჟამად სტუმრად იმყოფება მოსკოვში, დამავალა გადმოგცეთ თქვენ, მოსკოვის მუშებს წითელი დროშა.

გერმანიის ყოფ. ჯარისკაცთა წითელი კავშირი, რომელიც დაარსდა 1924 წელს,—ეს არის კლასიური პროლეტარული მებრძოლი ორგანიზაცია, რომლის რიგებში შედის 10,000-დე პროლეტარი.

დროშასთან ერთად კავშირმა გამოუგზავნა მოსკოვის მუშებს წერილი, რომელიც დაწერილია კავშირის ფართო მიტინგის დავალებით ბერლინში, 28 ოქტომბერს“.

ტომსკი კითხულობს წერილის თარგმანს, რომელშიაც ნათქვამია:

„თქვენი ძლევამოსილი რევოლუციის მერვე წლის თავზე გერმანელ ყოფ. ჯარისკაცთა წითელი კავშირი უგზავნის მოსკოვის მუშებს წითელ დროშას. მიიღეთ ეს დროშა იმ ორგანიზაციისაგან, რომელმაც ბრძოლის დღეებში მოიპოვა ნდობა და სიყვარული გერმანიის ფართო პროლეტარულ წრეებში. გიგზავნით მას ნიშნად რევოლუციონურ კლასიურ სოლიდარობისა და ერთგულებისა, რაც აკავშირებს გერმანიის მუშათა კლასს საბჭოეთის პროლეტარიატთან.

გერმანიის მრავალ მილიონიან მუშების სალამი და იმედები თან მოჰყვებიან დროშას თქვენი რევოლუციის მერვე წლის თავზე.

გაშალეთ საზეიმოდ ჩვენი დროშა ლენინის საფლავთან ნიშნად იმისა, რომ გერმანიის მრავალ მილიონიანი მუშები თქვენთან ერთად დაიცავენ ჩვენი დიდი მასწავლებლის მემკვიდრეობას.

წინააღმდეგ ლოკარნოს ხელშეკრულებისა, ჩვენ დამოუკიდებელი სოციალისტური გერმანიის სახელით შევკრავთ კავშირს პირველ პროლეტარულ სახელმწიფოსთან. კლასობრივად შეგნებული პროლეტარიატი დაამარცხებს კაპიტალიზმს და აღმართავს გამარჯვების წითელ დროშას.

გაუმარჯოს ლენინის საქმეს! გაუმარჯოს პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს მსოფლიოში“.

წერილს ხელს აწერს კავშირის გამგეობის [illegible] ტელმანი.

ტომსკი გადასცემს დროშას რ. კ. პ. მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის პროფკავშირთა საგუბერნიო საბჭოს წარმომადგენელ მიხაილოვს, რომელმაც მოსკოვის მუშების სახელით მადლობა გადაუხადა და ძმური სალამი უძღვნა გერმანიის წითელ ფრონტელების კავშირს.

დროშის გადაცემის ცერემონიალის შემდეგ იწყება ქალაქის რაიონების მუშების დემონსტრაცია.

ტრიბუნაზე არიან კალინინი, ტომსკი, იაროსლავსკი, ენუქიძე და სხვ. მარჯვენა ტრიბუნაზე მავზოლეისთან არიან სტუმრები—დელეგატები მოსკოვის გუბერნიის გლეხობისაგან რიკოვთან ერთად, დანიის და ნორვეგიის დელეგაციების წევრები, აგრეთვე გერმანიის ახალგაზრდათა დელეგაციის და წითელ ფრონტელების კავშირის წევრები განუწყვეტლივ მოდიან დემონსტრანტების რიგები, რომლებიც ტრიბუნის მახლობლად გაივლიან, უძღვნიან სალამს კომუნისტურ პარტიის, წითელი პროფმოძრაობის ხელმძღვანელებს, ოქტომბრის რევოლუციის მერვე წლის თავს, მსოფლიო პროლეტარიატს, აღმოსავლეთის ჩაგრულ ერებს.

მქუხარე ტაშის ცემით ხვდებიან ტრიბუნაზე კლარა ცეტკინს, რომელიც ესალმება მოსკოვის მუშებს და გაიძახის „ძირს ლოკარნო! გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას!“.

„ამხანაგებო—ისმის ტრიბუნიდან აქ არის მოხუცი პარიზელი კომუნარი ინარი. გაუმარჯოს პარიზის კომუნას!“.

— გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს,—ისმის ათი ათასი დემონსტრანტების ხმები.

მზემ გამოანათა ღრუბლებიდან გამოჩნდება ჰაეროპლანი, რამოდენიმეჯერ გადატრიალდება ჰაერში და შემდეგ გაქრება სადღაც. მალე უკანვე ბრუნდება მთელი ესკადრილიით, რომელიც დასტრიალებს მოედანს.

პროცესია გრძელდება შემოღამებამდე. განუწყვეტლივ ისმის ძლევამოსილი „ვაშა“.

გლეხთა ინტერნაციონალის მოწოდება

მოსკოვი, 9 ნოემბერი. გლეხთა ინტერნაციონალმა მიმართა საბჭოთა კავშირის გლეხებს და მუშებს და ყველა ქვეყნების რევოლუციონურ გლეხობას მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია:

„ყოფილ მეფის რუსეთის მუშათა კლასის და რევოლუციონურ გლეხობას გამარჯვების,—ოქტომბრის რევოლუციის მე-8 წლის თავზე გლეხთა ინტერნაციონალის პრეზიდიუმი მხურვალე სალამს უძღვნის მსოფლიოში პირველ მუშურ-გლეხურ რესპუბლიკას ყველა ქვეყნის ჩაგრულ გლეხობის მილიონიან მასების სახელით.

ყველა ქვეყნების რევოლუციონური გლეხობა მომავალ კლასობრივ ბრძოლებში წაბაძავს საბჭოთა კავშირის გმირულ პროლეტარიატის და გლეხობის მაგალითს, რომელმაც სიმშილობის და ნგრევის მძიმე წლებში იარაღით ხელში მოიგერია მსოფლიო ბურჟუაზიის შემოტევა მსოფლიოში პირველ შრომის რესპუბლიკის წინააღმდეგ. ყველა ქვეყნების რევოლუციონური გლეხობა თქვენთან არის, საბჭოთა კავშირის მუშებო და გლეხებო! აშენეთ შრომის ბრწყინვალე სამეფო! მთელი მსოფლიოს დარაზმული გლეხობა საჭირო მომენტში თავის მკერდით დაიცავს თქვენთან ერთად ყველა თქვენს მონაპოვარს“!

გერმანიაში

ბერლინი, 8 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლუციის მე-8 წლის თავზე საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში გაიმართა საზეიმო დარბაზობა, რომელსაც დაესწრენ, ჩიჩერინი, სემაშკო, და გერმანიის მთავრობის წარმომადგენლები, მათ შორის ლიუტერი, შტრეზემანი, პრუსიის პრემიერი ბრაუნი, გენერალი ფონ-სეკტი, ბროკდორფ რანცაუ, დიპლომატიურ კორპუსის წევრები, ყველა პოლიტიკურ პარტიების, მეცნიერების და ტეხნიკის რამდენიმე ასეული წარმომადგენლები, მათ შორის ეინშტეინი, რეინჰარდტი და სხვა მრავალი.

ჩინეთში

პეკინი, 8 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლუციის 8 წლის თავის გამო, საბჭოთა კავშირის საელჩოში გაიმართა წვეულება, რომელსაც დაესწრენ ჩინეთის მთავრობის და დიპლომატიურ კორპუსის წარმომადგენლები.

არ გამოცხადებულა მხოლოდ ინგლისის წარმომადგენელი, რომელსაც არც მისასალმებელი ბარათი გამოუგზავნია.

ჩინეთის მრავალრიცხოვან საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა გამოგზავნეს თავისი წარმომადგენლები, რომლებმაც თან მოიტანეს დროშები, პლაკატები და სურათები წარწერებით და ლოზუნგებით. სხვადასხვა უნივერსიტეტების 500-დე სტუდენტი გამოცხადდა წვეულებაზე და გადასცა საელჩოს მისალმება.

პეკინის სტუდენტებმა გამართეს მრავალრიცხოვანი კრება ოქტომბრის რევოლუციის წლისთავის აღსანიშნავად. პეკინის ნაციონალური უნივერსიტეტის დარბაზში შეკრებილი მრავალრიცხოვანი სტუდენტები გულდასმით უსმენდენ ორატორებს, რომლებიც ახასიათებდენ საბჭოთა კავშირის ეხლანდელ პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას.

კრება, რომელიც გაგრძელდა 7 საათს, დასრულდა სიტყვებით: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, გაუმარჯოს ჩინეთს, გაუმარჯოს კომპარტიას“.

იაპონიაში

ტოკიო, 8 ნოემბ. ოქტომბრის რევოლუციის მე-8-ე წლისთავი დიდი ზეიმით იდღესასწაულა სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ. ზეიმს დაესწრენ: თითქმის მთელი დიპლომატიური კორპუსი, გარეშე საქმეთა მინისტრი შიდეხარა, გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი დებუში, ორივე პალატის წარმომადგენლები, ტოკიოს გუბერნატორი და სხვა გამოჩენილი საზოგად. და პოლიტიკური მოღვაწეები.

მიუხედავად პოლიციის მიერ მიღებულ ზომებისა, ზეიმზე დასასწრებლად გამოცხადდენ იაპონიის მემარცხენე პროფკავშირთა წარმომადგენლები.

სრულუფლებიან წარმომადგენლობას მოუვიდა მთელი რიგი მისასალმებელ დეპეშებისა მუშათა პროვინციალურ კავშირებისაგან.

საჯარო მიტინგები აკრძალული იყო, რის გამო გაიმართა კერძო კრებები.

მონღოლეთი

ულან-ბატორი, 8 ნოემბ. ოქტომბრის რევოლუციის წლისთავი დიდი აღტაცებით ჩატარდა მონღოლეთის დედა-ქალაქში. გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგები და დემონსტრაციები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს მონღოლეთის სახალხო პარტიის წევრებმა, ახალგაზრდათა კავშირის, მონღოლეთის ქალთა განყოფილების, პროფკავშირების და სხვა ორგანიზაციების წევრებმა და პიონერებმა.

ანგორაში

ანგორა, 8 ნოემბ. ოქტომბრის რევოლუციის მე-8-ე წლის თავის დღესასწაულის დღეს ანგორაში გაიმართა ფართო დემონსტრაცია, რომელიც მოაწყო ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კომიტეტმა. წვეულებას საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში დაესწრო დაახლოვებით 200 სტუმარი.

აზერბეიჯანში

ბაქო, 9 ნოემბერი. ჯერ კიდევ 7 ნოემბრის წინადღით ქალაქმა საზეიმო სახე მიიღო. ყველა სახელმწიფო დაწესებულებები მორთული იყო წითელი დროშებით, ყველა ქუჩები გაჩირაღდნებული იყო.

7 ნოემბერს დილიდანვე ქუჩები გაივსო ხალხით. ყველგან მოსჩანან თავისი წითელი დროშებით პიონერთა მწყობრი რიგები.

დღის 1 საათზე სახელმწიფო თეატრში გაიხსნა ბაქოს საბჭოს საზეიმო სხდომა რაისაბჭოებთან, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებთან ერთად.

სხდომა გახსნა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. რიზაევმა რომელიც შეეხო რევოლუციისათვის დაღუპულ ამხანაგების დამსახურებას. დარბაზი ფეხზე ადგომით პატივს ცემს დაღუპულ ამხანაგების ხსოვნას. მღერიან სამგლოვიარო ჰიმნს.

კრებას მიესალმა აზერბეიჯანის ცაკის თავმჯდომარე აღამალი-ოღლი, რომელიც შეეხო ოქტომბრის მნიშვნელობას არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი მსოფლიოს ისტორიაში.

შემდეგ გამოვიდენ მისალმებებით აზერბეიჯანის პროფსაბჭოს, კომკავშირის ცეკას და ბაქოს კომიტეტის, წითელი არმიის და ფლოტის და უპარტიო მუშების წარმომადგენლები. უკანასკნელად გამოვიდა აზერბეიჯანის ცაკის წევრი მიწის მუშა გლეხი ახვია მირზა-ზადე, რომელიც თავის სიტყვის დასასრულს ამბობს: „მხოლოდ ოქტომბრის შემდეგ აზერბეიჯანის მშრომელ გლეხობას ეღირსა თავისუფლება. გაუმარჯოს მუშების და გლეხების კავშირს“.

ოქტომბრის ზეიმი თბილისში

27 ნოემბერი გათენდა ულრუბლო, მზიანი, ხალისიანი და თბილი ამინდით.

როგორც ყოველ წელიწადს, ისე ეხლაც ჩვენი დედა-ქალაქი სადღესასწაულოდ იყო მორთული.

დილიდანვე საზეიმოთ მოწყობილ ქალაქს და შემოდგომის ნათელს—მშვიდ დღეს ქუჩებზე გამოჰყავს მშრომელთა უამრავი რაზმები.

ოქტომბრის რევოლუციის ყოველ წლისთავზე სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებული მილიონები დღესასწაულობენ ახალ-ახალ გამარჯვებებს, რომელთა მთავარი წყარო და სათავე არის 1917 წლის 25 ოქტომბერი.

ქუჩებზე გამოტანილ დროშებზე და პლაკატებზე ყოველ მოქალაქეს შეუძლია ამოიკითხოს, რა დევისებური ნაბიჯით მიდის წინ საბჭოთა კავშირის და მის შემადგენელ ცალკე რესპუბლიკების სამეურნეო და კულტურული განვითარება.

პლაკატების, დროშების და დიაგრამების ერთი თვალის გადავლება კმარა, რომ მიხვდე თუ რად ახარებს მშრომელთა დაულეველ ზღვას ეს დღე—ოქტომბრის დიდი რევოლუციის მოგონება.

ყოველი ასეთი დღესასწაული გამსჭვალულია მშრომელთა ერთი დიდი სურვილით, რომ გამარჯვება, სიხარული და აღფრთოვანება გაიზიაროს მთელი ქვეყნის მშრომელმა მასებმაც.

ამიტომ მოუწოდებს დღეს საბჭოების მუშათა კლასი მთელი ქვეყნის ჩაგრულებს აღსდგენ ისტორიისგან განწირულ წესწყობილების წინააღმდეგ, ამიტომ გაისმის ამ დღეს განსაკუთრებული სიმძლავრით მისი ძახილი: „გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს“.

ეს მოწოდება არის მთავარი ამ დღესასწაულში. სხვადასხვა სიტყვით და სხვა ფორმით ამას გამოხატავს ყოველი დროშა, ყოველი პლაკატი და ორატორის ყოველი სიტყვა.

ოქტომბრის დღესასწაული უაღლუმოთ ჩატარდა. წითელარმიელთა რაზმები გამოვიდენ მშრომელთა რაზმებთან ერთად.

დღესასწაულს განსაკუთრებულ სიცოცხლეს და სიხალისეს აძლევდენ ოქტომბრის მერცხლები—ნორჩი პიონერები.

ბავშვთა მწყობრი რაზმები, მუსიკით, დაფდაფის და საყვირის ხმაურით იმედებით და გამარჯვების რწმენით ავსებდენ ყოველი მშრომელის გულს.

მშრომელთა და წითელ არმიელთა რაზმების ნელი მოძრაობა, ინტერნაციონალის და სხვა რევოლუციონური ჰანგების მღერა, ორკესტრის გრიალი, ორატორების მოწოდებები და პიონერთა ცელქი ჟრიამული საღამომდე გრძელდება.

დგება საღამო,—ბინდდება ქალაქიც ზღაპრულ სამოსელში ეხვევა.

მომხიბვლელია ქალაქის ასეთი ფერისცვალება. თითქოს ქალაქის დიდი სასახლეები აგებული იყოს ლალის, ზურმუხტის—იაგუნდის მარგალიტის და საფირონის ძვირფასი ქვებით. გხიბლავს, გაჯადოებს, თვალს ვერ აშორებ ქალაქის აღმასკომის შენობას და სასახლეს, რომელნიც შემოსილი არიან ელექტრონის სინათლის ნაზი ფერებით.

საღამოს 8 საათიდან კლუბები და სათეატრო დარბაზები ივსება მოზეიმე მოქალაქეებით.

იწყება წარმოდგენები, კონცერტები, ლექსთა კითხვა და სხვა გასართობი.

მხიარულება გრძელდება რამოდენიმე საათს.

ნაშუაღამევს ყველა სახლისკენ მიეშურება სიხარულით და ბედნიერებით სავსე გულით.

ინ.

ამხ. ვოროშილოვის დანიშვნა

საბჭოთა კავშირის ცაკის დადგენილება სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახ. კომისარის და მის მოადგილეების დანიშვნის შესახებ

მოსკოვი, 7 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა:

1) საბჭოთა კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახ. კომისრად და რევოლიუციონურ—სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეთ დანიშნული იქნას **კლიმენტი ეფრემის ძე ვოროშილოვი.**

2) საბჭოთა კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის და რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეთ დამტკიცებული იქნას **მიხეილ მიხეილის ძე ლაშევიჩი.**

3) საბჭოთა კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისრის და რევოლიუციონურ—სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მეორე მოადგილეთ დამტკიცებული იქნას **იოსებ სტანისლავის ძე უნშლიხტი.**

ამხ. ვოროშილოვის ბიოგრაფია

მოსკოვი, 7 ნოემბ. ვოროშილოვი დაიბადა 1881 წელს 23 იანვარს ეკატერინოსლავის გუბ. ბახმუტის მაზრაში, ღარიბი გლეხის ოჯახში.

6 წლიდან დაწყებული ვოროშილოვმა ხელი მიჰყო ფიზიკურ შრომას. ორი წელიწადი ის სწავლობდა სახალხო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1895 წელს. 1896 წლიდან ის შევიდა დიუმის ქარხანაში სადგურ ალჩევსკისთან, ეკატერინოსლავის გუბერნიაში; აქ ვოროშილოვმა ცოტა ხანი დაჰყო, რადგან ის რამდენჯერმე გაჩხრიკეს და დააპატიმრეს რევოლიუციონურ გამოსვლებისათვის, 1900 წელს ის დათხოვნილი იქნა და იმყოფებოდა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ.

1904 წლის დასაწყისში ვოროშილოვი არჩეული იქნა ბოლშევიკების ცეკას წევრად. 1905 წლის დასაწყისში ის აწყობდა გაფიცვებს, ხოლო იმავე წლის მაისის დასაწყისში დაპატიმრებულ იქნა ლუგანსკში, სადაც 8 თვე დაჰყო ციხეში. 1906 წლის თებერვალში ის არჩეული იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის სტოკჰოლმის ყრილობაზე. იმავე წელს ის ხელმძღვანელობს და აწყობს მებრძოლ რაზმებს.

1907 წლის ივლისში სამხრეთ-რუსეთის პარტიული კონფერენციის შემდეგ კიევში ვოროშილოვი დააპატიმრეს და ოქტომბერში გადაასახლეს სამი წლით არხანგელსკის გუბერნიაში, საიდანაც იმავე წლის დეკემბერში ახერხებს გამოქცევას და ეწყობა სამუშაოზე ბაქოში. დაწყებული 1912-დან 1917 წლამდე ვოროშილოვი, რომელიც განუწყვეტლივ მუშაობდა ლუტოვინოვთან და კალინინთან ერთად, არა ერთხელ ყოფილა დაპატიმრებული.

1917 წლის თებერვალში ის აწყობს აჯანყებას გვარდიის პოლკებში და მაშინვე ირჩევენ მას პიტერის საბჭოში, სადაც სხვა ამხანაგებთან ერთად მოაწყო ბოლშევიკური ფრაქცია.

დაწყებული 1918 წლის მარტიდან 1919 წლამდე ვოროშილოვის მთელი მუშაობა მიმდინარეობს მუშათა რაზმების შექმნაში გერმანელების წინააღმდეგ. 1919 წლის მაისში ის დაინიშნა ხარკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლათ, იმავე წელს ბოლო მოუღო იქ „გრიგორიევშჩინას“. 1921 წლის მაისში ის დანიშნულ იქნა ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სარდლად და ამ თანამდებობაზე დარჩა მანამდე, სანამ უკანასკნელად დაინიშნებოდა, მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდლად.

ვოროშილოვი დაჯილდოებულია წითელი დროშის ორი ორდენით, ოქროს იარაღით, საათით და საბრძოლველ იარაღით.



ამხ. ვოროშილოვი

სახელმწიფო ვაჭრობის განმტკიცებისათვის

მოსკოვი, 7 ნოემბ. 6 ნოემბერს საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმთან გაიმართა სავაჭრო კომისიის გაფართოებული სხდომა.

შესავალი სიტყვა წარმოსთქვა ძერჟინსკიმ, რომელმაც სთქვა:

„ბაზრის მოწესრიგების საკითხი წარმოადგენს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსათვის არა მარტო ორგანიზაციულ, არამედ პოლიტიკურ ხასიათის საკითხს.

კაპიტალისტურ სახელმწიფო ორგანიზაციისაგან იმით განსხვავდება ჩვენი ორგანიზაცია, რომ ჩვენი სამეურნეო ცხოვრების თვითეული უჯრედი წარმოადგენს მთელი ერთეულის შეთანხმებულ ნაწილს. რა თქმა უნდა, უფრო ადვილია უბრალო ვაჭრობა და პოლიტიკის გარეშე დგომა, მაგრამ ეს ჩვენი თვალსაზრისი არ არის. ასეთ თვალსაზრისით საჭირო არ იქნებოდა არც ოქტომბრის რევოლუცია, არც ის ბრძოლა, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ბაზრის მოწესრიგების ამოცანა განხორციელდება, თუ სახელმწიფო-სავაჭრო ორგანიზაციებსა და ბაზარს შორის იქნება მუდმივი და ცოცხალი კავშირი.

ბაზრის მომწესრიგებელ მთავარ ორგანოებათ უნდა იყონ სინდიკატები, რომელთაც ძვალსა და რბილში უნდა ქონდეთ გამჯდარი სახელმწიფოებრივი ამოცანები.

უნდა დაარსდეს სინდიკატების სათათბირო ორგანო. ასეთ ორგანოს ამოცანას უნდა შეადგენდეს ჩვენი პოლიტიკის მოწესრიგება ვაჭრობის დარგში, ბაზრის თანდათანობითი შესწავლა და მასზე მუდმივი გავლენის მოხდენა.

სამშაბათს, ნოემბრის 10-ს, საღამოს 6 საათზე, შესდგება

საქართ. ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთათვის სავალდებულოა

საქ. ცაკის მდივანი ხიდ. თოდრია.

---

16 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის დარბაზში მოწვეულია

თბილ. აღმასკომის მორიგი სხდომა

თემ-აღმასკომების თავმჯდომარეების თანდასწრებით.

დღის წესრიგი:

1. თბილისის აღმასკომის 1925 | 26 წლ. ბიუჯეტის განხილვა.
2. ინფორმაცია ადგილებიდან.

ნ. 207. 1—1. პრეზიდიუმი.

შავი ზღვის რკინისგზის გახსნა

ახალ სენაკიდან ხეთამდე

შავი ზღვის რკინის-გზის სამხრეთ ნაწილის გახსნაზე 6 ნოემბერს თბილისიდან გაემგზავრა ამხ. მიხა ცხაკაია, ფ. მახარაძე, შ. ელიავა, ალ. გეგეჭკორი, შავი ზღვის და ამიერკავკასიის რკინისგზათა სამმართველოების თანამშრომლები ამხ. კაპიტაძის და ბერიძის მეთაურობით, პრესის წარმომადგენლები, საინჟინერო ფაკულტეტის სტუდენტები და მოპატიჟებული სტუმრები.

ჩვენი მატარებელი სწრაფათ მიგვაქროლებს სენაკისკენ, სადაც დღეს შრომის ზეიმია დანიშნული.

სენაკის სადგური და ქალაქი მორთულია დროშებით და ყვავილებით. სადგურის მოედანზე უამრავ ხალხს მოუყრია თავი, რომელიც მუსიკით და ტაშის ცემით ხვდება საგანგებო მატარებლის მიახლოვებას.

სენაკის სადგურიდან რამდენიმე ათეული საჟენის მოშორებით ლიანდაგზე აღმართულია წითელი ლენტებით, დროშებით და ყვავილებით შემკული მაღალი არკა.

აქედან იწყება 'შავი ზღვის რკინის გზა, რომელზედაც დღეს პირველათ შესდგება საბჭოთა ორთქლმავალი.

ჩვენი მატარებელი მიდის ახალ გზისკენ და ჩერდება არკასთან. არკის სვეტებს შორის გაბმულია წითელი ლენტი, რომელიც უნდა გაარღვიოს ორთქლმავალმა.

12 საათზე ორთქლმავალის ბაქანზე იმართება ტრიბუნა, საიდანაც ორი რკინის-გზის მიჯნაზე მდგომ მშრომელებს ეფინებათ სიტყვები შრომის სიდიადისა და ცხოველმყოფელობის შესახებ.

მიტინგს ხსნის სენაკის სამაზრო აღმასკომის თავჯდომარის მოადგილე ამხ. განო ჩაკვეტაძე, რომელიც პირველ სიტყვას აძლევს ჭაღარა რევოლუციონერს მიხა ცხაკაიას.

* * *

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა

— ამხანაგებო,—დღევანდელი დღე ორის მხრივ არის საყურადღებო. ერთის მხრივ ეს არის დღესასწაული იმ გადატრიალების, რომელიც მოხდა დედა-მიწის ერთმეექვსედ ნაწილზე. მეორეს მხრივ კი, დღეს ჩვენ ვხსნით შავი ზღვის რკინის გზას. ეს გზა არ არის გრძელი, მაგრამ ნაწილია იმ დიდი გზის, რომელიც იწყება აქედან და მიდის სოჩისაკენ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მუშების და გლეხების ხელისუფლება შესძლებს ამ გზის დამთავრებას და ამით გააუმჯობესებს სამეგრელოს მშრომელი ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას.

გაუმარჯოს, მუშებ[illegible] გლეხების კავშირს!

გაუმარჯოს, პროლეტარულ რევოლუციას და ჩვენს მონაწილეობას მასში!

ხიდის გაკეთება ხობის წყალზე.

ამხ. შ. ელიავას სიტყვა

— რვა წლის წინათ ჩრდილოეთ რუსეთში იშვა ახალი ხელისუფლება, ახალი ძალა, რომელიც ჩამოყალიბდა დღეს ყოფილი რუსეთის ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის სახით.

ამხანაგებო,—ჩვენი მტრები მაშინ სხვათა შორის, იმასაც გვიუბნებოდენ, რომ ჩვენი მთავრობა არის მთავრობა დანგრევის, ქონების განიავების, რომ მას არ შეუძლია არავითარი აღმშენებლობითი მუშაობა და უძლურია აღადგინოს მეურნეობა. მაშინ ისინი გვიქადდენ უდროო სიკვდილს, გვიქადდენ ჩვენი ხელისუფლების დამხობას და რვა წლის განმავლობაში დაუზოგველად გვებრძოდენ შიგნით და გარეთ.

რვა წელმა განვლო მას შემდეგ, რას ვხედავთ ჩვენ დღეს?—ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველ დარგში წინ მივიწევთ, ჩვენ შევძელით საერთაშორისო და სამოქალაქო ომის დროს დანგრეული ქვეყნის მკვიდრეთით აღდგენა და ისეთი სახელმწიფოს შექმნა, რომელსაც ანგარიშს უწევს მსოფლიო ბურჟუაზია.

ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ძველი სახელმწიფოს ნანგრევებზე ავაშენებთ ახალ ქვეყანას. დღევანდელი ზეიმი არის ერთი მაჩვენებელი მომენტი ჩვენი შემოქმედებითი ნიჭისა.

დღეს საბჭოთა ხელისუფლება პოულობს მატერიალურ საშუალებებს მუშაობის საწარმოებლად ყველა კუთხეში და იქ სადაც მოძრაობა არ არსებობს, აშენებს რკინის გზასაც.

შავი ზღვის რკინისგზა საქართველოს შეუერთებს საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებს, ის დღენახევრით დაგვაახლოვებს მოსკოვთან.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი შრომის და ენერგიის გაერთიანება საშუალებას მოგვცემს დავამთავროთ ეს გზა.

ამ ზეიმის დღეს მოგიწოდებთ ერთსულოვნად ვიბრძოლოთ მტრების წინააღმდეგ და ვიმუშაოთ ეკონომიური აღორძინებისათვის.

ამხ. ფილიპე მახარაძის სიტყვა

— ამხანაგო მუშებო და გლეხებო! დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ ოქტომბრის რევოლუციის რვა წლის თავს და რკინის გზის გახსნას ზუგდიდის და რუსეთის მიმართულებით. რვა წლის წინათ მოხდა ერთი უდიდესი რევოლუცია, რომელმაც მუშებს და გლეხებს გადასცა მართვა-გამგეობის საქმე. ეს, რასაკვირველია, არ მოეწონებოდა ბურჟუაზიას და მემამულეებს და დაიწყო ბრძოლა მუშებისა და გლეხების ხელისუფლების წინააღმდეგ.

ასეთ პირობებში ჩვენ ბევრი ვერ გავაკეთეთ, მაგრამ ეს იმის ბრალია რომ ჩვენ მოსვენებული არ ვიყავით. ჩვენი ქვეყნის აღსადგენათ საჭიროა რამდენიმე წლის მუყაითი შრომა. ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ ჩვენი გლეხის მდგომარეობა. ეს კი შეიძლება ჩვენი მრეწველობის აღორძინებით და განვითარებით. უპირველეს ყოვლისა უნდა განვითარდეს მიმოსვლა, რადგან ჩვენ მოწყვეტილი ვართ ბაზრიდან. ჩვენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს არ აქვს გასავალი, ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება უმთავრეს ყურადღებას აქცევს გზების გაყვანას, ხიდების შეკეთებას და ჭაობების ამოშრობას.

ინჟ. კაპიტაძე

შავი ზღვის რკინის გზის სამუშაოს ხელმძღვანელი

შავი ზღვის რკინის გზის გახსნით ჩვენ გლეხობა გამოგვყავს გაჭირვებულ მდგომარეობიდან. მაგრამ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ეს არ კმარა. სოფელს სჭირია სკოლა, თეატრი და სხვა კულტურული დაწესებულებანი, მათ მოსაპოებლად ჩვენ უნდა ვიაროთ ამ გზით. მე დარწმუნებული ვარ, რომ ორი სამი წლის შემდეგ ჩვენ დიდ შედეგებს მივაღწევთ ამ მიმართულებით.

ოქტომბრის რევოლუციის რვა წლის თავზე ჩვენ ვიგონებთ იმ წყეულ დროს, როდესაც მუშათა კლასი შეჯაჭვული იყო და ვითვალისწინებთ, რა გაწეულ შრომას, დარწმუნებით ვამბობთ, რომ რამოდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ შევძლებთ ჩვენი ქვეყნის აყვავებას.

ამხ. ლუკაშინის სიტყვა

რვა წლის თავზე სენაკის მშრომელებს შეუძლიათ სთქვან, რომ მათ დიდ შედეგებს მიაღწიეს მეურნეობის ფრონტზე.

საბჭოთა საქართველო ყოველ წლიურად ქმნის ახალ-ახალ ღირებულობას. რასაკვირველია, ძნელია ბევრის გაკეთება იმით, რაც დაგვიტოვეს ჩვენ მენშევიკებმა, დაშნაკელებმა და მუსავატელებმა, მაგრამ რაც უფრო ძნელია მუშაობა, მით უფრო მეტი შეგნება მოეთხოვებათ მუშებს და გლეხებს.

ნება მიბოძეთ ადერბეიჯანის და სომხეთის ძმური რესპუბლიკების სახელით მხურვალედ მივესალმო სენაკის მაზრის მშრომელ გლეხობას.

გაუმარჯოს შრომის დღესასწაულს.

გაუმარჯოს მშვენიერ საქართველოს!

ამხ. ვეგეჭკორის სიტყვა

— ამხანაგებო! დღეს ოქტომბრის რევოლუციის რვა წლის თავზე მე მინდა სამეგრელოს მშრომელ ხალხს მოვაგონო ის ხანა, როდესაც ქართველი მენშევიკები ამბობდენ, რომ ბოლშევიკები ხალხის მოღალატენი არიან, რომ მათ შეცდომაში შეჰყავთ ხალხი.

დღეს ყველამ იცის, თუ რამდენათ გამართლდა მათი ნათქვამი. დღეს მშრომელ ხალხს სათავეში უდგანან ბოლშევიკები, მენშევიკები კი საბოლოოდ გადავიდნენ ნიკოლოზ ნიკოლოზისძის და კირილ ვლადიმერისძის ბანაკში.

ისინი ამბობდენ, რომ ბოლშევიკური მთავრობა ნგრევის მთავრობა არისო, დღეს კი თქვენ ხედავთ, რომ ჩვენ დანგრევის მაგივრათ ვაშენებთ და ვქმნით ახალ ღირებულებას.

ჩვენ ნელა, მაგრამ მტკიცეთ ვაუმჯობესებთ მუშის და გლეხის მდგომარეობას. დღევანდელი დღე ამტკიცებს, რომ თუ ჩვენ შეერთებულათ ვიმუშავებთ და ვიბრძოლებთ, მე დარწმუნებული ვარ, რომ გადავლახავთ ყოველგვარ დაბრკოლებებს და თანდათანობით მივუახლოვდებით სოციალიზმს.

შავი ზღვის რკინისგზის გახსნა თავდებაა იმის, რომ საქართველოს ეკონომიურათ ჩამორჩენილი კუთხეები ჩქარა დადგებიან აღორძინების გზაზე.

გაუმარჯოს ჩვენს შეერთებულ შრომას!

გაუმარჯოს რევოლუციონურ სამეგრელოს!

12 საათზე და 55 წუთზე მიტინგი დამთავრებულია. სადგურის უფროსი ნიშანს აძლევს მემანქანეს. ჩვენი ორთქლმავალი, მაგრათ დაიკივლებს და ნელის ნაბიჯით შედგება ლითონის ახალ გზაზე.

ჟანგიანი ლიანდაგი ერთბაშად ვერ ეგუება ზეთში და მაზუთში გაკრიალებულ ბორბლებს. რკინის და ფოლადის შებრძოლებიდან იქნება რაღაც ველური ჰანგი, რომელიც ამიერიდან მშობლიურ ნანასავით უნდა ეფინებოდეს სამეგრელოს მინდვრებს.

მიჰქრის მატარებელი, სწრაფათ გარბიან ველები და გორაკები, შორს, ჰორიზონტზე კი ალმასივით ბრწყინავენ აჯარისტანის და სვანეთის თეთრათ შემოსილი მთაგრეხილები.

ახალ-სენაკიდან ხეთამდე ყველა ბაქანები გაჭედილია ხალხით. მზის წვრილ სხივებზე ალისფრათ ბრწყინავენ წითელი დროშები და პლაკატები, რომლებზედაც თეთრი ასოებით ამოჭრილია მეგრელი მშრომელი ხალხის გულიდან ამონახეთქი სიტყვები.

— „გაუმარჯოს შავი ზღვის რკინის გზის აღმშენებლობას“.

ჩვენი მატარებელი არ ჩერდება პატარა პლატფორმებზე და სწრაფათ მიექანება სიმბოლური პუნქტისკენ—ხეთისაკენ.

ჯერ კიდევ ხეთაში მისვლამდე ჩვენს წინაშე გადაიშლება გრანდიოზული სურათი. ფართო მინდორზე თავი მოუყრია რამოდენიმე ათას კაცს, რომლებიც ჯერ კიდევ შორიდან ესალმებიან მატარებელს.

სადგურთან მისვლისთანავე ამ ზღვა ხალხში ერთბაშად იგრიალა „ვაშა“ და მქუხარე ტაშისცემის გამოძახილი დიდხანს ისმოდა მაყურებელ სივრცეში.

შავი ზღვის რკინისგზის მუშების ერთი ჯგუფი.

ხეთაში გაიმართა მიტინგი, სადაც ილაპარაკეს ამხ. ი. ჟვანიამ, მიხა ცხაკაიამ, ფ. მახარაძემ, გლეხმა ჯამა ლატარიამ, მასწავლებელმა კეტიამ, ინჟ. კაპიტაძემ, გამაჯაძემ, ინჟ. ანდრონიკაშვილმა, აკ. ქავთაძემ, და სხვებმა.

მიტინგის შემდეგ სტუმრები და მიტინგის მონაწილენი მიპატიჟებული იქნენ ბანკეტზე.

* *

პირველი საბჭოთა ლოკომოტივის სახით სამეგრელოში შემოვიდა კულტურაო,—ასე დაიწყო ხეთაში თავისი სიტყვა ამხ. ი. ჟვანიამ და ვიგრძენი, რომ მეგრელი გლეხის გული ამ დღის უჩვეულო გრძნობას განიცდიდა.

ორთქლმავალი „სერია ჩ“—ეს კივილი სამეგრელოს ფართო ჭალებში—ეს ქარხნის საყვირის და ტექნიკის ახმაურება იყო გლეხის სამფლობელოში. ეს იყო დაკავშირება ორი ძირითადი ელემენტის: მუშის და გლეხის, რომლებსაც ეყრდნობა არსებობის მეცხრე წელში გადასული საბჭოთა სახელმწიფო.

პირველი საბჭოთა მატარებელი სამეგრელოში—ეს ტექნიკის ტრიუმფიალური მსვლელობა იყო ჩვენი რესპუბლიკის ჩამორჩენილი კუთხის მიწა-წყალზე, ეს შრომის და მეცნიერების გაერთიანების სიდიადის ზეიმი იყო.

მეგრელებს არ დაავიწყდებათ ეს ისტორიული დღე. მას ვერ დაივიწყებენ ვერც ისინი, ვისაც ბედნიერება ჰქონდა პირველი შესულიყო რკინის ვეშაპით საქართველოს ულამაზეს კუთხეში და ბოლომდე განეცადა ადამიანის ძლიერება ბუნებაზე.

ბუნებაც დღეს სულ სხვანაირად გამოიყურება. ის გარინდულია, მიყუჩებულია, თითქოს გრძნობს თავის უძლურებას ადამიანის მახვილ გონებასთან და მარჯვე მკლავთან შედარებით.

მდ. ხობი, რომლისთვისაც სხვა დროს არ არსებობს არავითარი ნაპირები და რომელიც ზღვის სიღრმიდან წამოსულ მძლავრ ტალღასავით წალეკავს ხოლმე ყველაფერს.—ეს მდ. ხობი ეხლა ჩაჩნექილა, წელში მოხრილა უზარმაზარ ხიდის სიმძიმის ქვეშ და შეშინებული თვალებით შესცქერის ხიდზე გველივით გაწოლილ მატარებელს.

რკინა, ფოლადი და მაზუთი კი დარწმუნებულნი თავის სიძლიერეში ღომილით განაგრძობენ გზას და მათ ველურ სიმღერაში არის რაღაც ისეთი, რაც აფრთოვანებს და იტაცებს ადამიანის სულს.

ტიკ... ტაკ... ტიკ.. ტაკ... მიიმღერიან ბორბლები, მათ ზანს აძლევს აჩქარებული გულის ცემა და გინდა, რომ ეს სულიერი თრთოლვა არ შეწყდეს, არ შენელდეს მანამდი სანამ ქშენით და ბრახუნით არ გადავირბენთ სიმინდის ყანებს და დაფნის გორაკებს.

შ. ზ.

პარტიული ცხოვრება

საავიტაციო-საპროპაგანდო [illegible] თათბირის შედეგები

რამოდენიმე დღის წინ მოსკოვში დამთავრა მუშაობა რ. კ. პ. (ბ) ცეკას მიერ მოწვეულ საგუბერნიო კომიტეტების სააგ.-საპრ. განყ. გამგეთა კურსი-თათბირმა, რომლის უმთავრეს დანიშნულებას შეადგენდა საავიტაციო-საპროპაგანდო დარგში ადგილებზე მუშაობის მსვლელობის გამორკვევა და მე-14 პარტყრილობისათვის მასალების მომზადება.

ამ მიზნით თათბირმა განიხილა მთელი რიგი საყურადღებო საკითხებისა და მათ შესახებ. დაწვრილებითი დებულებანი მიიღო.

აქ ჩვენ შევეხებით მხოლოდ ისეთ საკითხებს, რომლებიც ჩვენი მუშაობის დღის წესრიგში დგანან.

სააგ.-საპროპაგანდო მუშაობის ადგილი საერთო პარტიულ მუშაობის სფეროში.

საბჭოთა ქვეყნების ეკონომიური აღორძინება მშრომელი მასსების ფართე წრეების კულტურულ დონის ამაღლებას და პოლიტიკურ აქტიობას იწვევს. ეს სავსებით ნათელყვეს საბჭოების უკანასკნელმა არჩევნებმა. მაგრამ ამ პოლიტიკურ აქტივობის ზრდას ადგილი ჰქონდა და აქვს არა მხოლოდ ქალაქებში, მუშათა სამრეწველო რაიონებში, არამედ სოფლადაც. მხოლოდ რამდენადაც ასეთი მოვლენა სასიხარულო და დადებითია, თუ უპარტიო მშრომელ მასების ამ კულტურულ და პოლიტიკურ აქტივობას სათანადო ალღოს ვერ აუღებს სახელმწიფოს მმართველი პარტია და თვით პარტიის წევრებს ვერ მოამზადებს როგორც ეს საჭიროა, ერთ შემთხვევაში, როგორც უპარტიოთა ფართე მასებზე, ისე საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებზე პარტიული ხელმძღვანელობის გავრცელების საქმე ძნელი შეიქნება.

დღეს არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის გარემოება, რომ ჩვენში მრავალ ადგილას პარტიის წევრების საერთო მომზადება უპარტიოთა აქტივთან შედარებით დაბალია. ეს მოვლენა პარტიის მიერ თავის დროზე იყო აღნიშნული, მაგრამ მაშინ საკითხი მხოლოდ მუშათა რაიონებს ეხებოდა და ეხლა კი იგივე მეორდება ზოგიერთ გლეხურ რაიონებშიაც. ამისათვის საკითხი ისმება პარტიის წევრთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების შესახებ, რომ უპარტიო მასის აქტივის ზრდასთან ერთად პარტიულ მასის აქტივობაც იზრდებოდეს.

სწორედ ამ მოსაზრებიდან გამოდიოდა ამხ. სტალინი, როდესაც თათბირის წევრებთან გამართულ საუბარში შეკითხვაზე იმის შესახებ, თუ როგორი ადგილი უნდა მიეკუთვნოს საავიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას საერთო პარტიულ მუშაობაში—პასუხი იყო ასეთი: „საავიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა ჩვენს შინა-პარტიულ მუშაობის ორ მესამედზე მეტ შეიცავს“-ო. ასეთი შეხედულება სრულებით უდავოა, მით უმეტეს ის[illegible] პირობებში, როდესაც პარტიის ამ ორგანოების მუშაობის ასპარეზი მხოლოდ პარტიის წევრთა კულტურულ და პოლიტიკურ მომზადების დონის ამაღლებისათვის ზრუნვით კი არ განისაზღვრება, არამედ ამასთან ერთად საჭიროა მუშაობის წარმოება უპარტიო ფართე მშრომელი მასების შორისაც.

ამხ. სტალინმა უპარტიო მშრომელი მასსის ფართე ფენების პოლიტიკური ცოდნით გათვითცნობიერების საკითხს თათბირზე ასეთი შეფასება მისცა: „დღეს მასის აქტივობის გამო საკმაო კი აღარ არის გამოტანა დადგენილება ამა თუ იმ საკითხის შესახებ, საჭიროა ამ დადგენილებათა აზრი ესმოდეთ მშრომელთა მილიონებს, რომელთაც ეს საკითხი ეხებათ“-ო.

ასეთია მოკლედ საავიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის უმთავრესი დანიშნულება. ამისათვის საჭიროა მას მეტი ყურადღება ექცეოდეს ადგილობრივ პარტ-ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ორგანოების მიერ. ზოგიერთ მომუშავეთა ისეთი შეხედულება, რომ საავიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა თითქმის მცირედ მნიშვნელოვან საქმეს შეადგენს, უკუგდებულ უნდა იქნას. ასეთი შეხედულება კი, სამწუხაროდ, ბევრ ადგილას არსებობს. მაგალითისათვის საკმარისი იქნება მოვიყვანოთ, ის, რომ ზოგიერთ მაზრებში რაიკომებიდან წარმოდგენილ საანგარიშო მოხსენებებში ბევრს საკითხებზე შეგვიძლიათ პასუხი მივიღოთ, მხოლოდ საავიტაციო-საპროპაგანდო მუშაობაზე კი [illegible] ვერაფერს [illegible] ამის შესახებ სხვათა შორისაც იქნება აღნიშნული.

ძირითადი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოები, როგორიცაა რაიკომები, საჭიროა მეტ ყურადღებას აქცევდენ ამ მუშაობის მსვლელობას. თვითეულ რაიონში ამ მუშაობას შესაფერ ღონისძიებათა მიღებით (თუ როგორ მუშაობენ პოლიტსკოლები, წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლები, ქოხ სამკითხველოები და სხვა კულტურულ-განმანათლებელი ორგანიზაციები) უნდა დაეთმოს ფართე ადგილი.

ქ. გორდელაძე.

მსხვილფეხი საქონლის ჭირი და მასთან ბრძოლა

მსხვილფეხი საქონლის ჭირი ფართოდ მოედო თელავის, თბილისის, ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრებს.

ადვილად შესაძლებელია, ჭირი აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მაზრებსაც ესტუმროს, დასავლეთ საქართველოშიც გადავიდეს.

თუ რა საშინელ მტერთანა გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე, ეს იქიდანა სჩანს, რომ ჭირი, როდესაც მას ჯეროვნად დამზადებული არ დახვდები, ხელიდან გვაცლის საქონლის 60-90 პროც-ს. დასავლეთ საქართველოს და, საერთოდ, მთის საქონელი—ოსური, ფშაური, ხევსურული—ჭირს სულ ვერ უძლებს და თითქმის პირაღებით იჟლიტება.

ყველა ღონისძიება სოფლის მეურნეობის აღსადგენად და განსაკუთრებით მესაქონლეობის გასაუმჯობესებლად, რაც ამჟამად მიზნადა გვაქვს დასახული, უშედეგო და ფუჭი იქნება, თუ სოფლის მოსახლეობას ხელიდან გამოეცლება მთავარი სამუშაო ძალა, მისი მასაზრდოებელი მსხვილფეხი საქონელი.

საჭიროა ყველა ჩვენი ძალების დარაზმვა, მთელი ჩვენი ძალღონის მიმართვა გაჩენილ ეპიზოოტიასთან საბრძოლველად.

რუსეთში საქონლის ჭირის გაჩენას ცეცხლის გაჩენას ადარებენ და ეს მართალიც არის, რადგან სენი სწრაფად და ადვილად გადადის ავადმყოფიდან საღ საქონელზე, დაუნდობლად სპობს გლეხკაცის დოვლათის შემქმნელ მთავარ ძალას.

ჩვენში საქონლის ჭირი შარშან ზაფხულში მოისპოთ მთელს ჩვენს ტერიტორიაზე, მაგრამ ზაფხულის დამლევს სენი კვლავ შემოგვეჭრა ადერბეიჯანიდან და სომხეთიდან, მოედო მოსაზღვრე მაზრებს თბილისისას, სიღნაღისას, თელავისას და ბორჩალოსას. ხანგრძლივმა ცივმა და სუსხიანმა ზამთარმა ხელი შეუწყო ჭირის გავრცელებას, რადგან საკვებ მასალის უქონლობის გამო საქონელი ხშირად ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავდათ, საკარანტინო ზომები ირღვეოდა. ამავე მიზეზით გაზაფხულზე ადრე გაირეკა საქონელი მთაში. აქ ის შეერია სომხეთის დაჭირიანებულ საქონელს, სენი მთელს საძოვრებს მოედო. ამჟამად უკან დაბრუნებულმა საქონელმა თან წამოიღო მთებიდან ავადმყოფობა, სენი ბარად ვრცელდება, ერთი სოფლიდან მეორეში გადადის, ჭირმოდებული ტერიტორია თანდათან ფართოვდება. ასეთია საქმის ვითარება ბორჩალოს და თბილისის მაზრებში, თელავის მაზრაში კი სენი დათარეშობს სოფლიდან სოფელში მთელი წლის განმავლობაში.

ასეთ ფესვგადგმულ საშიშ სენის დასაძლევად და მოსასპობად ჩვენ ხელთ მხოლოდ ერთი საშუალება არის—სენი უნდა სასტიკად ჩავახრჩოთ, ჩავკლათ იქ, სადაც იგი თავს იჩენს, უნდა მოვსპოთ შესაძლებლობა მისი ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლისა. ამისთვის თანამედროვე მეცნიერება გვაძლევს ორ საშუალებას, რომელიც ერთად უნდა იქნას ნახმარი—ეს არის საკარანტინო ზომები და დაჭირიანებულ ტერიტორიაზე საქონლის აცრა. ამის გარეშე სოფლად მოდებულ სენს ვერ მოვსპობთ, პირიქით, ხელს შევუწყობთ მის უფრო ფართოდ გავრცელებას, ახალ-ახალ რაიონებში გადასვლას. მხოლოდ ორივე დასახელებული ზომის ერთსა და იმავე დროს განხორციელებით, მთელის სისასტიკით ცხოვრებაში გატარებით, შეიძლება შესამჩნევი შედეგის მიღწევა.

მართლაც, თუ აცრამდე სოფელში მხოლოდ რამდენიმე კომლსა ჰყავდა ავადმყოფი საქონელი, აცრის შემდეგ უკვე მთელი სოფლის საქონელი ხდება (დროებით) დაჭირიანებული, და ცხადია, თუ ასეთი სოფელი საჭირო ხნის განმავლობაში საკარანტინო რკალში არ მოვაქციეთ, სენი მეზობელ სოფლებშიც გადავა, იქაც დაიწყებს საქონლის გაჟლეტას. მის მეორე და მესამე სოფელში გამოვუდგებით, იქაც შევქმნით ისეთსავე პირობებს, როგორც პირველში—ამით ხენს საშუალებას მივცემთ კვლავ განვითარდეს ახალ-ახალ სოფლებში, ახალ-ახალ რაიონებს მოედოს. ასეთი ბრძოლის წარმოება—საკუთარი ხელით ყელის გამოჭრაა, სისუსტის და შეუგნებლობის მაჩვენებელი. უმჯობესია სულ არ ავცრათ საქონელი დაჭირიანებულ სოფელში, მხოლოდ კარანტინში ჩავაყენოთ, ერთი სოფლის საქონელი შევწიროთ სენს, არ მივცეთ უკანასკნელს საშუალება სხვა ადგილებში გადასვლისა, მთელი მაზრის განადგურებისა.

ერთი სიტყვით, აცრას მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ მასთან ერთად ხმარებული იქნება სასტიკი საკარანტინო ზომები, მათი მტკიცედ განხორციელება.

საქონლის ჭირთან ბრძოლა შეუძლებელია ცენტრისა და პერიფერიის ძალების გაუერთიანებლად, მათ ღონისძიებათა შეუთანხმებლად. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი და მისი სავეტერინარო ორგანიზაცია ვერას გახდებიან ეპიზოოტიასთან ბრძოლის საქმეში, თუ ადგილობრივი ძალები მათ ჯეროვან დახმარებას არ უწევენ, სისწორით არ ატარებენ ცხოვრებაში ცენტრში შემუშავებულ გეგმას. ამ მხრივ-კი, სამწუხაროდ, ჩვენი სინამდვილე მეტად არა-დამაკმაყოფილებელ სურათს გვიშლის.

ცენტრი ყოველ ღონესა ხმარობს საქონლის ჭირთან საბრძოლველად, მის განკარგულებაში მყოფ შედარებით მცირე ძალებით და უფრო მცირე რესურსებით მაქსიმალური კეთილსინდისიერებით უძღვება საქმეს, მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლება ვერ იჩენს ჯეროვან ინიციატივას საქმეში, საჭირო ფხიანობას. მაგალითად, წარსული წლის ივნისიდან მიმდინარე წლის სექტემბრამდე, ესე-იგი თოთხმეტი თვის განმავლობაში, დაჭირიანებულ მაზრებში აიცრა 60.000 სული საქონელი, რაც მოწმობს ჩვენი ვეტერინარული პერსონალის მუშაობის კეთილსინდისიერობას, მის მიერ თავის მოვალეობის პირნათლად შესრულებას. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ვეტერინარული პერსონალის სიმცირე და ჩვენი ტაბახმელის სადგურის შეზღუდულ ფარგლებში მუშაობა. ასეთ პირობებში, ვიმეორებ, ჩვენი ვეტერინარული ორგანიზაციის საქმიანობა სრულიად დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

სამწუხაროდ, ესევე არ შეგვიძლია ვსთქვათ დაჭირიანებულ მაზრების აღმასკომების შესახებ; უკანასკნელთა უყურადღებობა საქონლის ჭირთან ბრძოლის წარმოებისადმი, სათანადო საკარანტინო ზომების მიღების საქმეში, დიდ დანაშაულად უნდა ჩაეთვალოთ მათ როგორც ხალხის, ისე ხელისუფლების წინაშე.

აი ამის მაგალითები.

იმ მაზრაში, სადაც საქონლის ჭირი პირველად გაჩნდა წარსული წლის ნოემბერში, ათი თვის განმავლობაში სენმა თითქმის ყველა სოფელი მოიარა. მაზრის აღმასკომი კი თავის ა. წ. 8 სექტემბრის მოხსენებაში გვწერს: „საქონლის ჭირი ედება მთელს მაზრას, მოძრაობა საქონლისა სტიქიურია, ფიზიკურად შეუძლებელია შეაკავოთ სოფელი საკარანტინო რკალში; გლეხს ამ სეზონში (ე. ი. ზაფხულში) უხდება იქონიოს ეკონომიური კავშირი სოფელთან, ქალაქთან, ზედმეტი სარჩო და საქონელი გაყიდოს, სახელმწიფო გადასახადი მოიშოროს და მოიმარაგოს ზამთრისათვის ყველაფერი... დაჭირიანებული სოფლის კარანტინში ყოფნა უდრის ეკონომიურ ბლოკადას და არ არის საკვირველი, თუ სოფელი არღვევს რკალს და აგვარებს თავის საქმეებს. ერთად-ერთი გადასაზიდავი საშუალება კამეჩის ურემია—ამის შედეგი კი ჭირის გავრცელებაა... ამ პირობებში საკარანტინო ზომებით, რომელნიც ვერ ტარდებიან ცხოვრებაში, ჩვენ ვერ მოვსპობთ ჭირს...აუარებელია მსხვერპლი და შესაძლებელია ჭირის სხვა სოფელში გადასვლა“, და სხვ.

საკუთარი ხელით თავისი თავის გამოთრახება ამაზე მეტად შეუძლებელია. აქ ყველაფერი ცხადი და აშკარაა. მაზრას ჭირი მოსდებია. იგი დღითი-დღე ვრცელდება. მისი ერთად-ერთი გამავრცელებელი—კამეჩის ურემია. და ამავე დროს.. არ არის სასურველი ამ ურმისთვის სოფლიდან სოფელში ჭირის გადატანის საშუალების დროებით მოსპობა, რადგან ამით „საწყალი კაცი შევიწროვდება“. ოღონდ „საწყალ კაცს“ ნუ შევავიწროვებ, თუნდ სულ ცოტა ხნით, თუნდ მეცნიერების მიერ დასახელებულ ერთად-ერთი საშუალებით, და დეე ამ „საწყალი კაცის“ ურემმა „შეუვიწროებლად“ გადაიტანოს სოფლიდან სოფელში ჭირის ბაცილა, დეე ჭირმა მთელი მაზრა გაანადგუროს, ხელიდან გამოაცალოს „შეუვიწროებელ“ გლეხობას მისი მარჩენალი საქონელი, მისი დოვლათის შემქმნელი...

ასეთი უადგილო სანტიმენტალიზმი, „ცოდოა საწყალი კაცის შევიწროების“ პოლიტიკა სასტიკად გაკიცხული და დაგმობილი უნდა იყოს, ასეთი შეხედულება აშკარად უნდა აღიარებულ იქნას მავნედ და დამღუპველად, მას უნდა სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს.

მაგრამ განა მარტო ერთი აღმასკომის შესახებ ითქმის ის, რაც ითქვა. ასეთივე სურათია ზოგიერთ სხვა მაზრებშიაც. თბილისის მაზრაში, მაგალითად, საქონლის ჭირმა წლის განმავლობაში შემოიარა ყარაიაზის, სართიჭალის და გომბორის რაიონების თითქმის ყველა სოფელი და ამჟამადაც მძვინვარებს მდ. იორის ხეობაზე ზამთრის ბინებში. წალკის რაიონში, სადაც ერთი თვის წინად ჭირი იყო სოფ. ბარმაქსიზში და აიცრა საქონელი, ეხლა უკვე, საკარანტინო ზომების მიუღებლობის შედეგად, ჭირმა კიდევ ორ მახლობელ სოფელში გადაინავარდა—შიპიაქში და როზენბერგში.

კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა ბორჩალოს მაზრაში.

გამონაკლისს შეადგენს ახალქალაქის მაზრა, სადაც ჭირის გაჩენისთანავე მიღებულ იქნა სასტიკი საკარანტინო ზომები (სოფელ ტიმბოვკაში) და, იმედია, სენი ამ სოფელს არ გასცილდება და მაზრა გადარჩება მთლიანად დაჭირიანებას, როგორც იმ მაზრებს მოუვიდათ, სადაც შექმნილია „საწყალი კაცის შეუვიწროებლობის“ კულტი.

ხაზგასმით და გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ჯერ არა ყოფილა შემთხვევა საქონლის ჭირის აღმოჩენისა რომელიმე სოფელში, რომ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს წინადადება არ მიეცა სათანადო მაზრის აღმასკომისათვის საკარანტინო ზომების სასტიკად გატარების შესახებ, მაგრამ აღმასკომებს ზოგან ამ საქმეში თავისი აზრი უფრო სწორე ჰგონიათ.

ვიმეორებ, ისეთი ბრძოლით, როგორიც სწარმოებს თელავის, თბილისის და ბორჩალოს მაზრებში საქონლის ჭირის წინააღმდეგ, ჩვენ ჭირს ვერ დავსძლევთ, პირიქით ხელს შევუწყობთ მის გავრცელებას, ამის შედეგი კი ის იქნება, რომ შეგვრჩება გალატაკებული უხარკამეჩო გლეხკაცობა.

საკარანტინო რკალი დაჭირიანებულ სოფელს მთელი სისასტიკით და სიძლიერით—აი ჩვენი მიმართვა ყველა მათდამი, ვინც ჩაბმულია საქონლის ჭირთან ბრძოლაში, ვინც ამ ფრონტზე სისუსტეს გამოიჩენს და უკან დაიხევს, ის დეზერტირი და დამნაშავე იქნება პროლეტარულ სახელმწიფოს და მუშურ-გლეხურ საქმის წინაშე, იგი სასტიკად უნდა იქნას დასჯილი.

ა. გეგეჭკორი.

პროლეტარული იუსტიცია ოქტომბრის რევოლუციის მე-8 წლისთავზე

ოქტომბრის რევოლუციის მე-8 წლის თავზე აღსანიშნავია საქართველოს იუსტიციის ორგანოების მოქმედების მნიშვნელოვანი გაძლიერება. ჩვენი ქალაქის მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის შეუჩერებელ ზრდას (რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია გასულ რევოლუციონურ წლისათვის), ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო მრეწველობის და ვაჭრობის ბაზრის გაფართოებას და საბჭოთა რესპუბლიკებში საერთოთ საქონლის ტრიალის გამოცოცხლებას, ბუნებრივად უნდა გამოეწვია სათანადო ცვლილებები, სამოქალაქო-უფლებრივ ურთიერთობაში. ამიტომ ჩვენი სამოსამართლო ორგანოების მუშაობა უკანასკნელ წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გართულდა, მის წინაშე დასმულია ფრიად ძნელი და საპასუხისმგებლო ამოცანა: სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიურ ინტერესების მიხედვით გადასწყვიტოს სახელმწიფო და კერძო კაპიტალს შორის დაწყებული დავა. ამ მხრივ პროლეტარულ კლასიურ სასამართლოს სოციალიზმისათვის ბრძოლაში აქვს უდიდესი მნიშვნელობა. ჩვენი ქვეყნის კულტურულ-ეკონომიურ განვითარების ასპარეზზე იგი წარმოადგენს საიმედო იარაღს მშრომელთა სახელმწიფოს ხელში, კერძო კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში სოციალისტური მშენებლობის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის. პროლეტარულ იუსტიციის მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საბჭოთა დასჯა-გასწორების პოლიტიკის გატარება. ეს მუშაობა უფრო მეტი გამოცდილებით და მოხერხებით ტარდებოდა წარსული წლის განმავლობაში, ვიდრე წარსულში. ჩვენი მართლმსაჯულების საფუძვლად დადებული კლასიური პრინციპი შეურყეველი დარჩა და კიდევ უფრო გაღრმავდა. პროლეტარულმა სასამართლომ და წითელმა პროკურატურამ უკანასკნელი წლის განმავლობაში გადადგეს გიგანტიური ნაბიჯი, როგორც მის წინაშე დასმულ ამოცანების შესრულების, ისე თავისი მუშაობის საორგანიზაციო მეთოდების შეთვისების მხრივ. მათი ავტორიტეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალაქის და სოფლის მასების თვალში. უკანასკნელი წელი აღსანიშნავია აგრეთვე რევოლუციონური კანონიერების გატარებით. კონკრეტიულად ეს გამოიხატა იმაში, რომ ხშირად იმართებოდა სახალხო და საოლქო სასამართლოების სესიები ჩვენი ქვეყნის მივარდნილ და მიყრუებულ კუთხეებში, იმართებოდა მთელი რიგი სანიმუშო პროცესები, სწარმოებდა საბჭოთა კანონმდებლობის პოპულიარიზაცია სასამართლოს დასაახლოვებლად მცხოვრებლებთან, ტარდებოდა საავიტაციო კამპანია მაზრებში რევოლუციონური კანონიერების საკითხებზე და პერიოდულად შუქდებოდა პრესაში სამართლის სხვადასხვა საკითხები, გაძლიერებული იყო სისხლის სამართლის ხასიათის რეპრესიები რევოლუციონურ კანონიერების დამრღვევთა მიმართ, განსაკუთრებით, თანამდებობით და სამეურნეო ხასიათის ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ, რომელთა შორის განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული აქვს სახელმწიფო და საზოგადოებრივ თანხების მითვისებას და გაფლანგვას. ასეთი ზომების შედეგებს ჩვენ ვხედავთ დღეს რეალურად.

ოქტომბრის რევოლუციის მე-8 წლის თავზე პროლეტარული იუსტიცია, როგორც ჩვენში, ისე მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებში საბოლოოდ განმტკიცებულია და აღჭურვილია მეტი გამოცდილებით და ცოდნით. წითელი პროკურატურა, რომელიც ერთი წლის წინად იყო სუსტი და მხოლოდ იწყებდა მუშაობას, დღეს უკვე განმტკიცებული და ორგანიზაციად ჩამოყალიბებულია. მას უკვე ესმის თავისი მიზნები და ამოცანები. მთელ რესპუბლიკაში გაფანტული ქსელით იგი იბრძოლებს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს მტრების წინააღმდეგ და ამავე დროს უზრუნველყოფს თვითეულ მუშის და გლეხის მშვიდობიან შრომას. წითელი პროკურატურა პირველ ხარისხოვან როლს ასრულებდა და ასრულებს საბჭოთა ორგანოების კანონიერ მოქმედების მეთვალყურეობის საქმეში.

როგორია უახლოესი ამოცანები რევოლუციის მე-9 წლისათვის?

ესაა იუსტიციის მუშაკთა ცოდნის გაფართოვება და გაღრმავება, ჩვენი ქვეყნის თანამედროვე განვითარების სოციალ-ეკონომიური პირობების სწორ მარქსისტულ კლასიურად გაგება, შემდეგი ენერგიული მუშაობა რევოლუციონური კანონიერების განსამტკიცებლად, საბჭოთა სამართლის იდეების პოპულიარიზაცია მშრომელთა ფართო მასებს შორის სასამართლოს, საგამომძიებლო და პროკურატურის აპარატების შემდეგი ორგანიზაციონული გაუმჯობესება სახელმწიფოს და მშრომელთა ცხოვრებასთან დაკავშირებულ მრავალ ყოველდღიურ საკითხების სისწორით და სწრაფად გადასაჭრელად.

განვლილი 8 წელიწადი საუკეთესო საწინდარია ჩვენი შემდეგი მიღწევებისათვის. მიუხედავად კონტრრევოლუციის გააფთრებული თავდასხმებისა, მძიმე სამოქალაქო ომის პირობებში მუშათა და გლეხთა ძალღონით შექმნილი კლასიური იუსტიცია, თავის მუშაკების რევოლუციონურ ენტუზიაზმით და თავისი კლასის დახმარებით, მომავალშიაც სახელოვნად შეასრულებს მასზე დაკისრებულ ამოცანებს.

ვ. ვარძი

ამხ. ძამანაშვილი

ამხ. მიხეილ ანდრიას ძე ძამანაშვილი პროფესიით ზეინკალი—დაიბადა 1888 წელს სოფელ ხცისში (გორის მაზრა) ღარიბი გლეხის ოჯახში. 1902 წლიდან ხელობას სწავლობდა და მუშაობდა თბილისის კერძო ფირმების მექანიკურ სახელოსნოებში. პოლიტიკური მუშაობა დაიწყო 1904 წელს. 1905 წელს იყო ათის თავად გაუფის მექანიკურ სახელოსნოში, ამავე წელს მას, გაფიცვის მოწყობისათვის ითხოვენ სამსახურიდან და აპატიმრებენ. რამდენიმე თვის პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ, ამხ. მიშა იწყებს მუშაობას სხვადასხვა მექანიკურ სახელოსნოებში, სადაც იგი აწყობს გაფიცვებს. მალე მას კარგად „გაიცნობენ“ და ამიტომ არსად არ აყენებენ. 1908 წელს თბილისიდან მიდის ბათომში და იწყებს მუშაობას ბათომის ნავთსადენის სადგურზე. ამავე წელს სპარსეთში იწყება რევოლიუცია. ამხ. ძამანაშვილი უკავშირდება სპარსეთში მომუშავე ქართველ რევოლიუციონერებს და აწვდის მას საჭირო იარაღებს და მასალებს.

1909 წლის დასაწყისში იგი თვით მიემგზავრება სპარსეთში, მაგრამ ჯულფაში აპატიმრებენ და უკანვე გზავნიან.

11 თვის მეტეხში პატიმრობის შემდეგ ამხ. მიშა ძამანაშვილს ასახლებენ ტობოლის გუბერნიაში—3 წლის ვადით. 1912 წელს იგი არალეგალურად ბრუნდება საქართველოში და ეწევა ფარულ პარტიულ მუშაობას.

1913 წელს მის პიროვნებაზე ეჭვი შეაქვთ. ამიტომ ამხ. მიშა გარბის ბაქოში, სადაც იგი მუშაობს მექანიკურ ქარხნებში, მალე გაფიცვის მოწყობის გამო აქედან ითხოვენ და ამხ. ძამანაშვილი მიემგზავრება პეტროგრადში. აქ იგი მუშაობს სიმენშუკერტის და ლერნერის ქარხნებში, საიდანაც გაფიცვის გამო დათხოვეს. ცოტა ხნის შემდეგ ადგილს შოულობს ლანგეზიპენის ქარხანაში.

1917 წლის იანვრის 15 ქარხანაში ხდება გაფიცვა, რომელიც გამარჯვებით მთავრდება. მაგრამ ამხ. ძამანაშვილს მაინც არ აყენებენ პეტროგრადში და იგი იძულებული ხდება დაბრუნდეს თბილისში.

რევოლიუციის დროს იგი უკვე თბილისის რკინისგზის სახელოსნოების მუშა ა. 1917 წლიდან მას უკავია საპასუხისმგებლო თანამდებობანი პროფესიონალურ ორგანიზაციებში. 1919 წლიდან იყო პირველ რაიონის გვარდიის შტაბის თავმჯდომარეთ და სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის წევრად.


მიწათმოქმედების სახალხო კომისარის მოადგილე
ამხ. ძამანაშვილი

გასაბჭოების შემდეგ არალეგალური მუშაობა არ უწარმოებია. ავგისტოს ამბების შემდეგ მისი თაოსნობით დაარსდა ე. წ. მუშათა კომისია, რომელმაც იკისრა ყოფილ მენშევიკური პარტიის მუშური ნაწილის საბჭოთა ხელისუფლებასთან დაახლოვება.

ეკონომიური ცხოვრება

პურის მექანიკურად ცხობა

ოქტომბერში ა|კავკასიის შინავაჭრობის სახ. კომისარიატში შესდგა თათბირი, რომელზედაც გაირჩა საკითხი, თბილისში პურის მექანიკურ საცხობ ქარხნის აგების შესახებ.

აღნიშნულ თათბირზე დაისვა საკითხი, თუ ვის ხელში უნდა იქნეს პურის მექანიკური ცხობის საქმე. თათბირის აზრით ეს საქმე შეიძლება მიენდოს ან კოოპერაციას, ან სპეციალურ სააქციონერო საზოგადოებას.

პურის მექანიკური ცხობის ქარხნის ხარჯთაღრიცხვა და გეგმა უკვე შემუშავებულია; ქარხანამ უნდა გამოაცხოს 5 ათასი ფუთი პური. ამ რაოდენობიდან ნაწილს მიიღებს სამხედრო უწყება. ნორმალური გამომუშავება ქარხნისა კი გამოანგარიშებულია 3 ათასი ფუთის ფარგლებში.

რაც შეეხება აღნიშნულ ქარხნისათვის საჭირო თანხების გამოძებნას, თათბირმა დაადგინა ეთხოვოს საბჭოთა კავშირის შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატს რათა მან გამოჰყოს ამიერ-კავკასიის საჭიროებისთვის განსაზღვრული თანხები იმ 12 მილიონიდან, რომელიც გადადებულია საერთოდ საბჭოთა კავშირში პურის მექანიზაციისთვის.

მექანიკურ ცხობაზე გადავლენ უმთავრესად რუსული ფურნეები, რაც შეეხება ქართულ პურის ცხობას, ის ჩვეულებრივად დარჩება.

ეკონომიური ქრონიკა

— **ლიმონის შემოტანა.** კონსტანტინოპოლიდან ამ დღეებში მიღებული იქნა 15.000 კილო ლიმონი.

— **სანთლის ქარხანა.** ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა სრ. საქართველოს ინვალიდთა დამხმარე კომიტეტს ნება დართო საზღვარგარეთ შეიძინოს სანთლის ქარხნისათვის საჭირო მასალა.

— **ღვინის დამზადება.** სახალხო მამულების ტრესტმა მუკუზანის სახალხო მამულში ჯერჯერობით დაამზადა 10 ათასი ვედრო ღვინო.

— **კომერციული ბანკი.** ნოემბრის ბოლო რიცხვებში ბათომში გაიხსნება რუსეთის კომერციული ბანკის განყოფილება.

სამეურნეო ორგანოების მოგებათა განაწილება

მუშათა საბინაო მშენებლობის საჭიროებისათვის

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელ რესპუბლიკანურ ფონდებს შორის გაანაწილა ამიერ-კავკასიის სამეურნეო ორგანოების მოგებათა ანარიცხები.

ანარიცხები შემოიტანა შემდეგმა დაწესებულებებმა: ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ, ა.-კ. ავტო-ტრანსპორტის ამხანაგობამ და „ზაკუტილსირიე“-მ მათგან შემოტანილი ანარიცხების ჯამი უდრის—54,862 მანეთს. ამ თანხიდან 41.146 მანეთი ეძლევა მუშათა საბინაო მშენებლობას, ხოლო 13,715 მანეთი გადადებულია მუშათა კულტურულ საჭიროებისათვის.

პირველი თანხა ამ ნაირად არის განაწილებული: საქართველოს შრომის სახ. კომ—თან არსებულ საბინაო ფონდს ეძლევა 24.327 მანეთი, (16 პროც.), აზერბეიჯანის საბინაო ფონდს 8.109 მანეთი (20 პრ.) და სომხეთის საბინაო ფონდს 6.082 მანეთი (15 პროც.), ა.-კ. სამარაგო ფონდისათვის გადადებულია 2.027 მანეთი ანუ 5 პროც. დანარჩენი—600 მანეთი უნდა მოხმარდეს ა.-კ. კომიტეტს.

მეორე თანხა—13.750 მანეთი, რომელიც დანიშნულია მუშათა კულტურული საჭიროებისა და მათი ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებელ სხვა ღონისძიებისათვის, ამ ნაირად არის განაწილებული: საქართველოს მუშათა ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებელ ფონდს ეძლევა 6.729 მანეთი, სომხეთის—1.682 მანეთი, ხოლო აზერბეიჯანის—2,863 მანეთი.

ა.-კ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს მოგების განაწილება

ა.-კ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს 1922—23 საოპერაციო წლის მოგება უდრის 137.310 მანეთს, რომელიც ა.-კ. სახ. კომ. საბჭოს დადგენილებით შემდეგნაირად იქნა განაწილებული: 68.655 მანეთი ეძლევა სახ. კომ. საბჭოსთან არსებულ განსაკუთრებულ ფონდს, რომლის დანიშნულება არის დანგრეულ რაიონების აღდგენა, 34.327 მანეთი კი უნდა მოხმარდეს ცეცხლის საწინააღმდეგო ზომებს და მუშათა საბინაო მშენებლობის გაფართოებას.

ა.-კ. სახ. კომ. საბჭომ დაამტკიცა აგრეთვე სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ცეცხლის საწინააღმდეგო ზომებისათვის გადადებულ თანხის განაწილების გეგმა. თანხა განაწილებულია იმის მიხედვით, თუ რას უდრის რესპუბლიკების მიერ შეტანილი დასაზღვევი გადასახადი. განაწილების ასეთი წესით საქართველოს ხვდა—16.477 მანეთი, აჭარისტანს—2.917 მანეთი, აფხაზეთს—514 მანეთი, აზერბეიჯანს—12.701 მანეთი, სომხეთს—1,716 მანეთი. ამ წესით არის განაწილებული საბინაო მშენებლობისათვის გადიდებული თანხებიც.

სასოფლო სამეურნეო გადასახადის კამპანია

ანარიცხები სასოფლო სამეურნეო გადასახადიდან სათემო ბიუჯეტის გასაძლიერებლად.

მიმდინარე 1925—26 სამეურნეო წლისათვის ანარიცხი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან 41,5 პროცენტის რაოდენობით უნდა მოხმარდეს მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივ ბიუჯეტების სათემო, საუეზდო და სარაიონო საბჭოთა ბიუჯეტების გაძლიერებას.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა რესპუბლიკების ფინანსთა სახკომატების რწმუნებულთა სამმართველოებს განმარტებითი ბარათები დაუგზავნა იმის შესახებ, რომ თვით ქალაქის რაიონში მდებარე მეურნეობიდან შემოსულ სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან ანარიცხები უნდა მოხმარდეს სათემო, საუეზდო და სარაიონო აღმასკომის ბიუჯეტებს. სხვა რომელიმე ბიუჯეტისათვის ანარიცხების გაღება აღკრძალულია.

რაც შეეხება იმ რაიონებს, რომელთაც არ აქვთ შედგენილი და დამუშავებული ბიუჯეტი, სათანადო თანხა უნდა გადაირიცხოს უმაღლეს ორგანოს (მაგალითად, სამაზრო აღმასკომის) განკარგულებაში, იმ რაიონის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რომელთაც შედგენილი არა აქვთ თავისი ბიუჯეტი.

10 პროც. დანართის გაუქმება სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა განმარტებითი ბარათით აცნობა ადგილობრივ საფინანსო ორგანოებს, რომ ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების გამო, სპეციალური საგზაო ფონდის გაუქმების გამო, უქმდება ათპროცენტიანი დანართი სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე საგზაო მშენებლობისათვის. ამ განკარგულებით ათპროცენტიანი დანართი საგზაო მშენებლობისათვის უნდა გადახდეს იმ მეურნეობათ, რომელთაც შეტანილი აქვთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ძირითადი თანხა.

სასოფლო მეურნეობის მექანიზაცია

ა|კავკასიის საგეგმო კომისიამ გამოიმუშავა დებულება, სასოფლო-მეურნეობის მექანიზაციის შემსწავლელ კომისიის შესახებ.

აღნიშნული კომისია წარმოადგენს სათათბირო ორგანიზაციას ა|კ. საგეგმო კომისიის სასოფ.-სამ. სექციაში. მას ევალება შეისწავლოს ა|კავკასიის სასოფლო-მეურნეობის მექანიზაციის საკითხი. განსაკუთრებული ყურადღება კომისიამ უნდა მიაქციოს სატრაქტორო საქმეს.

კომისიის დადგენილებაში შედიან: ერთი მუდმივი წევრი—სექციის თანამშრომელი, ტრაქტორებისა და სასოფ.-სამეურნეო მანქანა-იარაღების სპეციალისტი ერთი წარმომადგენელი ა—კ. სასოფ.-სამეურნეო ბანკის, ერთი—ა|კ. საბამბო კომიტეტიდან და სხვ.

შინა-ვაჭრობა საქართველოში

პურის დეფიციტი საქართველოსთვის გამოანგარიშებული იყო 4.500.000 ფ. აქედან გეგმის მიხედვით უნდა შემოზიდულიყო 3.300.000 ფ. ფაქტიურათ საქართველოში შემოიზიდა საბჭოთა კავშირიდან და საზღვარ გარეთიდან 3.875.000 ფ. მაშასადამე, პურის გეგმიანი შემოზიდვის ნორმა შესრულებულია 117,4 პროცენტით.

რაც შეეხება ახალ 1925—26 საბიუჯეტო წელს, საქართველოსთვის პურის დეფიციტი გამოანგარიშებულია 4.000.000 ფ. აქედან გეგმით უნდა შემოიზიდოს 3.350.000 ფ. საერთო მოსახმარებლათ და 150.000 ფ. სპეციალურათ ბამბის რაიონებისთვის.

ფართლეულობის (უმთავრესათ ბამბეულის) გეგმიანი შემოზიდვა გასული წლისათვის ნავარაუდევი იყო—295 რონოდა. აქედან წლის განმავლობაში შემოზიდულია 348,5 რონოდა, ე. ი. გეგმა შესრულებულია—118,1 პროცენტით.

მიმდინარე სამეურნეო წლისათვის ნორმა გადიდებულია: სოფლისთვის—12 მეტრი, ქალაქისთვის—16 მეტრი სულზე. სულ შემოსაზიდათ განზრახულია—890 რონოდა, ე. ი. გასულ წელთან შედარებით—100 რონოდით მეტი.

შაქარი უნდა შემოზიდულიყო გეგმის მიხედვით—600 რონოდა, (600.000 ფ.) ხოლო ნამდვილად შემოიზიდა—606 რონოდა, მაშასადამე გეგმა შესრულებულია—101 პროცენტით. მიმდინარე წელში მოხმარების ნორმა გადიდებულია: ქალაქის მოსახლეობისათვის სულზე ნაანგარიშევია—3 გირვ. თვეში, ხოლო სოფლის მოსახლეობისათვის 4 გირვ. წელიწადში. შემოსაზიდავათ ნავარაუდევია—800 რონოდა, გასულ წელთან შედარებით—200 რონოდით მეტი.

ყველაზე უფრო ცუდი მდგომარეობაში იმყოფებოდა ლითონის და სალითონო ნაწარმოების ბაზარი. მისი დაუკმაყოფილებლობა დაკავშირებულია მთელი კავშირის სალითონო მრეწველობის პირობებთან. ლითონის შიმშილი დიდათ საგრძნობელია მთელი მოსახლეობისათვის. ლითონი და სალითონო ნაწარმოების შემოზიდვა მიმდინარე წლისათვის განსაზღვრულია—1.415.000 ფუთით.

რაც შეეხება ხორცის ბაზარს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ მუშაობდა და მუშაობს შარშან დაარსებული სახ. „მიასოტორგი“, რომელმაც თავისი მოქმედება გასულ წელს ბათომშიაც გადაიტანა. „მიასოტორგი“ ბითუმად აბარებს ხორცს სხვადასხვა ქალაქების თითქმის ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებს. ის აგრეთვე ჯარსაც აწოდებს ხორცს. საერთოდ ხორცის საბითუმო ბაზარი სახკოოპერატიულ ვაჭრობის მიერ დაპყრობილია 40—50 პროცენტით.

დანარჩენ მასიური მოხმარების საგნები (მარილი, ასანთი, ნავთი, კალოში, სასილიკატო ნაკეთობა) მათი მომარაგებაც გასული წლის განმავლობაში დამაკმაყოფილებელი იყო და საქართველოს ბაზარს ამ საგნების ნაკლებობა არ განუცდია.

მიმდინარე 1925—26 წ. განზრახულია—1.700.000 ფ. მარილის,—48.750 ფუთი ასანთის და 230 რონოდა სასილიკატო ნივთიერებათა შემოზიდვა.

თუ საქართველოში შემოსაზიდი სამრეწველო საგნების რაოდენობას ფულად ეკვივალენტში გადავიყვანთ, მივიღებთ, რომ მიმდინარე საბიუჯეტო წელს შემოზიდული უნდა იქნეს 45.189.000 მან. ღირებულების საქონელი. გასულ წელს კი შემოზიდული იქნა—37.000.000 მან. საქონელი.

სამრეწველო საგნებზე მომარაგებასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების გეგმიან დამზადებასა და რეალიზაციას. ამ მხრით მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. მოკლეთ სურათი ასეთია. 1923—24 წ. დამზადდა—43.000 ფ. მატყლი, ხოლო 1924—25 წ.—72.400 ფ. ე. ი. 29.400 ფ. მეტი. მიმდინარე წლისთვის განზრახულია—75.000 ფუთი მატყლის დამზადება.

ბამბა 1923—24 წ. დამზადდა—85.500 ფ., ხოლო 1924—25 წ.—123.078 ფ. ე. ი. მოიმატა—37.578 ფ. 1925—26 წ. განზრახულია—150.000 ფ. ბამბის დამზადება.

აბრეშუმი წინა წელში დამზადდა—85.000 ფ. საანგარიშო წელში კი 109.500 ფ. ე. ი. მომატებულია—24.500 ფუთი.

თამბაქოს დამზადება თითქმის ერთი ორად გაიზარდა. გასულ წელში დამზადდა—409.471 ფ., წინაამდეგ 1923—24 წ. 250.000 ფუთისა, ე. ი. მოიმატა—159.471 ფუთით.

ტყავეულობის დამზადება თითქმის იმავე დონეზე იდგა, როგორც გასულ წელში, მსხვილი ტყავი—40.747 ც. და აჭარაში 35.672 ფ., ხოლო წვრილი—39.444 ც. მიმდინარე წელში უნდა დამზადდეს—1000 ათასი ცალი.

ხსენებული საგნების გასაღება გასულ წელს ნორმალურად მიმდინარეობდა და მომავალ წელშიც მათი რეალიზაცია უზრუნველყოფილია.

სიმინდი გასულ წელს დამზადდა—668.317 ფ. დამამზადებელი ფასი უდრიდა—70—85 კაპ. საგაისოთ განზრახულია—1.000.000 ფ. დამზადება. ხორბლის დამზადებას შედარებით მცირე მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის. გასულ წელში დამზადდა პურეული—40.415 ფ. საგაისოთ განზრახულია 200 ათ. ფუთი ხორბალი და 100 ათასი ფუთი ქერის დამზადება.

ჩაი გასულ წლის განმავლობაში დამზადდა—313.650 გირვანქა; წინა წელში კი დამზადებული იყო 200.000 გირვ. მიმდინარე წლისთვის განზრახულია—600 ათ. გირვ. დამზადება.

ღვინო საქართველოში მოვიდა—477.500 ვედრო, მიმდინარე წელში დასამზადებლათ განზრახულია—1.500.000 ფუთი. ამრიგათ სამრეწველო ნედლეულობის ამ მოკლე ცნობებიდან აშკარათ სჩანს, რომ მიუხედავათ ხილისა და ღვინის ბაზრის დაქვეითებისა მათი დამზადება-რეალიზაცია გასული წლის განმავლობაში საგრძნობლათ გაიზარდა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სოფლის მეურნეობა თანდათან წელში იმართება და გლეხკაცობის კეთილდღეობა იზრდება.

აღსანიშნავია აგრეთვე ზოგიერთი ცნობები ფასების მოძრაობის შესახებ. შვიდი საცალო ფასების შედარება თბილისის ბაზარზე—1924-25 წ. გვიჩვენებს, რომ გასული წლის განმავლობაში საერთოთ ფასს ხორცზე აუწევია—4,2 პროც., ნავთზე 12,5 პროც. დაკლებულია ფასი ფქვილზე 10 პროცენტით, შაქარზე 5,7 პროცენტით და ჩითზე 5 პროცენტით. უცვლელია ფასი ხორბალზე და მარილზე. ფასების მოძრაობის ერთგვარი მაჩვენებელია აგრეთვე ცნობები საბიუჯეტო ანაწყობის ღირებულების შესახებ. საბიუჯეტო ანაწყობის ღირებულება პირველ ოქტომბ. 1924 წ. უდრიდა, კერძოთ ბაზარზე 17 მან. 33 კაპ., ხოლო კოოპერაციაში 17 მან. 1 კაპ. 1925 წ. 1-ლ ოქტ. კი კერძო ბაზარზე 17 მ. 51 კაპ. და კოოპერ. 16 მან. 75 კაპ. ეს საერთო დაკლება გამოწვეულია სამრეწველო საგნებზე ფასების დაკლებით—(16 პროც.-ით კერძო ბაზარი და 17,3 პროც. კოოპ.), რაც შეეხება სასოფ.-სამ. საგნების ფასებს, ისინი აწეულია ორივე შემთხვევაში 9 პროც.-მდე.

ჩვეულებრივი სავაჭრო ბრუნვის დამახასიათებლათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბირჟას. საქართველოში მოქმედებს ორი ბირჟა: თბილისის და ბათომის. რესპუბლიკის სავაჭრო ცხოვრებაში ცხადია, უპირველეს როლს თამაშობს თბილისის ბირჟა. ორივე ბირჟის გაერთიანებული ცნობების მიხედვით ჩვენი შინაური ბაზრის ტევადობა თითქმის ერთი-ორად არის გაზრდილი. 1924—25 წ. მათი ბრუნვა უდრის 82.779.100 მან. 1923—24 წ. კი მათი ბრუნვა უდრიდა 36.676.900 მან. მაშასადამე საბირჟო ბრუნვა, წინა წელთან შედარებით მომატებულია—46.102.800 მან.

საქართველოს შინა-ვაჭრობის ევოლიუციაში 1924—25 წ. აღსანიშნავია შემდეგი უმთავრესი დამახასიათებელი მომენტები:

რესპუბლიკაში საქონლის ბრუნვა სწარმოებდა განმტკიცებული ვალიუტის საშუალებით, რამაც გაადვილა შინა-ვაჭრობის ნორმალური მიმდინარეობა.

მოსახლეობისათვის პირველ საჭიროების საგნების მომარაგების საქმე, შედარებით ნორმალურად მიმდინარეობდა.

სას.-სამ. ნაწარმოების გაძლიერებულმა დამზადება-რეალიზაციამ და, რამოდენიმეთ ხელფასის მომატებამაც საგრძნობლათ გაძლიერა მოსახლეობის მოთხოვნილება და მსყიდველობითი უნარიანობა, რასაც ბუნებრივათ თან მოყვა ქვეყნის საზოგადო სავაჭრო ბრუნვის აჩქარება.

ის პოზიცია, რომელიც დაიპყრო სახ კოოპერატიულმა ვაჭრობამ 1923—24 წ. საერთოდ შეინარჩუნა მან 1924—25 წელშიც. და გასული წლის განმავლობაში არ ჰქონია ადგილი ფასების მოულოდნელ აწევ-დაწევას და დიდ რყევას, რაც შემაფერხებელ მიზეზად უნდა ჩაითვალოს წინა წლების ვაჭრობის განვითარებისათვის.

შინა-ვაჭრობის მომწესრიგებელი ორგანოების მორიგ ამოცანას შეადგენს რადიკალური ზომების მიღება იმისათვის, რომ სამრეწველო საგნები და პური თავის დროზე იქნეს შემოზიდული საქართველოში.

სახ. და კოოპერატიული სავაჭრო აპარატის რაციონალიზაცია და საცალო ფასების მოწესრიგება, თვითეულ საქონელზე ნორმალური ზედნართის დაწესების გზით, აგრეთვე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობათ უნდა ჩაითვალოს—ჩვენი შინავაჭრობის განმტკიცების საქმეში.

ლ. გამყრელიძე.

გრძოლა უმუშევრობასთან

შრომის კოლექტივები

უმუშევართა დახმარების უმთავრეს საშუალებას წარმოადგენს შრომის კოლექტივების მოწყობა უმუშევართაგან. გასულ სამეურნეო წელს შრომის კოლექტივები მოწყობილ იქნა საქართველოს მთავარ ქალაქებში: თბილისში, ბათომში და ქუთაისში.

კოლექტივების მუშაობა იმდენად ნაყოფიერი გამოდგა, რომ არა თუ დაფარა ხარჯები, არამედ დასტოვა შედარებით მნიშვნელოვანი მოგება. მაგალითად, გასული სამეურნეო წლის უკანასკნელ კვარტალში ყველა კოლექტივებს ერთად უმუშავნიათ 67 ათას 597 დღე. სამი თვის განმავლობაში თბილისის კოლექტივების წმინდა მოგება უდრის 13.543 მან. ხოლო ბათომის კოლექტივების წმინდა მოგება 9150 მანეთამდე აღწევს, მოგება რჩებათ კოლექტივების საბრუნავ თანხაში.

თბილისის შრომის კოლექტივების სამი თვის განმავლობაში უმუშავიათ 47.671 დღე, ბათომის კოლექტივებს ამავე ხნის განმავლობაში 7.390 დღე, ქუთაისის კოლექტივებს—2411 დღე. დანარჩენი ადგილების შრომის კოლექტივებს—3000 დღეზე მეტი.

1 ოქტომბრისათვის თბილისის, ქუთაისის და ბათომის შრომის კოლექტივებში ირიცხებოდა 1500-მდე უმუშევარი.

საზოგადოებრივი სამუშაოები

თანხების დროზე მიუღებლობის გამო, სამეურნეო წლის დასასრულ საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმებულ უმუშევართა რიცხვი მინიმუმამდე იქნა შემცირებული. მოკლე ხანში განახლდება საზოგადოებრივი სამუშაოები თბილისსა და სხვა ადგილებში. საზოგადოებრივი სამუშაოების მოსაწყობად ამიერ-კავკასიის მასშტაბით გადადებულია 100 ათასი მანეთი. აქედან საქართველოს უმუშევართა დახმარებას მოხმარდება 43.000 მანეთი.

მიმდინარე საბიუჯეტო წლის პირველ მეოთხედში მოეწყობა შრომის ახალი კოლექტივები, რომლებშიაც დასაქმებული იქნება 300-მდე უმუშევარი ხოლო არსებულ კოლექტივთა შემადგენლობა გადიდებული იქნება 20 პროცენტით.

უმუშევრობა რკინის გზაზე

რკინისგზის საუწყო პროფკავშირმა უკანასკნელ ხანებში მთავარი ყურადღება მიაქცია რკინისგზელ უმუშევართა დახმარების საქმეს.

უმუშევრობის სრულ ალკვეთის მიზნით საუწყო კავშირმა მოაწყო 6 შრომის კოლექტივი უმუშევართაგან, რომელნიც ამჟამად მუშაობენ საგზაო სამსახურის 6 უბანში და აგრეთვე რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში, სადაც უმუშევართა კოლექტივები აწარმოებენ დაზიანებულ ორთქლმავალების დაშლას.

საუწყო კავშირი აწყობს აგრეთვე ტეხნიკურ კურსებს უმუშევართა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ქრონიკა

მილოცვა ოქტომბრის დღესასწაულის გამო

7 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის რწმუნებულს ამიერ-კავკასიაში ამხ. კარკლინს ესტუმრენ თბილისში მყოფი უცხო სახელმწიფოების ელჩები, და მიულოცეს ოქტომბრის დღესასწაული. მეგობრული საუბრის შემდეგ გაიმართა საუზმე.

თბ. აღმასკომში

— **საბინაო მიზნობრივი გადასახადი.** თბილისში უკვე აკრეფილი იქნა საბინაო მიზნობრივი გადასახადი 65,000 მან. მეტი, ეს თანხა მთლიანათ მოხმარდება მუშათა საბინაო აღმშენებლობას.

— **საბინაო კოოპერაცია.** დღემდე თბ. აღმასკომის საბინაო კოოპერაციის განყოფილების მიერ აღრიცხული იქნა 200-მდე საბინაო-საიჯარო ამხანაგობა.

— **შეკეთება.** თბ. აღმასკომის ჯანმრთ. განყოფილებამ დაამთავრა პირველი საავადმყოფოს საბებიო-გენეკოლოგიური განყოფილების საფუძვლიანი შეკეთება.

— **სკოლების შეკეთება.** თბ. აღმასკომის განათლების განყოფილებამ უკვე დაასრულა შრომის სკოლების საფუძვლიანი შეკეთება.

— **ცეცხლის გაჩენის წინააღმდეგ.** ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილებამ დაადგინა ,მოახდინოს ყველა თეატრებისა და კლუბების ღუმელებისა, წყალსადენის მილების და ელექტრონის მავთულების გამოკვლევა ცეცხლის გაჩენის თავიდან ასაცილებლად.

მიწათმოქ. სახ. კომისარიატში

— **სააღმშენებლო მასალა.** მიწათმოქ. სახ. კომისარიატმა 1924—25 წლის განმავლობაში რესპუბლიკის ტყეებიდან გასცა 8 ნახევარი მილიონი კუბ. ფუტი საშენი მასალა.

— **ბოტანიკური ბაღის მოსარწყავად** მიწათმოქ. სახ. კომისარიატი შეუდგა გეგმის შედგენას. ბაღი მორწყული იქნება მტკვრიდან ამოქაჩული წყალით.

— **მესაქონლეობისათვის.** მიწათმოქ. სახ. კომისარიატი ამჟამად აწარმოებს მესაქონლეობის გამოკვლევას ხევსურეთში, მთიულეთში და სამეგრელოში.

სოც. დაზღვევის სამმართველოში

— **დაზღვეულები.** სოც. დაზღვევის სამმართველოს ცნობით მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის მთელ საქართველოში ითვლება 88,389 დაზღვეული მუშა-მოსამსახურე.

— **დახმარება ქვრივ-ობლებს.** ოქტომბერში საქართველოს დამზღვევმა სალაროებმა დახმარება მისცეს 866 პენსიონერ ქვრივ-ობოლს.

„სოფლის კომუნისტი“.

გამოვიდა „სოფლის კომუნისტი“-ს მეხუთე ნომერი შემდეგი შინაარსით: ს. კ. პ. (ბ) ორგანიზაციებს და წევრებს; გ. მუშიშვილი. საერთაშორისო ოქტომბერი; კარლ რადეკი. ოქტომბრის რევოლიუცია და აღმოსავლეთის ხალხები; გ. გ—შვილი. ეკონომიური მიღწევები ოქტომბრის რევოლიუციის 8 წლის თავზე; გ. ძიგრაშვილი. ოქტომბერი და კომკავშირი; ა. კვირიკაძე. შვებული წითელარმიელები და სოფლის პარტიული ორგანიზაცია; ი. ხუხუა. ქალთა შორის მუშაობის ამოცანები; ობოლი გლეხი. კომუნისტების დამოკიდებულება რელიგიურ ტრადიციებთან; პ. მეგრელიშვილი. ფოთის ორგანიზაციის პრაქტიკული ნაბიჯები; ალ. ქებაძე. პარტიულ ორგანიზაციების მუშაობა სოფლად; შ. ხატიაშვილი. სოფლის უჯრედების მდივანთა გადასამზადებელი კურსები თბილისში; ი. ბარნელი. სოფლის კომუჯრედების უარყოფითი მხარეები; ნ. ქაჯაია—გლეხ-ქალთა შორის მომუშავეთა შერჩევა; ქ. ბატარაია. კომკავშირის მუშაობა ქოხ-სამკითხველოში. წერილებიდან: პროლეტარიძე. ი. სტალინი. კითხვები და პასუხები; ს. პ—ვა. ი. ქვანია. მიწის კოდექსი; ფოლ—ადიანი. ს. კ. პ. (ბ) საოლქო და სამაზრო კომიტეტების სააგ.-საპროპ. განყოფილებათა თათბირის დადგენილებანი.

სხვადასხვა

— **რენტგენის კაბინეტი.** ჯანსახკომმა გადასწყვიტა ფიზიო-თერაპევტიულ ინსტიტუტთან მოაწყოს რენტგენის კაბინეტი.

— **ბოროტმოქმედებათა რიცხვი.** სექტემბრის განმავლობაში თბილისში მოხდა 162 ბოროტმოქმედება, რომლებშიაც ბრალი მიუძღვის 158 კაცს.

— **მეღვინეთა კავშირმა** 9 ნოემბრიდან დაიწყო თავის უმუშევარ წევრებზე დახმარების გაცემა.

— **ერთეულ მუშებისაგან** დასაზღვევი გადასახადის თავის დროზე ასაკრეფად თბ. დამზღვევ სალაროსთან დაარსდა განსაკუთრებული კომისია.

— **გლეხთა ცენტრალურ სახლში** ახლო ხანში მოწყობილი იქნება ხმამაღლა მოლაპარაკე რადიო-მიმღები აპარატი.

— ფ.-ტელეგრაფის კომისარიატმა წინადადება მისცა ყველა საფოსტო დაწესებულებებს დაუყოვნებლივ შეუდგენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხების მიღებას დანიშნულებისამებრ გადასაგზავნათ.

საბჭოთა საქართველოს კულტურულ აღორძინების გზით

მენშევიკებმა და საზოგადოთ მშრომელი ხალხის ყოველ ჯურის მტრებმა ქვეყანას ყურები გამოუჭედეს, რომ საქართველოში საბჭოების დამყარებამ ლახვარი ჩასცა ამ ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ კეთილდღეობას და რამდენიმე საუკუნით უკან დასწია ისო. რა თქმა უნდა, როგორც ეს საზოგადოთ ყველა ცილისმწამებელს სჩვევია, ამ „ჭეშმარიტების“ დასასაბუთებლათ ისინი თავს არ იწუხებენ ფაქტების მოყვანით.

ჩვენ ქვემოთ მოგვყავს [illegible] მეტად საყურადღებო ცხრილი, საიდანაც ნათლად დაინახავს მკითხველი, თუ რა მიღწევები გვაქვს ჩვენ კულტურულ ფრონტის ერთ დარგში, როგორიცაა გამომცემლობის საქმე. მარტო წლინახევრის განმავლობაში 1924 წ. 1 მაისიდან 1925 წ. 1 ოქტომბრამდე თბილისში არსებულ სახელმწიფო და სხვა გამომცემლობათა მიერ გამოშვებულია:

წიგნები ენების მიხედვით	წიგნების საერთო რიცხვი	მათ შორის										
		[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
1. ქართული	275	51	7	33	3	6	9	64	36	7	9	50
2. რუსული	141	9	4	12	3	8	17	39	4	7	—	37
3. სომხური	20	2	1	1	—	—	—	9	3	—	2	2
4. თურქული	3	1	—	—	—	—	—	2	—	—	—	—
5. ქართულ-რუსული	10	2	—	2	1	—	1	—	—	1	—	3
6. ფრანგული	2	2	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
7. გერმანული	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
8. ასსირიული	3	1	—	—	—	—	—	2	—	—	—	—
9. ოსური	1	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
სულ	455	69	12	48	7	15	27	116	48	15	11	92
ბროშურები												
1. ქართული	414	2	1	22	1	6	15	64	36	142	17	108
2. რუსული	199	—	—	13	4	19	20	26	8	12	19	83
3. სომხური	58	—	—	1	—	1	3	8	9	14	8	14
4. თურქული	26	—	—	1	—	1	—	2	—	9	2	11
5. ქართულ-რუსული	15	—	—	—	—	1	—	2	—	—	3	9
6. ფრანგული	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
7. გერმანული	1	—	—	—	—	1	—	—	—	—	—	—
8. ასსირიული	1	—	—	—	—	—	—	1	—	—	—	—
9. ოსური	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	1
სულ	715	2	1	37	5	29	38	103	48	177	49	226

ამნაირათ სულ თვრამეტიოდე თვის განმავლობაში საბჭოთა საქართველოში გამოცემულია 455 წიგნი და 715 ბროშიურა. და ეს მაშინ, როცა მენშევიკურ საქართველოში სამი წლის განმავლობაში გამოიცა მხოლოდ 195 სხვადასხვა სახელწოდების წიგნი.

ეს ციფრები ყველაზე უფრო მჭერმეტყველურად ლაპარაკობენ იმის შესახებ, თუ რა სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ ჩვენი ქვეყნის კულტურული განვითარება.

ა. გ.

ქალაქში მდებარე მიწების ქირის აკრეფა

თბილისის აღმასკომი უკვე შეუდგა ქალაქში მდებარე მიწებზე გადასახადის ([illegible]) აკრეფას. აკრეფია გასული და მიმდინარე წლების გადასახადი.

ქალაქი დაყოფილია 18 საგადასახადო რაიონად. სულ აკრეფაში 49,479 მან. რომელიც გაწერილია 11,078 კაცზე. გადასახადის განაკვეთი არ აღემატება 30—60 კაპიკს.

ამ ჟამად გადასახადის აკრეფა წარმატებით მიმდინარეობს. გადასახადის აკრეფა განზრახულია 31 დეკემბრამდე.

ხელისუფლების გლეხობასთან დასაახლოვებლად

— გლეხობის ხელისუფლებასთან დაახლოების მიზნით, გლეხთა ცენტრალურმა კომიტეტმა ჯანმრთელობის კომისარიატში სამუშაოთ მიავლინა სიღნაღის მაზრის მცხოვრები გლეხი ამხ. გეგენავა. ამხ. გეგენავა ჯანსახკომის მუშაობაში ჩაბმის მიზანია, რათა კომისარიატის მუშაობა უფრო დაახლოვებული იქნეს გლეხების მოთხოვნილებებსა და საჭიროებებთან. ამას გარდა გლეხების წარმომადგენელი უშუალოდ გაეცნობა თბილისში საექიმო საქმისათვის ჩამოსულ გლეხების მდგომარეობას და სხ.

მეცნიერება და ტეხნიკა

გალილეის უძველესი მცხოვრები

ინგლისელმა არქეოლოგმა ტიურვილმა, რომელიც გათხრებს ახდენდა პალესტინაში, გენისარეთის ველზე ე. წ. „ქურდების დაბლობში“, ტიბერიადის ტბის დასავლეთ ნაპირზე დიდ გამოქვაბულში იპოვა კაჟის იარაღები, იარაღებთან ერთად აღმოჩნდა ადამიანის შუბლის ძვალი და გალილეის უძველესი მცხოვრების თავის ქალას სხვა ნამტვრევები.

უდიდესი წყალვარდნილი

ნიაგარა უკვე დიდი ხანია არ ითვლება უდიდეს წყალვარდნილად (ნიაგარაში წყლის ვარდნა უდრის 570 მეტრს). მან თანდათანობით დაუთმო ადგილი წყალვარდნილ „ვიქტორიას“ (მდ. ზამბეზიზე აფრიკაში), რომელიც ვარდება 133 მეტრის სიმაღლიდან, შემდეგ ინგლისელ მეცნიერის ბრაუნის მიერ ბრაზილიისა და არგენტინის საზღვარზე აღმოჩენილ წყალვარდნილს „იგუასსუს“ (190 მეტრი) და უკანასკნელათ ინგლისის გვიანაში აღმოჩენილ წყალვარდნილს „კაიატენარის“ (220 მეტრი—მეოთხედ. ვერსტ).

ელექტრონის ხარჯვის საზომი

ნორვეგიაში შემოღებულია ელექტრონის ენერგიით სარგებლობის აღრიცხვის მეტად ორიგინალური სისტემა: ელექტრონის ენერგიის დახარჯვის აღმნიშნავი საანგარიშოების ნაცვლად შემოღებულია ელექტრონის ენერგიის ხარჯვის შემზღუდველი აპარატი. ენერგიის მომხმარებელმა წინასწარ იცის თუ რა რაოდენობით შეუძლია მას ენერგიის დახარჯვა. როგორც კი ენერგია დანიშნულზე მეტი დაიხარჯება, მიწოდება შეწყდება.

პერისკოპი ბანკების დასაცავად

საწყობი, რომელშიც ინახება ბანკის განძეულობა, ჩვეულებრივად მიწის ქვეშ არის მოთავსებული, რომ ბოროტგანმზრახველებს გაუძნელდეს მათი გაქურდვა, მაგრამ ამ გარემოებას თავისი უარყოფითი მხარეც აქვს: თუ ყაჩაღმა როგორმე „მონახა გზა“ საწყობისაკენ, მას იქ შეუძლია დამშვიდებით „იმუშაოს“ რადგან გარეთ მდგომი დარაჯი, ვერაფერს გაიგონებს.

ნიუ-იორკის (ამერიკა) ერთმა დიდმა ბანკმა მოაწყო პერისკოპი (ისეთივე აპარატი, რომელსაც ომის დროს ხმარობენ სანგრებში იმის დასანახათ თუ რა ხდება მტრის ბანაკში), რომელიც გარეთ მდგომ მცველებს საშუალებას აძლევს დაინახოს თუ რა ხდება ქვევით საწყობში. პერისკოპი შესდგება რამდენიმე სარკიდან, რომლებიც ისე არიან განაწილებული, რომ მილის საშუალებით გადასცემენ ზევით რაც რომ საწყობში ხდება.

ამ უბრალო მოწყობილობის საშუალებით, სულ უმნიშვნელო უწესრიგობას საწყობში ადვილად შენიშნავენ გარეთ მდგომი მცველები ან შემთხვევით გამვლელებიც.

შემთხვევები

— **დაჭრა.** 7 ნოემბერს, საღამოს 7 ს. კრწანისის ღვინის სარდაფში (მდებარე სამხედრო გზაზე) ღვინის სმის დროს ავაკოვმა იოსებ მამუჩაშვილს თავში დაარტყა ღვინით სავსე კვარტი. თავში და სახეში მძიმეთ დაჭრილი მამუჩაშვილი გადაგზავნილი იქნა საავადმყოფოში. დამნაშავე შეიპყრეს.

— **რომანიულ ნიადაგზე.** 6 ნოემბ. დილის 9 საათზე, ჭავჭავაძის ქუჩაზე მოსე ყიფიაშვილმა რევოლვერი ესროლა ილია ნამთალაშვილს მოკვლის მიზნით, მაგრამ ტყვია აცდა, რის შემდეგ ხელდახელ შეეტაკენ ერთმანეთს, რომლის დროსაც ყიფიაშვილმა რევოლვერის კონდახით დასჭრა ნამთალაშვილი. დამნაშავე შეიპყრეს.

— **შეპყრობა.** 8 ნოემბერს შეიპყრეს გაბრიელ ლითანოვი, რომელსაც ბრალდება ჯიბგირობა.

— **გვამის პოვნა.** 7 ნოემბ. საღამოს კახეთის ქუჩის და შავიხლევ ქ. კუთხეში ხევში აღმოჩენილი იქნა ალექსანდრე დუღაშვილის გვამი.

— **ხიდის ქვეშ.** 8 ნოემბერს ღამის 11 ს. მადათოვის კუნძულზე ხიდის ქვეშ იპოვეს დამტვრეული ტიგრან კაზაროვი, რომელიც თვითმკვლელობის მიზნით გადავარდნილა ხიდიდამ.

— **დაჭრა.** 7 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, ახალთუბნის ქ. № 9 მიხა ჯღამბენავამ ხანჯლით მძიმეთ დასჭრა თავისი ძმა ისაკი ჯღამბენავა. დამნაშავე შეიპყრეს.

— **მკვლელობა.** 8 ნოემბერს, საღამოს სოფ. სოღანლუღში ალი ახმედ ოღლი და ისა სოიდ მილი ოღლიმ მოჰკლეს შამილ ალი ოღლი.

— **ქურდობა.** 6 ნოემბერს, დილის 9 ს. მელევის ქ. № 23 გაქურდეს ბორის გეხტმანის ბინა. ეჭვით შეიპყრეს იმავე ეზოში მცხოვრები პრასკოვია ბაშკიროვი.

— 7 ნოემბ. ნორიოს ქ. № 5 გაქურდეს პავლე გორისლავსკის ბინა.

— ამავე დღეს ანტონოვის ქ. № 47 გაქურდეს ვასილ ნონიაშვილი.

— 6 ნოემბ. ღამით უფლისციხის ქ. გაქურდეს ლადო გაფრინდაშვილის ბინა. წაიღეს 300 მან. ნივთები.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა
„დაისი“

„დაისი“ ზაქარია ფალიაშვილის მეორე ოპერაა, რომელშიაც კომპოზიტორი, წინაამდეგ პირველი ოპერისა, იყენებს საორკესტრო პარტიის ჰარმონიზაციის ევროპიულ ფორმას, რაც უფრო მრავალფეროვან ხასიათს აძლევს ოპერის მუსიკას. ვოკალურ ნაწილში სავსებით დაცულია ქართული სტილი. ოპერის მეორე აქტის შევსება ახალი ფურცელით (ცანგალას კუპლეტებ გუნდით და ბალეტით) — ეს საუცხოვო აზრი მოსვლია კომპოზიტორს. ეს მუსიკალური ნომერი, შესრულებული ნამდვილი ქართული სტილით, ძალიან მელოდიურია, ადვილად ისმენს და ითვისებს აუდიტორია, მას მეტი სიცოცხლე შეაქვს ოპერაში და მეტ ღირსებას აძლევს მას.

პარტიების შემსრულებელთა შემადგენლობა შარშანდელია როგორც ყოველთვის, ვოკალურად დამთავრებულად და ცოცხალი სცენიური შტრიხებით ასრულებს მაროს პარტიას პოპოვა. „მაროს ტირილი“ შესრულებული იყო დიდი განცდით და გულწრფელობით. მთელი პარტია თავიდან ბოლომდე საუცხოვოდ შეეფერება მომღერალი ქალის ნიჭს. ნეიმანი (ნინო) იძლევა ექსპანსიური ქართველი ქალის ცოცხალ სურათს.

ქუმსიაშვილი მუსიკალურად და საკმაო განცდითაც მღერის მალხაზის პარტიას. პირველი არიოზოდანვე (კულისებში) ხმა ლამაზი ტემბრით მოისმის, სიმღერაში ბევრია გულწრფელობა; მაგრამ სცენიური მხარე და მიმიკა მოითხოვს უფრო სწორ დამუშავებას. პირველი აქტის ფინალური არია („თავო ჩემო“) შესრულებული უნდა იქნეს არა კონცერტიული სიმღერის სახით, არამედ აქ გადმოცემული უნდა იქნეს მალხაზის მთელი განცდა. ლამაზია გარეგნობა.

კარგად აქვს დამუშავებული კიაზოს პარტია მომღერალ ევნაძეს. სიმღერაში ბევრი განცდა, ვოკალური კონტრასტები. კარგია ზმერაც განცდის მიხედვით. არია „სულო ბოროტო“-ს შემდეგ საჭიროა უფრო გულწრფელი ტონის აღება თამაშში. კარგია მთელი უკანასკნელი სცენა.

მუსიკალურად მღერის და იძლევა სოფლელ ახალგაზრდის სწორ სახეს—თუმანიშვილი.

დამახასიათებელ სურათს იძლევა ისეცკი ცანგალას პარტიაში. გუნდის ნომრები ძველა მწყობრათ და ლამაზად იყო შესრულებული, განსაკუთრებით მეორე აქტის დიდი ფინალი.

ივანე ფალიაშვილს საუცხოვოდ მიჰყავს ორკესტრი, იძლევა საინტერესო ჰარმონიას და ლამაზ მომენტებს როგორც დამოუკიდებელ პარტიაში, ისე აკომპანიმენტში, მხოლოდ მეორე აქტის ფინალში საჭიროა ნაკლები ხმაურობა აკომპანიმენტში. რომ პოლიფონია გუნდის შესრულებაში კვარტეტთან ერთად უფრო მკაფიოდ უნდა იყოს გამოყოფილი.

დადგმა საუცხოვოა, მაგრამ მზის ამოსვლა ტრაფარეტულია და ვნებს მხატვრულ სურათის მთლიანობას.

ვ. ზ.

რუბინშტეინის „დემონი“

თამარის პარტიაში გამოვიდა პანკრატოვა, თუმცა პარტია უფრო მეტად ლირიულია, ვინემ დრამატიული, მაგრამ მსახიობმა ქალმა ადვილად დასძლია ვოკალური მხარე. ეს იყო განსაკუთრებით დამთავრებული შესრულება—თვითეული მუსიკალური ფრაზა წარმოადგენდა ვოკალური შესრულების მხატვრულ სურათს; მომღერალი უკვირდება შინაარსს და მოქმედების განვითარებას და ამ გზით სიმღერაში აღწევს მთლიანობას. განსაკუთრებით კარგია უკანასკნელი სცენა მონასტერში. დაწყებული პირველ არიოზოდან, რომელიც შესრულებული იყო ნახევარი ხმით ლირიულ ტონებში, გათავებული დრამატიული ხასიათის ფინალით. სცენიური გარეგნობა შესაფერია მხოლოდ მე-3-ე აქტის შემდეგ. პირველ ორ აქტში კი თამარის კოსტიუმი არ შეეფერება არც ეპოქას, არც სტილს. საქართველოში ქალები არასოდეს არ ატარებდენ შარვალს, ის მხოლოდ მუსულმანი ქალების კოსტიუმებს ეკუთვნის.

ალექსაშინი დემონის პარტიაში ყოველგან ვერ სტოვებს ერთნაირ დადებით შთაბეჭდილებას. ლირიული ადგილები საუცხოვოა, (ორივე რომანსი, პირველი ნაწილი სცენისა მონასტერთან და დიალოგი თამართან) მაგრამ პათეტიურ ადგილებში (წყევლა, ფინალი სცენისა მონასტერთან, 1 აქტის არიოზოს ფინალი, ფიცი) საჭიროა მეტი ექსპრესია, მეტი დინამიკა სიმღერის დროს. ასევე უფრო მეტი ტემპერამენტია საჭირო მონოლოგში „მავლონ-ლეო“; საჭიროა უფრო მკაფიოდ იქნეს გადმოცემული ამ მონოლოგის სიტყვები, რომელიც წარმოადგენს ოპერის ყველაზე უფრო შესანიშნავ ფურცელს. გარეგნობა ლამაზია და შესაფერი.

მუსიკალურად, ლირიულ ტონებში შესრულდა სინოდალის რომანსი კავსაძემ.

მოხუც გუდალის ლამაზ სახეს იძლევა ისეცკი. შესრულება სავსებით დამთავრებული იყო. სამწუხაროა, რომ სტოვებენ ქალების ცეკვას, სადაც ასე მელოდიური და აღმოსავლეთური მუსიკაა.

კარგად და მუსიკალურად მღერის ანგელოსის პარტიას ვოლჩანეცკაია.

დირიჟორობდა მელიკ-ბაშევი. გუნდი პროლოგში უმჯობესია უფრო მოშორებით იდგეს ავანსცენიდან.

მუსიკოსი.

სეზონის გახსნა წითელ „თეატრში“
„მანდატი“

პროლეტკულტის წითელი თეატრის რუსულმა სექტორმა თავისი საზამთრო სეზონი დაიწყო ნ. ერდმანის პიესით „მანდატი“.

ამ პიესის შესახებ ბევრი დაწერილა რუსეთის პრესაში. ზოგი კრიტიკოსი მასში ვერ პოულობდა მხატვრულ ღირსებებს, ზოგი კიდევ ამ პიესას გოგოლის გენიალურ „რევიზორს“ ადარებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ერდმანის პიესა არ არის კომედია, როგორც მას უწოდებს ავტორი. ნამდვილი კომედიის დამახასიათებელი ნიშნები აქ ძალიან ცოტაა; „მანდატი“ უფრო შარჟია თანამედროვე ტიპებზე, ის უფრო საგიტაციო პიესაა, ბუფონადა.

მასში მეტათ მკვეთრი ხაზებითაა დახასიათებული „ყოფილი ადამიანები“, რომლებიც ფანჯრიდან ადევნებენ თვალყურს საბჭოთა ხელისუფლებას და ყოველ წუთში მოელიან მის დამხობას.

აქ ავტორი ძლიერია თავისი ირონიით, ის უმოწყალოთ ამათრახებს გენერლებს, მემამულეებს, ფაბრიკანტებს და ყოველი ჯურის „ობივატელებს“, რომლებსაც ვერ წარმოუდგენიათ „მეფის მზრუნველობის“ გარეშე ცხოვრება.

პიესაში არის ზოგიერთი მეტათ მიხდენილი ადგილები (მაგალითად, სცენა გრამაფონთან, მთელი პირველი მოქმედება და სხვა), მაგრამ არის ისეთი ადგილებიც, რომლებიც არა თუ სიცილს არ იწვევს მაყურებელში, პირიქით აქარწყლებს წინა სცენებისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას.

პიესა მეტად გაჭიანურებულია. ხშირია სურათების განმეორება.

შემსრულებელთა შესახებ უნდა ითქვას, რომ პიესა საერთოდ დამაკმაყოფილებლად იქნა გათამაშებული. დასში უეჭველათ არიან ნიჭიერი მსახიობები.

დადგმა საინტერესოა, როგორც მოქმედების კონსტრუქტიულ ხაზებში გამართვის ცდა. მაგრამ წითელ თეატრს აქ არ გამოუჩენია ინდივიდუალური შემოქმედება. დადგმა გადმოღებულია ვ. მეიერხოლდის თეატრიდან.

ბ.

ჟურნალი „მნათობი“

გამოვიდა სამხატვრო სალიტ. ჟურნალ „მნათობი“-ს № 10 (18).

ჟურნალში მოთავსებულია: პორტრეტი რ. კ. პ. ც. კ. გენერალურ მდივნის ი. ბ. სტალინ-ჯუღაშვილის; ლექსები: გალაკტიონ ტაბიძის, ნიკოლოზ მიწიშვილის და ვასო გორგაძის; პროზა: გრ. რობაქიძე: „გველის პერანგი“ (რომანი), კოლაუ ნადირაძე: „თბილისის კონტრაბანდისტები“, ნიკოლოზ მიწიშვილი: თებერვალი (ეპოპეია), დავით კლდიაშვილი: „ჩემი ცხოვრების გზაზედ“. თარგმანები: ვ. კაზინის, ა. ეჩროვის და ბეზიმენსკის ლექსები—თარგმ. ვ. გ-ისა, უპტონ სინკლერი—„მეფე ნახშირი“—თარგმ. კ. ჭიჭინაძისა. კრიტიკა, მხატვრობა და მემუარები: ლ. ტროცკი—„მენდელეევი და მარქსიზმი“. ზ. დუდუჩავა—„ფორმალიზმი ხელოვნებაში“, ს. ამაღლობელი: „ძველი ქვეყანა ოქტომბრის რევოლიუციის მე-8 წლის თავზე“. ელისაბედ ყაზბეგი: „ალ. ყაზბეგის ბიოგრ. მასალები“, (მეორე ნაწილი). ბიბლიოგრაფია: ვ. ხ. ვახტანგ კოტეტიშვილი: ქართული ლიტერატურის ისტორია მე-19 საუკ. დღევანდლამდე, ნაწ. 1-ლი ვ. გორგაძე—ქართველ მწერალ ქალთა ალმანახი № 1, ბკ. ან-ლამე. ქ. გობლი—სტატისტიკა—თარგმ. ი. გაბილაიასი. მ. გ-ძე. ს. დანელია: ატომისტური ფილოსოფია ძველ საბერძნეთში“. ჟურნალი შეიცავს 258 გვერდს და ღირს 2 მანეთი.

— „ქებაძის მაღაზიაში“. გამოვიდა და იყიდება ვ. თაყაიშვილის ვოდევილი „ქებაძის მაღაზიაში“.

— **თბილისის აკადემიური დრამის სეზონი** გაიხსნება ხუთშაბათს, 12 ნოემბერს. წარმოდგენილი იქნება „ჰამლეტი“. პიესას დგამს კ. მარჯანიშვილი. ჰამლეტის როლს შეასრულებს უშანგი ჩხეიძე.

— **ქართული დრამის სეზონი** ბათუმში გაიხსნება დეკემბრის პირველ რიცხვებში. მთავარ რეჟისორად მიწვეულია მ. ქორელი.

მსახიობი ვიაჩესლავ ჯიქია

9 ნოემბერს, დილის 4 საათზე, ტუბერკულოზით გარდაიცვალა, დრამის მსახიობი ვიაჩესლავ გაბრიელის ძე ჯიქია. განსვენებული დაიბადა 1897 წელს, ქ. ზუგდიდში, პირველ დაწყებითი სწავლა მიიღო თავის მამის ოჯახში, საიდანაც გაბარებულ იქმნა ზუგდიდის სამოქალაქო სასწავლებელში, რომლის დასრულების შემდეგ მამა მისი იძულებული გახდა სწავლას მოწყურებული პატარა ვიაჩესლავი წაეყვანა ქუთაისში სწავლის გასაგრძელებლად. 1914 წელს, მან დაასრულა ქუთაისის ქართული გიმნაზია და გაემგზავრა ქ. ბაქოში დასთან სამსახურის საშოვნათ. აქედან დაიწყო მისი მოღვაწეობა საზოგადო ასპარეზზე. ჯერ კიდევ ქუთაისში მოწაფეობის დროს იგი თანამშრომლობდა ყველა მაშინდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, რომელთაც აწვდიდა ცნობებს სოფლის ყოფა-ცხოვრებიდან. ბაქოში ყოფნის დროს იგი დაუახლოვდა იქ არსებულ ქართულ დრამატიულ წრეს, რომელსაც ხელმძღვანელობდა შალვა დადიანი. პირველ ხანებში ვიჩე ასრულებდა მოკარნახეს მოვალეობას და თანაც გამოდიოდა პატარა როლებში, ცოტა ხნის მუშაობის შემდეგ გადაყვანილ იქმნა საპასუხისმგებლო როლებზე. როდესაც 1918 წელში ქ. თბილისში დაარსდა დრამატიული სტუდია გ. ჯაბადარის ხელმძღვანელობით ენერგიით სავსე ახალგაზრდა ვეჩე, მოწყურებული დრამატიულ ხელოვნების შესწავლის მოისწრაფება თბილისში. იგი მიღებული იქნა სტუდიაში და სულ მალე დაიჭირა თვალსაჩინო ადგილი ამხანაგებს შორის თავის მუშაობით. 1920 წელში მუდმივი დასის დაარსების შემდეგ, ვეჩე ჩარიცხულ იქნა მის შემადგენლობაში, სადაც იმყოფებოდა უკანასკნელ დღემდის. კორპორაციის რიგში იგი ითვლებოდა საუკეთესო ამხანაგათ და მებრძოლ წევრათ ახალი თეატრის იდეისათვის. სცენაზე მუშაობის დროს მას არ შეუწყვეტია თანამშრომლობა ჟურნალ-გაზეთებში, სადაც ყოველთვის ათავსებდა წერილებს ჩვენი თეატრის ავ კარგზე დღეს კი ულმობელმა სენმა მოსტაცა ქართულ სცენას საუკეთესო წევრი.

მუშათა ცხოვრება

ამ „მუშაკმა“ თავი მოგვაბეზრა

სოფ. ტაუზში არსებობს სახალხო საავადმყოფო. საავადმყოფოსთან არის საკმაოთ მდიდარი აფთიაქიც. საავადმყოფოს აუარებელი გლეხობა აწყდება. მასთან ტაუზში არის ცემენტის ქარხანა, სადაც 300 მუშა-მოსამსახურე მუშაობს.

ყველანი ამ საავადმყოფოთი სარგებლობენ. საავადმყოფოს ჯერ-ჯერობით საწოლები ავადმყოფებისათვის არა აქვს, მაგრამ ამ მოკლე ხანში განზრახულია საწოლებიც დადგას.

ზემოხსენებულ აფთიაქში მუშაობდა 2—3 თვის წინეთ, ვინმე ყოფილი ფერშალი ბილევიჩი, რომელიც ამ ხანებში დატუსაღებულია. მას ბრალდება წამლების მითვისება და სხვა. ბილევიჩის შემდეგ აფთიაქში გადაიყვანეს—ფერშალი სიმონ ბაკუმენკო. ის მიიღეს საავადმყოფოდან დროებით, სანამ ფარმაცევტს იშოვნიდენ. ბაკუმენკოს აფთიაქის არაფერი ესმის. როცა ექიმი ავადმყოფს უწერს რეცეპტს, ის ვერც კი კითხულობს მას ხეირიანად. ამისთვის ხშირად ისევ ექიმს უნდა მივმართოთ წამლის მზადების დროს. მან არ იცის, სად რომელი წამალი აწყვია. ის მთელი საათობით უნდება წამლის ძებნას და საეჭვოც არის ამზადებს თუ არა ამ წამალს, რასაც უწერს საავადმყოფოს ექიმი.

იყო ასეთი შემთხვევა, წამალი იყო აფთიაქში, მან იგი ვერ იპოვა, ექიმის დაუხმარებლად. ექიმი (იგივე საავადმყოფოს გამგე), ხშირად სინჯავს დამზადებულ წამლებს და ხშირად ხდება, რომ ერთი და იგივე წამალი ხელმეორედ მზადდება.

არის ისეთი შემთხვევაც, რომ ავადმყოფი თითქმის 1—2 დღე ვერ ღებულობს წამალს.

სხვათა შორის, ბატონი ბაკუმენკო ძალიან უდიერად ეპყრობა მუშა და გლეხ ავადმყოფებს, თუ ის ვინმემ რამეში შეაწუხა, ან ზედმეტი რამე სთხოვა, ან უთხრა რამე წამლის დაგვიანების შესახებ, ის კისრის ქვრით აგდებს მათ კარში, ლანძღვა-გინება ხომ მისი ჩვეულებრივი ლაპარაკია.

ბ. ბაკუმენკო დიდი ხანი შემჩნეულია იმაში, რომ ის ტყავს აძრობს ავადმყოფებს, მაგალითად წამალში, რომელიც ღირს 97 კაპიკი, ის ახდევინებს 2 მან. 1 კაპ.

ყველას თავი მოაბეზრა ამ უსინდისო „მუშაკმა“, დროა ლაგამი ამოსდოთ.

აბდული.

რკინისგზის წარმოებაწილის სამასალო სამსახურის ქარხნების ცხოვრებიდან

ამ ქარხნების საწარმოო თათბირის ერთერთ კრებაზე და აგრეთვე კომუჯრედის ღია კრებაზედაც—სადაც მოხსენებას აკეთებდა ქარხნების უფროსი მოქ. ნაცვლიშვილი აღინიშნა, რომ მის უფროსობის დროს წარმოებამ აიწია 24 პროც. ქარხნის უფროსი მადლობის ღირსია, თუ ეს აწევა ხდება მისი გონივრული მოხერხებით და უნარით. მაგრამ საქმე იმაშია, რომ წარმოება იწევს მუშების ფიზიკური ძალის და ენერგიის უზომო ხარჯვითაც, აქ, სახელოსნოში გონივრულ საშუალებებს კი წარმოების ასაწევად არავითარი ყურადღება არ ექცევა. აი ამის პატარა მაგალითიც: მუშებმა მისცეს უფროსს შეკითხვები იმის შესახებ, რომ ქარხნებს ეტყობა დიდი ნაკლი, როგორც მანქანური, ისე ხელით მუშაობის ტეხნიკურ ჩამორჩენილობის გამო და ყურადღება ექცევა ამ მხრით მუშების გამოგონებებს?

გამოირკვა, რომ ჩვენი მუშების გამოგონებას ან სულ არ ექცევა ყურადღება, ან და მათი ყურადღება იმაში გამოიხატება, რომ ხელი შეუშალონ გამომგონ მუშებს.

ამის საილუსტრაციოდ მოვიყვან ერთ მაგალითს: ამხ. ბალიაშვილს გამოუგონია ხელით სამუშაო დაზგა, რომლის საშუალებით სადურგლო საქმის ერთი საგრძნობი ნაწილი 150 პროცენტით უმჯობესდება. ეს დაზგა გაუკეთებია ორნახევარი წლის წინეთ და დაუმტკიცებია კიდეც მისი სარგებლიანობა, მაგრამ მას უკანასკნელ ხანამდის არ იყენებდენ, და ამას ასაბუთებდენ სხვადასხვა ერთიმეორის მოწინააღმდეგე მიზეზებით. ეს მიზეზები კი შემდეგია: თითქოს მანქანურ ხანაში ხელით სამუშაოს გაუმჯობესებაზე ფიქრიც ზედმეტია. მაგრამ როცა გამომგონმა დაამტკიცა რომ ჩვენში ხელით მუშაობას ჯერ კიდევ დიდი ადგილი აქვს დათმობილი და დაზგის გაკეთება კი ჯდება ძალიან იაფად (ხუთ მანეთად) და მას შეუძლია დიდი ნაყოფიც მოგვცეს მაშინ ქირისუფლებმა მოიმიზეზეს ის, რომ თითქოს შესაფერი სამუშაო მათ არ ჰქონდეთ. ბოლოს დიდი ვაივაგლახის შემდეგ ქარხანამ დაიწყო დაზგის გამოყენება, რაც ძვირად დაუჯდა ამხ. ბა—შვილს. მან ამის გამო გადაიტანა მრავალი დაცინვა, დამცირება და ეკონომიური ზარალიც. მაგრამ მას ამან ვერ გაუტეხა გული და ნაწილობრივ მიზანს მიაღწია.

ეხლა ამხ. ბა—შვილის მიზანია, ეს სადა და სასარგებლო გამოგონება გაავრცელოს სხვა ქარხნებშიც ამხ. ბალიაშვილი არავისგან არ თხოულობს რაიმე ჯილდოს და ამ დაზგის გამოუყენებლობა ბოროტებათ უნდა ჩაეთვალოს ქარხნის ხელმძღვანელთ. ამიტომ ბ—შვილმა მიმართა რ. გზ. სამმართველოსთან არსებულ გამომგონთა კომისიას, რომელმაც დანიშნა რკინისგზის სადურგლო ქარხნების წარმომადგენელთა კომისია ამ გამოგონების სარგებლიანობის გამოსარკვევად და მის გამოსაყენებლად. მაგრამ ჯერ ამ კომისიის შეკრება მოხერხდა დიდის წვალებით, რადგან არავის სურდა მოსვლა, მერე მთავარ სახელოსნოს სადურგლო განყოფილების წარმომადგენელმა ბატ. ახობაძემ დაიწყო მუშის გამასხარავება: ამერიკა ხომ არ აღმოგიჩენიათ, რისთვის მოგვიყვანეთო?!

ამ გამოგონებისთვის გვაქვს შესაფერი საქმეები ყველა სადურგლო ქარხნებში, მაგრამ ადმინისტრაციას არ სურს თანაგრძნობით შეხვდეს მუშის გამოგონებას.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს სათანადო ყურადღება.

მოუდგომელი.

სად არის სანიტარული კომისია?

კრასნოგორის ქუჩაზე სახლი № 31-ის ეზო საქათმედ არის გადაქცეული, თითქმის ყველა მდგმურებს ყავთ ქათმები და ეზოში რომ შეხვედეთ, გეგონებათ. რომელიმე სოფლის ოჯახში ხართ. ეზოში ქათმების და ბატების რიცხვს ვერ დაითვლით პირდაპირ გაშვებული ყავთ ეზოში. ამისგამო მთელი ეზო ანტი-სანიტარულ მდგომარეობაშია, რამოდენიმე თვის განმავლობაში არც ერთხელ არ შემოუხედია სანკომისიას ამ ეზოში. აწი მაინც იმედი გვაქვს სანიტარული კომისია შეივლის ამ ეზოში და გადაგვარჩენს და მიიღებს სათანადო ზომებს. მექათმეებს კი შეასწავლის თუ სად და როგორ უნდა გამრავლონ ქათმები.

მუშკორი ა. ბობოთური

გაუმაძღარი ინსტრუქტორი

გორის განათლების განყოფილების ინსტრუქტორათ ითვლება ერთი მეტად საეჭვო წარსულის პატრონი ვინმე გაბარაშვილი. მას საბჭოთა ხელისუფლების ამოცანების განათლების საქმეში სრულიად არაფერი გაეგება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის იმდენ ჯამაგირს ღებულობს რაც 12 მასწავლებელს აქვს თვეში. როგორც ინსტრუქტორი იგი ღებულობს ას მანეთს, როგორც უმაღლესი ტიპის სკოლის გამგე ას მანეთს და როგორც მე-8 შრომის სკოლის გამგე კიდევ ას მანეთს, ასეთ გულუხვობას იჩენს ჩვენი მაზრის განათლ. განყოფილება.

ნუ თუ არ შეიძლებოდა მოქ. გაბარაშვილის თუ გინდ ერთი თანამდებობიდან დაკმაყოფილება? ან რისი გამკეთებელია იგი, რატომ ანგარიშს არავინ სთხოვს მას ამაზე.

ს.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **უმუშევართა დამზღვევ სალაროს წინ.** მე-2-ე უბანში მადათოვის ქუჩაზედ, უმუშევართა დამზღვევ სალაროს წინ საწყობის ფანჯრები ჩამტვრეულია, იქ მრავალი უმუშევარი მუშები და მოსამსახურენი დადიან და შეიძლება შიგ ფეხი ჩაუვარდეთ და დაშავდენ კიდეც.

ქალ. აღმასკომი, შეაკეთე და დაიხსენი ხალხი ამ ხიფათისაგან.

მუშკორი ალ. ბ—ლი.

— **ილია ჭავჭავაძის სახელობის შრომის სკოლა.** სურგუ-ნიშანის ქუჩაზე არის შრომის სკოლა, სადაც წესიერება არ არის დაცული. მოწაფეები გამოდიან შუა ქუჩაში; არის ერთი ყვირილი და ჟურზაური; ერთმანეთს ესვრიან ქვებს, რის გამო დაბლა სართულის ოთახების ფანჯრები და მინები ჩალეწილია. შეიძლება კიდევ რომ შუა ქუჩაში მოხეტიალე მოწაფეს შეემთხვეს მარცხი გამვლელ ეტლისა ან და ავტომობილებისაგან.

რას უყურებს სკოლის გამგე!

მუშკორი გ. ხალუქვაძე.

წერილები პროვინციიდან

სოფელს ცეცხლისაგან დაზღვევა უნდა
(წერილი რუხიდან)

შემოდგომის დადგომასთან ერთად სოფლებში გახშირდა ცეცხლის გაჩენის მაგალითებიც. გლეხი ამ [illegible] განმავლობაში თავს უყრის მთელი წლის სარჩო-საბადებელს. ეზოებში, საბძლებში, სამზარეულო და ხშირათ საცხოვრებელ სახლებშიაც თითქოსრიცლია აუარებელი ხმელი, ცეცხლისაგან მოსარიდებელი მასალა: ჩალა, სიმინდის ფუჩეჩი, ბზე და სხვა. ხშირათ გლეხის ოჯახი მთელი დღეობით გარეთ არის და მოსავლის მოგროვება-მიზიდვას უნდება.

სახლი ან სრულიად უყურადღებოთ რჩება, ან მცველებათ სტოვებენ ბავშვებს და მცირეწლოვანებს. ამის გამო საკმარისი ხდება პატარა გაუფრთხილებლობა, რომ ცეცხლმა თავი იჩინოს და ფერფლად აქციოს გლეხის მთელი ავლა-დიდება. ყველამ იცის რა ძნელია სოფლის პირობებში ცეცხლთან ბრძოლა. გარდა იმისა, რომ უმეტეს ნაწილად სოფლის შენობები ხისაა, მას შემოდგომაზე ემატება კიდევ ზემოთხსენებული ხმელი მასალა და ამნაირათ გლეხის კარმიდამო ადვილათ ასაფეთქებელ ბანაკს ემსგავსება.

ცეცხლის გაჩენის რამდენიმე მაგალითი უკვე ვიცით „კომუნისტის“ გადმოცემით. ესენი თითქმის ყველა შემოდგომაზე მოხდა. ასეთივე სამწუხარო შემთხვევას ჰქონდა ამ დღეებში ადგილი ჩვენს თემშიაც.

ადგილობრივ გლეხ სიმონ მახარაძის სახლს იმავე გაუფრთხილებლობის გამო, რომელზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი, გაუჩნდა ცეცხლი და მთლიანად გადაიბუგა. ცეცხლის ალი ისეთი სისწრაფით მოედო მთელ შენობას, რომ მოუხერხებელი შეიქნა სახლიდან რაიმეს გამოტანა და განადგურებისგან გადარჩენა. დარჩა მთელი ოჯახი ქერა-გაციებული.

ცეცხლის გაჩენის მიზეზი ჩალა და სიმინდის ფუჩეჩი იყო, რომელშიაც მოხვდა ფეხის მილიდან გამოვარდნილი ნაპერწკლები. ადვილი წარმოსადგენია რა მდგომარეობაში ვარდება ამის შემდეგ წვრილშვილიანი გლეხი ბინისაც, რომ თავი დავანებოთ, მას ხელიდან ეცლება მთელი წლის სარჩო-საბადებელი და ამნაირათ სიმშილით სიკვდილის პირას რჩება ის.

ასეთ შემთხვევაში საჭიროა ფართე საზოგადოებრივი დახმარება. განსაკუთრებული მზრუნველობა უნდა გამოიჩინოს ცეცხლისგან დაზარალებულის დახმარებაში გლეხკომმა. სოფლის სხვა საზოგადოებრივი და ხელისუფლების ორგანოებიც არ უნდა დარჩენ გულგრილად დამწვარ გლეხის დახმარების საქმეში.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ასეთი დახმარებები, რაც უნდა დიდი და ფართე არ იყვეს ის, გლეხს ვერ აუნაზღაურებს ყველა იმ დანაკლისს, რომელსაც ცეცხლი აყენებს მის ოჯახს. აქ საჭიროა ცეცხლისგან დაზარალებულთა დახმარების საქმე უფრო მკვიდრ ნიადაგზე იქნას დაყენებული. ამისათვის საჭიროა სოფლადაც გადმოტანილ იქნას სახელმწიფო დაზღვევა, რომელსაც ჯერ-ჯერობით ქალაქს გარეთ თითქმის არ გაუფართოებია თავის მუშაობა. სოფელი ქალაქზე ნაკლებ არ ზარალობს ცეცხლისაგან. პირიქით, ხანძარის წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალებათა უქონლობის გამო, სოფელი თითქმის სრულიად უძლური ხდება ცეცხლთან ბრძოლაში.

ცეცხლის გაჩენის დროს, გლეხებს უფრო იმაზე უხდებათ ზრუნვა, რომ სხვა შენობები გადაარჩინონ, ხოლო თვით ცეცხლ წაკიდებული შენობიდან მხოლოდ ბოძები და რჩება და ისიც, თუ ეს ბოძები ქვისაა. სახელმწიფო დაზღვევის სოფლად გავრცელების მოკვარება თემსაბჭოებს არ შეუძლიათ. ეს უნდა ითავოს მაზრამ და ცენტრალურმა ხელისუფლებამ. გლეხის მეურნეობის დასაცავად და ასაყვავებლათ ამ საკითხის სასურველათ გადაჭრას,—უეჭველად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ეგ. ნახუცრიშვილი.

ზემო-სვანეთი დაიმშა

ზემო-სვანეთში გაზაფხული კარგ იმედებს იძლეოდა. გლეხობა შეჰხაროდა ნათესებს და დარწმუნებული იყო, რომ კარგი მოსავალი მოუვიოდა. მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდგა. ივლისმა დაიჭირა დიდი სიცხეები. აგვისტოც ისე გავიდა, რომ წვიმა აღარ მოსულა. გახმა ყველაფერი. პურმა და ქერმა კიდევ გაუსწრეს, მაგრამ გულის დამწყვეტი იყვნენ სიმინდები ფეტვები და სხვა გვიანი მოსავალი. სიმინდის ღერო არშინ სიმაღლეზე დარჩა, ესე იგი იმ სიმაღლის, როგორიც იყო მეორე თოხნის შემდეგ (ჩვენში სიმინდს სამჯერ თოხნიან).

ახალი გამოჩენილი, თითო ოდენი ტარო ღეროს შუაში და დამწვივაბულსა ჰგავდა. წყლებმაც ძალზე დაიკლეს სოფელ ლახამულაში მთლად გაშრა ერთად-ერთი რუ, რომელსაც სასმელად ხმარობდა მთელი სოფელი. დილა ადრიანად ქალები ჭურჭლებით დაეძებდნენ ბუჩქებ ქვეშ გუბეებს, რომლებიც ნაშუადღევიდან სრულებით შრებოდენ.

ასეთ ზაფხულში რიგიან, ან საშუალო მოსავალზე ოცნებობა ზედმეტი იყო. ზემო სვანეთი წელს დამშეულია. ყველაფერ ზემოხსენებულს იმედია ყურადღებას მიაქცევს მთავრობა და დროზე ზომების მიღებით დაიხსნის გაჭირვებულ გლეხობას მოსალოდნელ სიმშილისაგან.

ჟიდოვერი.

თფილისის სიახლოვე ვერ შველის
(ს. დიღომი)

თბილისის სიახლოვე ჩვენი სოფლისათვის ერთნაირად მავნებელიც შეიქნა. მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა წვრილ ვაჭრობას მისდევს. ხშირად უხდება ადგილობრივ მომუშავე ამხანაგებს გლეხებთან საუბარი სკოლების, ქოხ-სამკითხველოების და სხვა კულტურულ დაწესებულებების გახსნის ირგვლივ. მაგრამ პასუხად გაიგონებთ: ჩემი სკოლა და თეატრი ჩემი „სახედარი და საპალნე არისო“.

აღსანიშნავია, რომ ამასთანავე ჩვენი გლეხობა ცრუმორწმუნეობასაც ძალიან მისდევს. საეკლესიო დღესასწაულებს დიდი მზადებით ეგებებიან ხოლმე. ბავშვის მონათვლა, ქორწინება ან მიცვალებულის გასვენება აუცილებლად მღვდლის თანადასწრებით უნდა მოხდეს. მართავენ „ქელეხებს“. მიცვალებულის პატრონი უკანასკნელს ჰყიდის ან ვალად იღებს და ამ დრომოჭმულ ადათის გადაუხდელად არ დარჩება. ამავე დროს თემში დიდი უსუფთაობაა. გლეხებს სახლების წინ დაგროვილი აქვთ ნაგავის კალოები. მკვდარ ფრინველებს და წვრილ ოთხფეხს გზებში ჰყრიან. საჭიროა თემის სანიტარული კომისია ამუშავდეს და მიიღოს სასტიკი ზომები სისუფთავის დასაცავად. გარდა ამისა არც სასმელი წყლებია სიბინძურისაგან დაცული. რა გინდათ, რომ წყლის რუებში ვერ ნახოთ. სასმელ რუებში ჰყრიან ფრინველებს, ნაგავს, დამპალ პამიდორს და სხვას, საკვირველია, რომ ამ წყალს სვამს სოფელი და არ იწამლება.

ადგილობრივი აღმასკომი ძალიან მონდომებულია გამოიყვანოს წყალსადენი, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ ბედავს ამ დიდი საქმის დაწყებას. თუ ცენტრი დაგვეხმარება ტეხნიკური ძალით და მიიღებს ნისიად მოგვცემს, დანარჩენს თვითონ დიღმელები შეასრულებენ დიდი აღტაცებით.

ი. ღლონტი.

წერილებიდან

ნატანები (გურია)

ერთისთვის მადლობა, ნურც მეორეს დავივიწყებთ. გურიის გლეხობა დიდათ აფასებს საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობას, რომელიც გამოიხატა ნატანებ-ოზურგეთის რკინისგზის გაყვანაში. მაგრამ რაც ეს შტო გაკეთდა, ალარავინ იწუხებს თავს ძველათ არსებულ გზატკეცილის მოსავლელათ, გლეხებს ამ გზით დღესაც ფართეთ სარგებლობენ, გზა კი იმდენათ დაზიანებულია, რომ მასზე მიმოსვლა ყოვლად შეუძლებელია.

დიმიტრი შავიშვილი.

ზემო-ნიქოზი (გორ. მ.)

ორი წლით დავასწარით. დიდი ილიჩის ანდერძი ოქტომბრის ათი წლის თავისათვის წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის შესახებ ჩვენმა სოფელმა პირნათლათ შეასრულა. ჩვენს სოფელში დღეს აღარ მოიპოვება არც ერთი წერა-კითხვის არმცოდნე მცხოვრები.

ნ. მახარობლიძე.

ზუგდიდი

უხამური მკითხველები. ჩვენს სამკითხველოში ბევრი უხამური ახალგაზრდები დაეხეტებიან. ისინი აქ პაპიროსს წევს და არშიკობისათვის იყრიან თავს. წასვლის დროს სამკითხველოს ჟურნალში გვარის მაგიერ სხვადასხვა გვარ სამასხარო სიტყვებს სწერენ. გამგე, მიაქციე ყურადღება.

მიშა თოდუა.

ს. სხვავა (რაჭა)

„ტარიელ“... გიორგობიანი. აქაურ გლეხებსაც ჰყავთ ჩვენი დროის ტარიელ მკლავაძე. ეს გახლავთ გალაქტიონ გიორგობიანი. ის არც ხელით იშურებს გლეხებს და იარაღითაც ხშირათ ემუქრება. ნუნუას ძალიან უყვარს გალაქტიონს. მთელი ღამეობით ქეიფობს არღნით და მოსვენებას არ აძლევს შრომათ დაღლილ სოფელს.

იდ. გიორგობიანი.

ს. ჭანდაურა (სიღნ. მ.)

ქურდებმა აგვიკლეს. ამ ბოლო ხანს ჩვენს სოფელში მეტად გახშირდა ქურდობა. გლეხ საქულა ოზგეღლდოვს და ლექსო ქიტრიაშვილს მოპარეს ორი ხარი, თვითეულს. ევგენი ხატისაშვილმა და სვიმონ აგულომა დაკარგეს ორი ცხენი. გლეხობა ძალიან შეწუხებულია ქურდბაცაცების თავგასულობით.

მეთვალყურე.

სოფლის ქრონიკა

— **სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი.** აჭარის ცენტრალურ გლეხთა კომიტეტმა მაზრებში მოაწყო 13 სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი.

— **ჭახათის თემში.** (აჭარაში) ამ დღეებში დაარსდება შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა.

— **საქონლის ჭირი.** დიღომში (თბ. მაზრა) გაჩნდა საქონლის ჭირი.

— **სენაკის სამაზრო აღმასკომმა** გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა სახ. კომისართა საბჭოს წინაშე შავი ზღვის რკინიგზის დეპოს სენაკში მოწყობის შესახებ.

— **ებრაელ მცხოვრებთა** შუამდგომლობის თანახმად განზრახულია სოფ. ბანძაში გაიხსნას ებრაელ ბავშვთათვის სკოლა.

— **სოფ. ახმეტაში.** თელავის აღმასკომმა გადასწყვიტა გახსნას გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა.

— **წყალსადენი.** სოფ. პერევისის (შორ. საზ.) მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს გამოიყვანონ წყალსადენი.

— **1905 წლის რევოლიუციის 20** წლისთავის დღესასწაულის ჩასატარებლათ გორის მაზრაში, სამაზრო აღმასკომთან გამოყო ცალკე კომისია.

დავეხმაროთ „წერკუმს“-ს

შემაქვს წერკუმს-ის სასარგებლოდ ათი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1. ლ. ქართველიშვილს, 2. მ. კახიანს, 3. მ. ჩოდრიშვილს, 4. ე. ასრიბეკოვს, 5. გ. სტურუას, 6. ს. მამულიას (მოსკოვი), 7. ქ. ორაგველიძეს (მოსკოვი), 8. ა. ლიცინოვს, 9. პავლე საყვარელიძეს, 10. არჩილ რუხაძეს, 11. ალ. ჯიჯაძეს და 12. ალ. პაპავას.

გ. მუშიშვილი.

შემაქვს წერკუმს-ის სასარგებლოდ ამხ. გიორგი გორდეზიანის გამოწვევით 5 მანეთი და ვიწვევ დამცველთა კოლეგიის შემდეგ წევრებს. 1. მიხეილ ტატიშვილს, 2. ალექსანდრე რიჟამაძეს, 3. ლაზარე შურღაიას, 4. მიხეილ ლვამიჩავას, 5. პეტრე სარქისოვს, 6. მემნო ჩხიკვაძეს.

ვთხოვ აღნიშნულ ამხანაგებს გამოიწვიონ თავის მხრით ნაცნობ-მეგობრები.

მელქისედ. კანდელაკი.

ფულის შეტანა შეიძლება იუს. სახ. კომ. წ ე რ კ უ მ ს-ის თავმჯდომარე ამხ. ხარაბაძესთან.

მელქისედეკ კანდელაკი.

„წერკუმს“-ის იუსტიციის სახალხო კომ. და ქ. წ. დ. არმ., ქ. დივიზიის სამხ. ტრიბ—ის და პროკურატ. უჯრედის ბიუროს წევრებს ამხ. იაკობაშვილს, ხარაბაძის, ჩიხუნაშვილის და აბაშიძის გამოწვევის თანახმად, შემაქვს „წერკუმს“-ის უჯრედში 3 მან. და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

მე-2 ქართული დივიზიიდან: 1) პეტრე [illegible]შვილს, 2. [illegible] მარკაროვს, 3. გედევანიშვილს, 4. ბლუაშვილს, 5. [illegible]

1-ლ ქართ. დივიზიიდან: 1. არტემ კვირიკაძეს, 2. ანდრია კობაძეს, 3. გერმანე მათითაიშვილს.

ცეკავშირიდან: 1. ვალოდია ცაგარელს, 2. ნინა შავგულიძეს, 3. გიორგი ცაგარელს.

საქ. სახელმწ. სავაჭრო სახლის ამხ-ბიდან: 1. ალექსანდრე ჯაფარიძეს, 2. ვასო არეშიძეს, 3. დათიკო მესხს, 4. ნიკოლოზ ამირაღოვს, 5. თამარა ტატიშვილს, 6. ალექსანდრე ნინუას.

1-ლ და მეორე ქ. დ. პარტკომისია: 1. სერაპიონ ლომიძეს, 2. ალექსანდრე ტიგიშვილს.

საქ. ტერ. სამმართველო: 1. ვანიჩკა ელენტს, 2. გრიგოლ ავალოვს, 3. უჩანეიშვილს, 4. ამბროსი იაკობაშვილს, 5. მელითაურს, 6. ნიკოლოზ შავიშვილს.

აკაკი ლეკვეიშვილი.

ცენტრალურ პარტიულ სკოლის პედაგოგიურ საბჭომ თავის სხდომაზე 6 ოქტომბერს დაადგინა, რომ „წერკუმის“-ს სასარგებლოდ თავის ჯამაგირიდან გადასდოს 3 პროც.; ასეთივე დადგენილების გამოსატანად ც. პ. სკოლა იწვევს „ზაკაუს“, მუშფაკების და თბილისის პარტსკოლების პედაგოგიურ საბჭოს.

ც. პ. სკოლის პედაგოგიური საბჭო.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მეკუთვნის თუ არა მშობლებისაგან დაშთენილი ქონება

კითხვა

მამაჩემის ქონებიდან ჩემი გათხოვების დროს არავითარი წილი არ მიმიღია; მამა გარდაიცვალა და ქონებას ფლობდა მოხუცი დედა, რომელმაც მის სიცოცხლეში არ ისურვა ჩემი დაკმაყოფილება. შეუბნებოდა: „მე რომ მოვკვდები, ხომ მაინც თქვენი იქნებაო“. დედა გარდაიცვალა. მას აქეთ უკვე შვიდი თვეა, ქონებას ადგილობრივი ხელისუფლება დაეპატრონა. მე თვითონ ვარ ქვრივი, შრომის უნარმოკლებული, მყავს პატარა ბავშვები... მე ვითხოვ მამაჩემის ქონებიდან მხოლოდ მოძრავ ქონებას.

გთხოვთ მიპასუხოთ, მომეცემა თუ არა გარდაცვალებულ მშობლებისაგან დაშთენილი მოძრავი ქონება მემკვიდრეობის წესით, როგორც მათ შვილს, და ვის უნდა მივმართო ამისათვის, რომ მივიღო ეს ქონება.

ქვრივი ნატალია აგიაშვილისა.

პასუხი

გარდაცვალებულ მშობელთა მოძრავი ქონება მემკვიდრეობის წესით გადადის პირდაპირ მემკვიდრეებზე თანასწორად. პირდაპირ მემკვიდრეებად კი ითვლებიან შვილები, (აღნიშნულ შემთხვევაში თქვენ) შვილიშვილები, ცოცხალი მეუღლე და შრომის უნარ მოკლებული გარდაცვალებულის კმაყოფაზე მყოფი პირი არა ნაკლებ ერთი წლის განმავლობაში.

თქვენი უფლების აღსადგენათ თქვენ უნდა მიმართოთ სახალხო სასამართლოს.

(იხ. სამოქალაქო კოდექ. მუხ. 418 და 485).

კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის ასეთი მოქმედება.

კითხვა

ა/წ. 1-ლ ოქტომბერს ქ. აღმასკომის სტატისტიკურ განყოფილებაში მივიღეს სათანადო გამოცდების შემდეგ ექვსი თანამშრომელი და ბრძანებაშიაც 1-ლ ოქტომბრიდან ვიქენით გატარებულნი (ბრ. № 2 1925 წ. 2 ოქტომ.). მაგრამ ჩვენი სამუშაოზე გაგზავნა შეფერხდა 15 ოქტომბრამდის, ვინაიდან სტატ. განყ. და სამკურნალო ქვეგანყ. შორის რაღაც უთანხმოებას ჰქონდა ადგილი. ჩვენ გვიბარებდენ მუდამ დღე და გვპირდებოდენ სამუშაოზე გაგზავნას და ჩვენც სისტემატიურად დავდიოდით აღმასკომში.

15 ოქტომბერს გვეღირსა სამუშაოზე გაგზავნა და ვიმუშავეთ 24 ოქტომბრამდე. 24 ოქტომბერს დაგვითხოვეს ექვსივე, როგორც არა მედიკები და ჩვენს ადგილზე მოიწვიეს სახ. უნ.-მედ.-ფაკულტეტის სტუდენტები.

ეხლა სტატ-განყოფილების ადმინისტრაცია გვეუბნება, რომ ჩვენ მოგვეცემა მხოლოდ ცხრა დღის ნამუშევარი (ე. ი. 15-დან 24-ოქტომბრამდი) დღიდან ჩვენი ფაქტიურად სამუშაოზე გაგზავნისა. მეტი არაფერი არ გეკუთვნითო.

სამართლიანია თუ არა სტატ. განყ. ადმინისტრაციის ასეთი პასუხი?

გვეკუთვნის თუ არა ის ორი-კვირის ჯამაგირი, იმ დღიდან რომლიდანაც ჩვენ ვართ გატარებულნი ბრძანებაში.

მართალია იმ ორი კვირის განმავლობაში არაფერი გაგვიკეთებია მაგრამ ამაში დამნაშავეა თვით ადმინისტრაცია და არა ჩვენ. ვინაიდან დროზე არ მიიღო ზომები ჩვენ გასაგზავნად სამუშაოზე, და შეგვიძლია თუ არა გაუფრთხილებლობისათვის მივიღოთ ორი კვირის გასამრჯელო.

ხელს აწერს ექვსი კაცი.

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხლი 47 ის შენიშვნა მეხუთისა თქვენ აუცილებლად უნდა მოგეცეთ წინასწარ გაუფრთხილებლობისათვის გასასვლელი ჯილდო ორი კვირის შრომის ხელფასის რაოდენობით და თანახმად შრ. კანონთა კოდექსის მუხ. 39-ისა შრომის ხელფასიც დღიდან თქვენი სამუშაოზე ფაქტიურად დაშვებისა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ოთხშაბათს 11 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის შენობაში

შესდგება საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა

რომელზედაც დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: სვანიძე (თბ. კომიტეტიდან), ყურულაშვილი, ფანცხავა. მირიმანოვი, ჯაფარიძე საშა. ხაცევიჩი, ლიცინოვი, გობეჯიშვილი, ბახტაძე, ციხელაშვილი, ცაბაძე, მურავიოვი (რ. კ. პ. ა/კ. საოლქო კომიტეტი) რ. კ. პ. ი-კ. საოლქო კომიტეტების ინსტრუქტორები გიორგაძე (ც. კ. ქალთა განყ.) ცეკას ქალთა განყ. ინსტრუქტორები. დარახველიძე გეურქოვი (ს. ა. ლ. კ. კ. ცეკა). ადნიაშვილი, მარკაროვი, ბლუაშვილი, (ქართულ დივიზიის პოლიტ-განყ.) პეტროვი (ჯარიდან), იფციაური.

ს. კ. პ. (ბ) ცეკას საორგანიზაციო განყ. მდივანი—ცაგარელი.

— თბ. კომ. აღმრიცხ.—გამნაწ. განყ. სთხოვს ამხ. ივანე ლოგუნოვს, ვ. სტეცენკს და შალვა ბახტაძეს გამოცხადდენ განყოფილებაში ამხ. ჩარკვიანთან.

— **ლენინის რაიკომი** იწვევს: დღეს, 10 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, სანიტგანათლების ბინაზე. (ჩერქეზ. ქ. № 108:) შესდგება **კომუჯრედების მდივანთა თათბირი**, რომელზეც უნდა დაესწრონ აგრეთვე ბიუროს წევრები; საუჯრედო კომისიების წევრები და საბარიგადო ორგანიზატორები.

მდივანი—ქავთარაძე.

— ს. კ. პ. საქ. გამნაწ. განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. კონსტანტინე ქორიძეს გამოცხადდეს ცეკას სააღრიცხვო განყოფილებაში ორი დღის განმავლობაში.

ერთიანი პარტიული დღე

— პარასკევს, 18 ნოემბრის ნაცვლად, სამაზრო-საქალაქო კონფერენციის გამო, გადატანილია 20 ნოემბრისათვის.

თბ. კომ. მდივანი—ასრიბეკოვი.

— დღეს, 10 ნოემბერს 5 საათზე მოწვეულია სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ბიურო-კოლექტივის სხდომა; ევალება ყველა წევრებს და კანდიდატებს ბიურო კოლექტივისას დაესწრონ დაუგვიანებლათ.

ბიურო-კოლექტივის მდივანი ცინცაძე.

— თ. კ. საგ.-საპრომ. განყ. იწვევს: დღეს, 10 ნოემბერს, დილის 9 საათზე შესდგება თ. კ. საგ.-საპრომ. განყოფილების სხდომა.

დასწრება სავალდებულოა ყველა წევრებისათვის.

თბილისის სამაზრო-საქალაქო მეექვსე პარტკონფერენცია

— **გაიხსნება** 12 ნოემბერს, საღ. 6 საათზე, წითელ თეატრის შენობაში (ყოფ. სახალხო სახლი).

დღის წესრიგი:

1. პარტიის მორიგი ამოცანები მომხს. ამხ. ს. ორჯონიკიძე. 2. თ. კ. ანგარიშები—მომხს. ამხ. მ. კახიანი. 3. სარევიზიო კომისიის მოხსენება. 4. სოფლად მუშაობის შესახებ მომხს. ამხ. ხვანიძე. 5. პროფკავშირების მუშაობის შესახებ ამხ. ყურულაშვილი. 6. წარმოებაზე—ამხ. უოქიკაშვილი 7. პარტამშენებლობის შესახებ. 8. არჩევნები.

თბილ. კომიტ. მდივანი—მიხ. კახიანი.

პროფესიული

— დღეს, საღამოს 6 საათზე განათლების მუშაკთა სახლში—პროგრამების დაიუშავება 1 და 2 ჯგუფის ქართველ მასწავლებელთათვის (ცალ-ცალკე) საღამოს 7 საათზე კომპარტიის ისტორია—ამხ. პაპავა.

განცხადებები

დღეს, 10 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი რესპუბლიკის სახალხო არტისტის

ვანო სარაჯიშვილის

გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად, რასაც იუწყება განსვენებულის ქვრივი ნინო პლატონის ასული სარაჯიშვილისა.

450 1—1

სახელმწიფო დრამის ადგილკომი აუწყებს საზოგადოებას, რომ უდროოდ გარდაიცვალა კულტ-კომისიის წევრი საყვარელი

ვეჩე ჯიქია

1—1 ნის. 205

სახელოვნო საქმეთა მთავარი სამმ. აუწყებს საზოგადოებას, რომ უდროოდ გარდაიცვალა სახელმწიფო დრამის დასის წევრი

ვეჩე ჯიქია

1—1 ნ. 205

სახელმწიფო ოპერის დირექცია, დასი და სცენის მუშები აუწყებენ საზოგადოებას, ძვირფას ამხანაგის, სახელმწიფო დრამის მსახიობის

ვეჩე ჯიქიას

უდროოდ გარდაცვალებას

1—1 ნ. 205

სახელმწიფო კონსერვატორიის დრამატიული ფაკულტეტი აუწყებს საზოგადოებას დაუვიწყარ მსახიობის

ვეჩე ჯიქიას

1—1 ნ. 205 უდროოდ გარდაცვალებას

ვასო პატარაია აუწყებს მეგობართ მედგარ კორპორანტ

ვეჩე ჯიქიას

450 (ა.) უდროოდ გარდაცვალებას. 1—1

ქართველ მსახიობთა ამხ.-კავშირის გამგეობა აუწყებს საზოგადოებას დაუფასებელ წევრის

ვეჩე ჯიქიას

ნ. 205 უდროოდ გარდაცვალებას 1—1

ქართველ არტისტთა კორპორაცია „დურუჯი“ მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ დილის ოთხ საათზე, ორშაბათს, 9 ნოემბერს, უდროოდ გარდაიცვალა დაუფასებელი ამხანაგი-კორპორანტი

ვეჩე ჯიქია

დაკრძალვისა და პანაშვიდის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ნ. 205 1—1

საქართველოს სახელმწიფო დრამის მსახიობნი და სცენის მუშები აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარი ამხანაგის

ვეჩე ჯიქიას

1—1 უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 205

სახელმწიფო დრამის რეჟისორთა კოლეგია ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ დილის 4 საათზე, ორშაბათს 9 ნოემბერს, უდროოდ გარდაიცვალა საუკეთესო სცენის მუშაკი, დაუვიწყარი

ვეჩე ჯიქია

ნ. 205 1—1

სახელმწიფო დრამის დირექცია ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ უდროოდ გარდაიცვალა სცენის თავდადებული მუშაკი,-მსახიობი

ვეჩე ჯიქია

ნ. 205 1—1

დაწუხრებული აკაკი სირაძე ცოლშვილით აუწყებს ნათესავთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი ბიძა

ნიკოლოზ კაციტაძე

203 დასაფლავება სოფ. ხოტევში (რაჭა) 1—1

პირველ
სახელმწიფო
საბუღალტრო კურსებზე

ახალი ჯგუფის მეცადინეობა დაიწყება 23 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე. ვინც კანდიდატად არის ჩაწერილი, ახლავე უნდა წარმოადგინოს: 1) განათლების ცენზის საბუთი, 2) სწავლის ხედრი გადასახადი ფული. საბოლოოდ ჩაწერა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე კურსების ბინაზე (კეცხოველის ქუჩა, ყოფ. ლორის-მელიქოვის № 12) საღამოს 7—8 საათ.

—:—

კურსების გამგე
მ. თაქთაქიშვილი

447 3—1

თბილისის სასაკლაოებში

ხშირად შემოაქვთ შეკითხვები იმ გადასახადების რაოდენობის შესახებ, რომლებიც არის მიღებული ღორების ხორცის გასინჯვაზე მიკროსკოპით

სასაკლაოები ამით აცხადებენ დაინტერესებულ პირთა საყურადღებოთ, რომ

სასაკლაო ახდევინებს

მიკროსკოპით გასინჯვაში ღორებზე ფუთში ცოცხალი წონით 24 კაპ. და გოჭზე თითო ცალში 10 კაპ.

2—1 960

სახელმწიფო ოპერა

სამშაბათს 10 ნოემბერს

1. სოფლის პატიოსნება
2. ჯამბაზები

ოთხშაბათს 11 ნოემბერს

ვანო სარაჯიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად

აბესალომ და ეთერი

აბესალომის პარტიას შეასრულებს ვიოლონჩელი (კაპელნიცკი)

1—2 ნ. 208

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“ (ქართულ ენაზე).

მოწაფეებს მიეცემათ შეღავათი, თუ ხსენებული სახელმძღვანელო დაკვეთილი იქნება 10 ცალზე მეტი

მისამართი: გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

0—16

რუსთაველის თეატრი

ხუთშაბათს 12 ნოემბერს

სეზონის გახსნა

უ. შექსპირი „ჰამლეტ“

დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელისა. მუს. ჩაიკოვსკისა. მხატვარი ირ. გამრეკელი. ორკესტრი ახალ. მუს. საზ-ბის.

დირიჟორი გველესიანი. რეჟისორი ივ. პატარიძე.

ნ. 209 3—1.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ოდონტოლოგიურ კლინიკასთან დაარსდა

კბილის ტეხნიკოსთა მოსამზადებელი კურსები.

სწავლა ორ-წლიანია. თხოვნების მიღება სწარმოებს ოდონტოლოგიურ კლინიკაში (პლეხანოვის პრ. № 126).

3—3 ნ. 166

ხელის მომწერლებმა ყველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ

„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 24 ტელეფონი № 10—49.

აპოლლო
არტისტიკო
სოლეი

საუკეთესო სურათი

„დიადი—მარადიული“

კარინა გრიფფიცის მონაწილეობით

ფასები პირველ სეანსის დაწყებამდის: პარტერი—35 კ. ამფითეატრი—25 კ. მეოთხე ადგილები—20 კ.

ცირკის მეფე

მაქს ლინდერის მონაწილეობით

ЖЕНИХ ИЗ ПЕТЛИ

გარრი ლიდკეს მონაწილეობით

0—10 ნ. 115

გვინდა

გამდელი

ქართველი
ორი წლის ბავშვისათვის.
წყნეთის ქუჩა, სახლ. 6, ბინა 2.

448 2—1

ქიმიურ-ბაქტერიოლოგ. კაბინეტი

ექიმ ნ. პ. ფალიაშვილის

მიიღებს ყოველგვარ მედიკურ ანალიზებს შარდის, სისხლის, ნახველის და სხვა; ვასერმანის რეაქცია (ათაშანგზე), გიზრედკოსი (ცლეპზე) და სხვა; ანალიზებს მიიღებს მთელი დღე. პირადათ საღამოს 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა; ბაქრაძის შესახ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

ა. წ. პირველ დეკემბრიდან გაზ. „სპარტაკის“ ნაცვლად იწყებს გამოსვლას ს.ა.ლ.კ.კ. ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის

ყოველდღიური გაზეთი

„ახალგაზრდა კომუნისტი“

(გადიდებული ფორმატით)

გაზეთს ექნება შემდეგი მუდმივი განყოფილებები:

1. სახელმძღვანელო ხასიათის წერილები კომკავშირის მუშაობის ყველა დარგიდან;
2. წერილები საბჭოთა-პარტიულ ამოცანებზე, საერთაშორისო მდგომარეობაზე, მუშათა საერთაშორისო მოძრაობაზე;
3. ახალგაზრდათა საერთაშორისო მოძრაობა (კომუნისტური ახალგაზრდობის მოძრაობა და ჩვენი მტრები საზღვარ-გარეთ);
4. ჩვენი კავშირის ცხოვრება;
5. ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრება;
6. პიონერთა შორის;
7. საქართველოს სამეურნეო აღმშენებლობა;
8. მეცნიერება და ტეხნიკა, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, ახალგაზრდობა და ხელოვნება, და სხვ.

თვითეული კომკავშირელი, ყოველი ახალგაზ. მუშა. და გლეხი, მოსწავლე, ახალგაზ. წითელ-არმიელი

უნდა იწერდეს და კითხულობდეს თავის გაზეთს

„ახალგაზრდა კომუნისტ“-ს

თვითეულმა ადგილკომმა, კლუბმა, ქოხ-სამკითხველომ და სკოლამ უნდა გამოიწეროს

„ახალგაზრდა კომუნისტი“

ხელის მომწერთ ფასები:

გაზეთი ღირს ქალაქად:		გაზ. ღირს ქალაქ-გარეთ:	
1 თვით	70 კ.	1 თვით	75 კაპ.
3 „	2 მან. „	3 „	2 მან. 10 „
6 „	4 „ „	6 „	4 „ 20 „
1 წლით	8 „ „	1 წლით	8 „ 40 „

რედაქციის და კანტორის მისამართი: რუსთ. პრ., № 20, საქ. ახალგ. ლენინელთა კომკავშირის ცეკა—„ახალგაზრდა კომუნისტისათვის“.

გაზეთზე ხელის მოწერა დაიწყება 10 ნოემბრიდან

პასუხისმგებელი რედაქტორი მალ. ბახტაძე

ნ. № 202—4—1

ჩქარი მატარებლების მიმოსვლის
ცხრილის შეცვლა

ლენინგრადის ჩქარი მატარებელი № 2, რომელიც თბილისში მოდიოდა პარასკეობით, მოვა ხუთშაბათობით, ხოლო მატარებელი № 1, რომელიც გადიოდა თბილისიდან კვირაობით, გავა შაბათობით—პირველად მატარებელი № 2 მოვა თბილისში 12 ნოემბერს, ხოლო მატარებელი № 1 გავა თბილისიდან ლენინგრადში—14 ნოემბერს.

ამ ცვლილების თანახმად პირდაპირი ვაგონი ლენინგრადიდან-ერევანში, გავა თბილისიდან ხუთშაბათობით, ხოლო ერევნიდან-თბილისში პარასკეობით. ბაქოში მატარებელი № 2 ჩამოვა და გამოვა თბილისისაკენ ოთხშაბათობით, ხოლო გავა ლენინაკანში კვირაობით.

მოსვლის და გასვლის საათები უცვლელი რჩება

ნ. 171 2—2

თბილისის სავაჭრო-სამრეწველო
საურთიერთო ნდობის
საზოგადოება
იწყებს მოქმედებას ა. წ. 10 ნოემბერს

საზოგადოება აწარმოებს ყოველგვარ ოპერაციებს, რომელნიც ნებადართულია მისი წესდებით: ახურდავებს ვექსილებს, იძლევა კრედიტს სპეციალურ მიმდინარე ანგარიშით, გირაოზე გაცემული სესხით, ფასიანი ქაღალდების დაგირავებით, ასრულებს ყოველგვარ დავალებას, როგორც საქონლის ყიდვა-გაყიდვისათვის, ისე ყოველნაირ საქმეების შესრულებისათვის, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების და გარეშე ქალაქებში.

საზოგადოების ბინა იმყოფება სომხის ბაზარზე № 62, ტელეფონი № 19—30, სადეპეშო მისამართი—მერკურკრედიტი, იქვეა საწყობები საქონლის მოსათავსებლად.

საზოგადოების მეცადინეობა სწარმოებს ყოველ დღე დილის 9 ნახ. საათიდან 4 საათამდე.

საზოგადოების წევრებმა, რომელთაც მიღებული აქვთ, დროებითი ქვითარები, უნდა შესცვალონ მუდმივით 1-1 ნ. 204

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადებათ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—1

ექიმი **ა. დ. პეკელია**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება.

პლეხ. პროსპ. № 116 „ნოეს“ პირდაპირ. მიღება 8—11 დილ., 6—8 საღ. 25—1

ექიმი **შუხმანი**

ვენერიული და შარდ-სასქესო ორგანოების ავადმყოფობანი.

მიღება ქალებისათვის 2—3 საათამდე, მამაკაცებისათვის—საღამოს 5—7 საათამდე.

ელისაბედის ქ. 89. (ქსენიევის ქუჩის პირდაპირ). 25—1.

ექიმი **ნ. გ. ახვერდოვი**

დაბრუნდა გერმანიიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება ქალურ ავადმყოფობასა და მეანობაში, სინათლით მკურნალობა, ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათამდე, საღამოთი 4—7 საათამდე, ყიფიან-დღავერის დაღმართი № 16. 25—1.

ექიმი **ვ. ს. არღუტინსკი**

ელისაბედის ქუჩა, 53.

ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფობანი.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. 25—1

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ. დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფ. მიღება დილის 8—9 საათ. და საღ. 9—7 ს. კამოს ქუჩ. № 72 (ყოფილი დიდი მთავრის).

25—1 ქვ. 326

ექიმი **გ. ა. ლუკოვეცკი**

ვენერიული და კანის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე, ქალები—დღის 1—2 საათამდე.

[illegible] ქ. № 35 (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი.

მიღება ავადმყოფ. დილით 8 ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

კბილის ექიმი

ა. გ. სოლოლაშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, 9—2 საათ. და 4—6 საათ. რუსთაველის პროსპ. № 12.

ექიმი **ი. დ. თოფურიძე**

[illegible] ქუჩა (ყოფილი [illegible]) № 33, იღებს ავადმყოფებს

[illegible] სიფილისი და ვენერიული [illegible] დილის 8—9 საათამდე, საღამოს 4—6 საათამდე.

ექიმი **ე. ი. კალანდაძე**

ღებულობს ავადმყოფებს: შინაგან ავადმყოფობით შეპყრობილთ, დილით—7-დან 8 საათამდე. ვენერიულით, საშარდე და სასქესო ორგან. და სიფილისით საღამოობით—5 დან 7 საათ.

მისამართი: ბარნოვის (ყოფ. გუნიბის ქუჩა № 6, მოსკოვის ქუჩიდან მარჯვნივ (1 უბანი). 25—1

მედიცინის დოქტორი

ბ. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობაში.

მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 6—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა.

კამოს ქ. № 17, ზემო სართული (ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა ტფილისში

და კვლავ განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას დილის 9 საათიდან სრულ 12 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. ყ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56.

2675 25—1

დოქტორი **გ. მეგრაბიანი**

ფილტვების, გულის და ციების წამლობა ხელოვნური მთის მზით, პნევმოტორაქსით და ტუბერკულინებით, რენტგენი, და სინათლის, ელექტრონის სამკურნალო კაბინეტში—იღებს 9—1 საათ. დილ., 5—8 ს. საღ. გებუთოვის ქუჩა, № 23.

ექიმი **ზ. ნ. მაგაკიანი**

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი [illegible] ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38.

ექიმი **ზ. ა. თარუმოვ**

დაბრუნდა აბასთუმნიდან.

ტრიბუნის ქუჩა № 12.

31 18—1

ექიმი **ბ. გ. ვართანოვი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

მიღება დილით 8—9 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე.

სურამის ქუჩა № 9, სადგურის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად.

25—1.

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა [illegible] მიღება 12—4 საათამდე და 5—[illegible] [illegible] ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

დაბრუნდა

ექიმი **ზანდუკელი**

შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეთი.

ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათ. ლენინის (ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82

361 25—1

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ. ქალებისთვის 12—1 საათ. ასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

25—23

ექ. ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. დღე 1—2 ს. და საღამოს 6—8 ს. ქალებს და ბავშვებს 5—6 ს. რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

დაიკარგა ა/კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტობის ბილეთი № 12/7 სიმონ სალიმაძის სახელზე. ჩ. გ.

430 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა სერგო ნიკოლოზის ძე ლულიეკოვის სახელზე, ჩ. გ.

446 1—1

დაიკარგა კანდიდატის ბილეთი № 6444 ვლადიმერ დიოსის ძე ნაფეტვარიძის სახელზე და ლიდის ელენე ნაფეტვარიძის სამუშავრო მოწმობა № 28661, ჩ. გ.

445 1—1

დაიკარგა სახელმწიფო ხაზინიდან მიცემული ბანდეროლების მოწმობა № 296 დარჩო არუთინოვის სახელზე, ჩ. გ.

440 1—1

დაიკარგა საწევრო წიგნაკი, სახალხო კვების კავშირის მიერ გაცემული № 637 მარკოზ ბუხრაშვილის სახელზე, ჩ. გ.

444 1—1

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 1340, 1916 წლ. ეფემია სარაჯიშვილის სახელზე, ჩ. გ.

442 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა და სამხედრო აღრიცხვის ბარათი იაკობ თედორეს ძე ძარიას სახელზე, ჩ. გ.

443 1—1

ტირაჟი—22.000

სტამბა „ზარია ვოსტოკა“-ს სახ. [illegible] ქუჩა № 4